

652  
1973 /2



# ԿՐԻՊՏՈ

1 , 7 3 4

# 牛尾草

3. მაიაპოვები — მეტობაშები		
ლექსი თარგმანი გ. სალუქევაძის		3
5. სამსონია — პროცესობის მხედ		
მოთხრობა . . . .		9
7. ზოიძე — ლექსები . . . .		25
9. ხოცვენია — ჩინ კოთილი		
ხელუები მოთხრობა . . . .		29
11. სიღიჯვილი — ლექსები . . . .		51
13. ზერვაზიძე — დაბრუნება		
პიესა, ეპიზოდი . . . .		54

## புரோட்டாஸ்

କ୍ଷ. ରାଜଲଙ୍ଘ — ଶେବେଳିନ୍ଦ୍ରାନ୍ତ ଫିଲ୍	61
କ୍ଷ. ପାପଚେଣ୍ଡିନ୍ଦ୍ର — ଶେବେଳିନ୍ଦ୍ରାନ୍ତ ଫିଲ୍	70
କ୍ଷ. ପାହାରୀନ୍ଦ୍ରାନ୍ତିଲ୍ଲିନ୍ଦ୍ର — „ମାଣ୍ଡିଆ“ ଏକିପାଇଦାପାଇଲ୍ଲିନ୍ଦ୍ର ପାହାରୀନ୍ଦ୍ର ଖରିଦିବିନ୍ଦୁନାଥନ୍ଦ୍ର	76

19.194

B 2 2 0 0 0 3 5 0 0 0

ବ୍ୟାଖ୍ୟାନକର୍ତ୍ତା — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣା ଏବଂ  
ମହାତ୍ମାରମଣ

## സെതിരക ഡക്ടോറു

କ. ପାଶେରାହା — ଛଲାପାରା  
ଉପିନ୍ଦାର୍ଥୀଙ୍କୁ . . . . . 94

૧૯૭૩ - ૧૯૭૪

ପ୍ରକାଶନ ମେଳି — ୧୯୩୦ସେତୁ

ଲୁଗତେରାହାରୁକୁଳ-ମୋଟିକୁଳୀର ଡା  
ପାଖିନାଥାରୁକୁଳ-କଣାଳୀରିପାଲାର  
ଚାନ୍ଦିକୁଳୀର

საგარეო დოკუმენტის საგარეო  
მდგრადი და დამზიდებული და  
აპარატის განყოფილების  
ორგანიზაცია

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია:

१. ახცლებიანი
2. გარშანიძე (პ/მმ მჭიდარი)
3. ლორია
4. ჩავლეიშვილი
5. ხალიაშვილი

հիշեն ցիոնյօս լոնկոյերես Յուղետու Յ. Թագարովսյոս  
 ժամանեծու ռաթեմուց Ծլուսեացու և պարզութառ-էաթե-  
 լուն ներմիա ցեալքյո, հոմ ոչո կը լաւոնքը եղած,  
 թույլու տացուսու և մալլու դրա անալու և անցագործուն  
 մթենեծը լուց ու այս ուղարկու ու պահանջուն ու պա-  
 հանեալուն, ու այս գոյան անունը ման-  
 կոյերեծու նոնալմանը, ու անունը կոմսնու տուրու ուղալու-  
 ծուսատցու.

Յ. Թագարովսյոս յս լույսուց, հոմլու տարցանսաւ-  
 թագանոն մյուտեցը լուս, զանձա հիշեն հըսկուլու-  
 ծուն մթելու ցեալքը լուս գագանսալը օսատցուն ծհմուն  
 լուրեսլու ուռու և նարաւուց ուռու գիտ գամլու-  
 հը օսա մոպարուլու.

## Թ Ա Ժ Ր Ո Ւ Թ Ա Մ Ո Ւ Ծ Ո

“Ճակատի թագաւոր նու Շեմոնքալու!“ —  
 Երիս կարծիք.

Ե՞.

Սավարճելուն

գալախուլու նու պալայունա.

մարյուսու սյուրատո

լասբյերու տացիւ.

Ասլուսու մցը ելու

մոլորի մուրուն

Շնդա.

Կոնդրանան դուլու

նահիյանո

մուսաց շուլը թիւ.

Ըստ յուրա քննեմ

կալմուս տիանո —

ան Ռյան,

ան Ռյան.

Նիան մյուրայուն

Ռյան թիւ

აღნიშნულია შიგ  
გრძელი და  
ნაწმენდი სტაცია.



მთელი დღე  
მოცლილს  
ვერავინ ხედავს,  
ფიქრებისაგან  
შუბლს  
ოფლი ნამავს —  
უნდა მოუწყოს  
ზოგს  
ნათლიდედა,  
ზოგს — ნათლიმამა.  
აწყობს კაცუნებს  
და აქვს ყველგან იშედა მათი...  
ყველგან  
დამსმენად დასასმელს  
ეძებს,  
იცის,  
ვის უნდა გამოსდოს  
კვანტი.  
და ისიც იცის,  
სად ჰყავდეს  
შემწე.  
სარფიანი და ოანაც ადვილი  
მიჩენილი აქვს ყველას ადგილი —  
საცოლისათვის — ტრესტი მაღლია-  
უნივერმალში  
ვაჭრობს ნათლია.  
ძმასაც უშველა — ხალხში გარია,  
თანამშრომლად ჰყავს კომისარიატს.  
და ფართოვდება  
ნათესავთა ქსელი  
აგეთი.  
ვერ აუდიან უწყებები  
ათასგვარ ჯილდოს —  
ტენტიემები,  
დატევირთვა და

სპეციანაკვეთი,  
მხოლოდ იმათთვის დაწესდა თითქოს!  
სპეციალისტის  
ნიღაბს



იკეთებს,  
მისტიკას გმობს და  
სიკეთეს იცავს —  
მას „ხალხთა ძმობა“

ესმის  
სიკეთედ  
ძმების,

დების

და

დეიდებისა.  
შტატები უნდა შეამციროს.

რომელი დათმოს?  
ქეთი?

პო, მაგრამ

ქეთის შავი თვალით

ხომ არ სკობია —  
მთერალია.

შეუნახოს აღგილი

ნატოს? —

ნატოს ნაკვეთები

უფრო

მრგვალია.

მისაღებში კი

მოთმინება გამოელიათ.

ჰაერში კვამლის შავი ნისლია.

ჰასუხისმგებლის

კაბინეტში

შესვლას ელიან.

ის კი მხრებს იჩეჩს:

— არ შემიძლია!

რას იზამ,

საჭმეს გადაპყვა კაცი!

შემოიარეთ

ხვალისათვის,

ანდა ზეგისთვის.

ვინ ელირსება მიღებას აწი?

ეს მთხოვნელი კი

კიუტად იცდა.

— არ შეიძლება...

პასუხს ვერ ვაგებ,  
მონაცემები არ გაქვთ. —

აშ ხმაზე

მთხოვნელი დადებს მაულზე პაკეტის,  
მონაცემებით

ახალით

სავსეს.

პაკეტს ხელისგულს დაადებს მარტად,  
ფუნთუშა ლოყა

დაეწეა

თითების.

დანერწყვავს თითების

ეს არამხადა

და ოუმნიანებს

ბეჭითად

ითულის.

ქრთამის შიმცემი

ხომ

სხვებს თვლის არად.

ნაყიდ ადგილზე

ჰეონია

გაძლებს.

— რეზოლუცია მომეცით ჩქარა! —

და ლალად აწერს:

„თანხმობას ვაძლევ!“

პასუხისმგებელს

მიეჩქარება.

სამართლიანად

ტოვებს მანქანის.

მას საყვარელი

ხვდება

კარებთან.

უხარია, რომ არ დაახანა.

ბეღნიერია —

ნებივრობს,

ვახშმობს.

„აბრაუს“ ხუთავს,  
იცინის, მასხრობს.

ლოშნის საყვარელს  
გრძნობითაც ფლიდი,  
გრძნობას ყიდულობს  
ეს ფულის მონა.

— ნელსაცხებლისთვის  
ეს გქონდეთ, სონა,

ეს კი  
პერანგის ამხანაგისთვის... —

ასეთი ვინმე,  
მუშებს რომ ძარცვავს,

შირმად იყენებს  
ოქტომბრის ნათელს.

შემოეკედლა ჩვენს რიგებს თარსად,  
რომ ჩვენი ფულით  
დუქანში დათვრეს.

ხელს ჩამოვართმევ  
მე  
თეთრგვარდიელს

და ვიცი,  
რომ არ შემიპყრობს ზიზღი.

ჩამეცინება:

კარგად გათრიეს,  
არ შეგარჩინეს ჩვენებმი სისხლი!  
კაცს აპატიებ  
პურის მოპარვას.

იქნება მკვლელსაც  
შეუნდო  
კაცმა.

იქნება რისხვამ  
ელდა მოჰვარა,  
თვალთ დაუბნელა  
და სულით დასცა.

მაგრამ მე ვიცი,  
თუ ხელისგული,  
რომელიც ქურდის მანეთზე იდო,  
შეეხო ჩემს ხელს,

გააფორებული  
 ტყავს ხელის გულზე  
 მოვიგდეს თვითონ.  
 თეთრებს ახლახან  
 მოვტეხეთ რქები  
 და უარესი გაგვიჩნდა მტრები.  
 ცუდად ჩატმულებს,  
 ნახევრად მაძლრებს  
 ახლა მექრთამე  
 არ გვაძლევს საშველს.  
 პარტიის ლოზუნგს —  
 პარტიის ნებას  
 ჩვენ შევასრულებთ  
 მტკიცედ  
 და  
 დროზე —  
 ძირს,  
 ვინც ჩვენს რიგებს  
 მოტმასნებია,  
 ვინაც იჯიბავს  
 მშრომელთა  
 ვრთშებს!  
 ჩვენი გეგმაა —  
 გიგანტები  
 აღვმართოთ  
 ცამდის.  
 სალაროებს კი  
 შესევიან არავაცები.  
 საძაგელ ხორცმეტს  
 ამოწვავენ  
 ვარვარა შანთით  
 ჩვენი პარტია  
 და მშრომელთა  
 მძლავრი მასები.

## ადექსანდრე სამსონი

### ტრიზონის მზე

იმ წელიშადს, გოდერძი ლობჟანიძემ რომ უმაღლესი დაამთავრა და ქობლიანის ქართულ სკოლაში რუსული ენის მასწავლებლობა დაიწყო, ქარიშხლისაგან გადარეულმა ზღვამ ჭებირები გადმოანგრია და რესტორან „ნარინჯის“ პავილიონები და საბანკეტო დარბაზები მოვრალი კაცი-ვია ერთიანად მიღეწ-მოლეწა.

ამ არც თუ ისე სასიამოვნო ამბავში ჩვენი მოთხრობის გმირს, ცხადია, არავითარი ბრალი არ მიუძღვის. გოდერძი ლობჟანიძეს რომ უმაღლესი არ დაემთავრებინა, ზღვა მაინც თავისის იზამდა და რესტორან „ნარინჯის“ დაუნგრეველს არ დატოვებდა, მაგრამ უბრალოდ ეს ორი ფაქტი ერთმანეთს დაემთხვა და გოდერძი ლობჟანიძეს თავისი ცხოვრების უმნაშენელოდანესი თარიღის დამახსოვრება გაუადვილა.

რაც შეეხება რესტორან „ნარინჯის“ დანგრევას, ქობლიანის მოსახლეობის შეგნებულ უმრავლესობას ამ სტიქიური უბედურებისათვის პაინცდამაიც ტრაგიკული მნიშვნელობა არ მიუნიშებია, რადგან ათიათასის ქალაქში „ნარინჯის“ გარდა ბარე ცხრა რესტორანი კიდევ იყო და ლეინის დასალევად შორს წასვლა არავის დასჭირდებოდა. თანაც ყველაზი იცოდა, რომ დანგრეულის ადგილის სულ მაღლე უკეთეს შენობას წამოჭირდნენ. რესტორანი ბიბლიოთეკა არ იყო, მის აგებას საშველი რომ არ დასდგომოდა.

თქვენი არ ვიცი და, მე რომ ქობლიანის რესტორნები გამახსენდება, პირში სულ ნერწყვი მომდინარეობის, თითქოს ტყემალში ჩაწყობილ ქამბალის შევტეროდე, თევზი აქ ისეთივე საფირმო კერძი გახლდათ, როგორც თელავში ხაშლამა და ოიანეთში ხინკალი.

ვო, მართლა, დამავიწყდა მექითხა: ყოფილხართ თქვენ ქობლიანში, ამ პატარა ზღვისპირა ქალაქში?

თუ არ ყოფილხართ, შეგახსენებთ, რომ დიდი ისტორიული წარუ/  
ლითა და არქიტექტურული ძეგლებით ქობლიანი ვერ დაიტესტირება  
არც თანამედროვე მრავალსართულიანი სახლებით მოაწონებს ვიზებს  
თავს. ზოგს რომ კითხოთ, ქალაქში ყველაზე მნიშვნელოვანი და საბაყო  
რესტორნები გახლდათ. უკვე მოგახსენეთ, რომ ყოველ ათას სულ მცხო-  
ვრებზე თოთო რესტორანი მოდიოდა და სულ მაღვე ეს ტემპი ქობლიანის  
მოსახლეობის ზრდის ტემპსაც გაუსწრებდა.

მაშასადამე, ათი რესტორანი და ათივე ერთმანეთზე უკეთესი! თქვენ  
მეტყვით, თქმას ნახვა სჭობიაო. კეთილი და პატიოსანი. თუკი სუსტი გუ-  
ლის პატრონი არ ბრძანდებით, ერთ მშვენიერ დღეს ეწვიეთ ქობლიანის  
რომელიმე რესტორანს და სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ. ქებით თავი  
რომ აღარ შეგაწყინოთ, მარტო სახელებს შეგახსენებთ: „ნარინჯი“, „თუ-  
რინჯი“, „ფორთხოხალი“, „მანდარინი“, „ლიმონი“ და ასე შემდეგ.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მარტო რესტორნებით როდი  
იყო ცნობილი პატარა ქობლიანი საქართველოს რუკაზე. ქობლიანი თავი-  
სი ზღვითა და ზღვისპირა პლაჟით იყო ცნობილი, იმდენად ცნობილი,  
რომ ზაფხულობით ათიათასიან ქალაქს ერთი იმდენი დამსვენებელი მოა-  
წყდებოდა და პროვინციის მზეზე ირუკებოდა. მერე ბაზარსაც წაეკიდე-  
ბოდა ცეცხლი და ზოგიერთები იმასაც ამტკიცებდნენ, თავის ქება თუ კი-  
რიად ლირს, ძალიან კარგი ფასი ჰქონიაო.

ამდენი ხალხის მიღებას, ცხადია, ქობლიანის ერთსართულიანი ცის-  
ფერი სასტუმრო „მოდი, გაიხრე“ ვერ შეძლებდა. გასაჭირში ჩავარდნილ  
დამსვენებლებს ისევ მრავლისმნახველი ადგილობრივი მოსახლეობა შევ-  
ლოდა. სტუმართმოვარე ქობლიანელები ლოგინიან ოთახებს ჩამოსუ-  
ლებს უთმობდნენ, თვითონ კი ლეღვის ძირში იძინებდნენ და სულ ბინის  
ქირით ნაყიდი „ეიგულები“ ესიზმრებოდათ.

ეს ზაფხულის ღამის სიზმრები იყო. წელიწადის დანარჩენ დროს კი  
ქალაქიდ მონათლული ქობლიანი ისევ რაიონული დასახლების დაბად გა-  
დაიქცეოდა და ზაფხულის დადგომამდე მისი მცხოვრებლები შაქრიანი  
ადესით იქარებდნენ გულზე შემოწოლილ დარდებს.

ხოლო, როცა ზაფხული დადგებოდა და ამიერკავკასიის რკინიგზა  
ქობლიანის მიმართულებით დამატებით მატარებლებს გამოგზავნიდა, მა-  
შინ, ჩემო ბატონი...

მაგრამ ჯერ ზაფხული არ დამდგარა. მის მოლოდინში თვლემს პატარა  
ქობლიანი. პროვინციის მზესაც ღრუბლებში სძინავს, მხოლოდ ზოგა  
ფხიზლად და სწორედ იმ წელიწადს, გოდერძი ლობეანიდე რომ უმაღლეს  
დამთავრებს და მასწავლებლობას დაიწყებს, ყველას დაანახვებს, თუ რა  
ძალა ჰქონია წყალს.

მანამდე კი, ძვირფასო მკითხველებო, ნურც ჩვენ დავიუბებთ შესწავლა  
წყალს და მრვვერ მმავთა მსვლელობას.



## სპოლის დამთავრების შემდინგ გოდერძი ლობზანიძი უგალლეშვილი მოვაწყო

დიახ, ნამდვილად ასე მოიმოქმედა. უმაღლესში რომ ვერ მოწყობი-  
ლიყო, მაშინ, ალბათ, ლიმონათის ქარხანაში იშოვიდა ადგილს ან მე-  
ოვევზედ წავიდოდა სეინერზე. გაჭირვებას ბავშვობიდან იყო შეჩეცული,  
სულ იმაზე ფიქრობდა, უმაღლესს როდის დავამთვრებ და ოჯახში ფულს  
როდის შევიტანო. ოჯახი კი მხოლოდ ორი სულისაგან შესდგებოდა. ბე-  
ბია და შვილიშვილი ერთსართულიან პატარა სახლში ცხოვრობდნენ. ამ  
სახლს წინ ასეთივე პატარა, ვარდებით მოქარგული ბალი ამშვერებდა.

გოდერძი ლობჟანიძე იბოლი გახლდათ. ამიტომ, როდესაც სუფრაზე  
თაშიადა მშობლების საღლეგრძელოს წარმოთქვამდა, ყოველთვის ხსიათა  
უფლებულებოდა. თითქოს ჯიბრზე მისი ტოლები სულ ბრტყელ-ბრტყელ სი-  
ტყვებს ამბობდენ, მშობლების ამაგს შეიღები ვერასოდეს გადაიხდიანო.  
ამიტომ, ღმერთშე ქნას, ჩეენი თავი არასოდეს დაჭირვებოდეთო, ზოგი  
იმასაც დაუმატებდა, თბილისში აღმართულ ჩეენი მშობლების ძეგლებს  
გაუშარესოს, ქართვლის დედასა და ვახტანგ გორგასალსაო, საღლეგრძე-  
ლო ბოლოს ტრადიციული ფრაზებით მთავრდებოდა; ცოცხლებს დღე-  
გრძელობა და მიცვალებულების სამარადისო სსოვნაო. მიცვალებულებს  
რომ იტყოდნენ, ღვინომორეული თვალებით გოდერძის გადახედავდნენ  
და შიქაში პურს ამოუწებდნენ, შენი დედ-მამის სსოვნისა იყოსო. ამხანა-  
გების წრეში თუ შემთხვევით მოხვედრილი უცნბი გაიკირვებდა, ახალ-  
გაზრდა კაცს ორივე მშობელი როგორ დაეხოცაო, დაუწყებდნენ ახსნას,  
მამა ორმოცდახუთში ბერლინთან დაეღუპაო, დედამ კი ამის მერე ერთი  
წელიც ძლივს იცოცხლა.

თვითონ გოდერძი არაფერს ამბობდა, მოაწვებოდა ყელში რაღაცა  
ბურთივით და ამხანაგებს თვალს ვეღარ უსწორებდა. ცრემლი არ დამი-  
ნახონ.

მამას მარტო სურათებიდან იცნობდა, დედა ეუბნებოდა, გაჭრილი  
ვაშლივით გავხართ ერთმანეთსო, განსაკუთრებით როდესაც იცინიო. სუ-  
რათებზე მამა ყოველთვის მოღუშული იყო, კედლიდანაც გაბრაზებული  
უყურებდა, დედას კი პირიქით, სიკეთე ჩადგომდა თვალებში, დარწმუ-  
ნებული იყო, ჩემი ბიჭი არ შემარცვენსო.

ობოლ შვილიშვილს ბებია ზრდიდა. პენსიითა და სოფლიდან ჩამოტა-  
ნილი ჭადის ფქვილით იოლად რას გავიდოდნენ, მაგრამ გაჭირვება ვო-  
დერძი ლობჟანიძეს სწავლაში არ დასტყობია. გამოშვების წელიშადს

მთელს სკოლას რომ ერთი ოქროს მედალი მოუწია, ის ოქრო ანლა გადარი ბებიას მზითვისდროინდელი კარადის ბოლო ყუთში ინახება უფროსულელის კოვჭებთან ერთად. ბებია მედალს კი არა, გოდერძის ლექსებშიც ჩატარებულის, მაგრამ ამაზე შვილიშვილმა არაფერი იცის. რომ იცოდეს, დაუხეველს არ დატოვებს, რადგან სათაურები მაინცამაინც პოეტური ვერ გამოიუდა. „რუსთავის ფოლადი“, „ჭიათურის მარგანეცი“, „ქობულეთის ჩირ“ და სხვა ამისთანები.

ასეა თუ ისე, სკოლის მასშტაბით გოდერძი ლობუანიძე პირველი პოეტი იყო, სახეიმო სხდომებსა და სამგლოვიარო მიტინგებზე საკუთარ ლექსებს მხოლოდ გოდერძის აკითხებდნენ, ზოგიერთ შმობელს ეს ფაქტი შურსაც კი აღუძმავდა, მაგრამ საჯაროდ ვერავინ აშბობდა, აღათი ბებიამ შვილიშვილს საქმე ფულით ჩაუწყოო.

მთეროთმეტე კლასში საგამოცდო თემა გოდერძიმ ლექსებით ისე ჰააშვენა, რომ ლიტერატურის მასშავლებელმა ცრუმლი ვეღარ შეიკავა, ზღვის პირას რომ არ ცხოვრობდეს, გენიოსობას არაფერი დააკლდებოდათ. ზღვაზე მასშავლებელს ცოტა სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა, წვიმა და ნესტი აობებს აღამიანის გონებას, დიდ აღამიანებს კი თავი გამომშრალი უნდა ჰქონდეთო. ახლა იმაზე მსჯელობას არ შევუდგებით, თუ რამდენად სწორია ეს თეორია. სწორი და მართალი ის იყო, რომ გოდერძის თემა მომავალმა მთერთმეტეკლასელებმა „შპარგალკებად“ გამრავლეს და ახლო ნათესავებსაც დაურიგეს, ნიჭიერი კაცის დაწერილია და ვინ იცის, რა დროს გამოგვადგებათ.

ერთი სიტყვით, გოდერძი ლობუანიძემ სკოლა რომ დაამთავრა, მთელი ქობლიანი აღტაცებული იყო, მაგი ბიჭი გოგია შაქარიშვილივით ჩენეს ქალაქს ასახელებსო. გოგია შაქარიშვილი ფეხბურთელი გახლდათ, მარცხენა ფეხის მეტი სხეულის არც ერთი ნაწილი არ უვარგოდა, მაგრამ „ა“ კლასის გუნდის სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობდა და მარცხალ ერთი ბურთიც გაიტანა საკუთარ კარში.

სკოლის დამთავრების შემდეგ გოდერძი ლობუანიძეს დიდი არჩევანი არ დაუწყია, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოეწყო. სუკვედური რევმატიზმისაგან შეწუხებულ ბებიასაც არ უთქვამს, პირიქით, ანუგშა, ექიმის გარდა ფულს სხვა ხელობის კაციც შოულობსო.

აგვისტოს მიშურულში დიდი ამბით გააცილეს თბილისში. სიტყვის თქმა და ჭკუის დარიგება ყველამ ვერ მოასწრო და ისედაც დაგვიანებული მატარებელი გოდერძის ხათრით კიდევ ხუთი წუთით გააჩერეს სადგურში.

აბა შენ იცი, ჩვენო სიამაყეო, ენად გაიკრითნენ ქობლიანელები, გოდერძის კარის მეზობელი გერასიმე ბურძგლა კი სულ მუშტებს იბრაგუნებდა მკერდზე და თავის მემკვიდრე ლაზარეს ეუბნებოდა, თუ გამოხვალ გოდერძი ლობუანიძესთანა კაცი უნდა გამოხვიდეო.

პროვინციის სადგურზე გამართულ ამ სცენას დედაქალაქში მიმავალი მხებონებული დამსვენებლები ღიმილით შესცეროდნენ. აღელვაზე გოდერძი კი სიტყვის თქმასაც ვერ ახერხდა, მხოლოდ თავსცემული ყველაფერზე. იმის წარმოდგენაც კი აშინებდა, რა მოხდებოდა უმცირეს წლის შემდეგ, როდესაც უმაღლესს დაამთავრებდა და მშობლიურ ქალაქს. დაუბრუნდებოდა.

## უმაღლესის დამთავრების შემდეგ გოდერძი ლობზანიდა კობლიანში დაბრუნდა

დაღლილი მატარებელი ღილაბნელზე გაჩერდა ქობლიანის სადგურში. ზარ-ზეიმით შეხვედრა კი არა, კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ჯერ არც გარსევან დარჩიძის სახაშე გაეღოთ და გოდერძის ერთი შეშინება კიდევაც შეეშინდა, ამ ჩემოდნით რომ მილიციელმა ქუჩაში მნახოს, ჯიბ-გირი ვეგონებიო.

სახლში მაინცდამაინც არ ეჩქარებოდა, სანამ კარგად გათენდებოდეს, სადგურში დავიცდიო, გადაწყვიტა, ჩემოდანზე ჩამოჭდა და ფიქრებს მიექალა. საფიქრებელი, იცოცხელე ბევრი ჰქონდა, ყველაზე მეტად ის აწუხებდა, ქობლიანელთა იმედი ვერ გავამართლე და ხალხს თვალი როგორ გაეცაშოროო. უმაღლესი რომ დაამთავრა და ჯიბეში პედაგოგის დიპლომი ჰქონდა, ეს ფაქტი მაინცდამაინც არ აღელვებდა, მასწავლებლობისათვის თბილისში წასკოლა რა საჭირო იყო, იგი უფრო მეცნიერებაში ხელავდა თავის მოწოდებას, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ დამნაშავე პირველ რიგში თვითონვე იყო.

ამ დანაშაულში შეიძლება ზოგიერთმა უნიკობა იგულისხმოს და ქალიანაც შეეშალოს. ნიკი გოდერძის სკოლის მეჩხიდანვე დაყვა და უმაღლეში რატომ დაეკარგებოდა! ძალის თავი სხვაგან იყო დამარხული. გოდერძის შეუპოვრობა აკლდა. ბევრი ეუბნებოდა, შენ რომ დასახული მიზნისათვის ბრძოლა შეგეძლოს, წინ კაცი ვერ დაგიდგებაო. პასუხად გოდერძი მხრებს იჩეჩდა, გენების ბრალია ყველაფერი, ასეთი საწყალი დავიბადე, მაგრამ შეიძლებოდა უარესიც დამმართოდა, მაგალითად, ბავშვობში აკნიდან გაღმოვარდნილიყავი და თავი მაგარ სხეულზე დამერტყავა.

ეს, რასაკვირველია, ხუმრობა იყო. სიმართლე კი ის გახლდათ, ვოდერძი რომ ზედმეტად კეთილი იყო და ვერ წარმოედგინა, თუ ვინმე ცუდს გაუკეთებდა. გასაჭირში ჩავარდნილ კაცს მთელი თვის სტიპენდიასაც არ დაუკავებდა. ერთი მისი თანაკურსელი ზამთარში კოსტუმით დადიოდა და გოდერძიმ საკუთარი პალტო ათხოვა, რომ იყიდი, მაშინ დამიზრუნეო. თანაკურსელი პალტოს კი არა, სიგარეტს ვერ ყიდულობდა. ამი-

ტომ ცოტა გაიპატიქა, მაგრამ რადგან პაეშანზე ყინული სიარულა და, მევობარს ხათრი ვეღარ გაუტეხა.

მერე იმ თანაკურსელმა ნათხოვარი პალტოთი იქორშინა და პატარა გაუტეხა და მით გადაუხადა, რომ ხელისმომქიდედ წაიყვანა. იმ პორცელურამ გაუტეხალისწინებელი ხარჯები მოითხოვა, მაგრამ გოდერძი ლობეანიძეს უკან არ დაუხევია. ქორწილზე, სანამ დათვრებოდა, სიძე გვერდზე გაიყვანა და უთხრა, პალტო საჩქერად მომირომევია. აღელვებულმა თანაკურსელმა განდო, მდიდარი ცოლი შემხვდა და შეს ქორწილზე მანქანას გაჩუქებო. სამი თვის შემდეგ ახალშეუღლებული ცოლ-ქმარი გაიყარნენ.

ხუთი წელი იცხოვრა სტუდენტთა ქალაქში გოდერძი ლობეანიძემ. ზარჩოსა და სალიანკის გარდა თუ სხვა საჭმელი არსებობდა, მხოლოდ სტიპენდიის მიღებისას გაახსენდებოდა, როცა ძმაკაცებში მეგობრობისა და ურთიერთგავების სადღეგრძელობს სვამდა. დანარჩენ დროს სახლში იჯდა და რა წიგნიც შეხვდებოდა, პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე კითხულობდა. ბრძნული აზრებისათვის ცალკე რვეული ჰქონდა, რომელ-შიც მნიარ ჩანაწერებს ნახავდით: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერჩვას შენ!“ პლატონი: „უმეგობრო კაცი უფლო კაცზე უბედურია“. ყველაზე მეტად გოდერძის ფილოსოფიური შრომები იტაცებდა. თუ ვინმე კამათში უცნობ წიგნს დაუსახელებდა, თქმა კი არ რცხვეონდა, არ წამიკითხავსო, იმ წამსვე ბიბლიოთეკაში წავიდოდა და გადაიკითხავდა.

ერთ-ორჯერ ბეღნიერება ჰქონდა პონორარი მიელო და ძმაკაცები „არაგში“ წაეყვანა. ჯერ ლექსებს ბეჭდავდა, რომლებიც თანაკურსელ გოგონებს ძალიან მოსწონდათ, მაგრამ გოდერძიმ საკუთარ თავს აღრე გამოუტანა განაჩენი, პოეტობა ჩემი საქმე არ არისო, ლექსების მერე ორი თუ სამი ნოველი დაბეჭდა საზღვაო თემაზე და ამით დაამთავრა ლიტერატურული მოღვაწეობა. მეგობრები კი არა, მტრებიც აღიარებდნენ, ნიჭიერია, მაგრამ საშინელი ზარმაციაო. გოდერძიც კვერს უკრავდა, წვერის გაპარსვა და სადღეგრძელობის მოსმენა ძალიან მეზარებაო.

რაც შეეხება სწავლას, სტიპენდია არც ერთ სემესტრში არ დაუკარგავს, მაგრამ ლექტორები მაინც უკმაყოფილო იყვნენ, მეტი შეუძლია და თავს ძალას რატომ არ ატანსო. თავს ზევით კი ძალა არ იყო, რადგან, როგორც აღრე ვთქვით, გოდერძის შეუპოვრობა აკლდა და დარწმუნებული იყო, ყველაფერი თავისით მოგვარდებაო.

თავისით მხოლოდ ხუთი წელი გავიდა, გოდერძი ლობეანიძეს კი არც ლიტერატურაში დაუმჩნევია კვალი და არც მეცნიერებაში.

ბევრმა ურჩია, ხელი რატომ ჩაგიწევია, მოემზადე და ასპირანტურაში ჩააბარეო, მაგრამ ქვა აავლო და თავი შეუშვირა, ჩემგან მეცნიერი არ

გამოვით. ამას სხვების გასაგონად ამბობდა, მარტო დარჩენილს კი საუ-  
თარ თავზე მოსლიოდა ბრაზი, ცხოვრების საუკეთესო წლები ფუჭურ ვა-  
ვატარეო. ეს, რასავირველია, გოდერძის ხასიათიდან გამომდინარე მაკა-  
რი მსჯავრი იყო, თორებ სხვა მის ადგილზე ცას გამოეკერებოდა უკაშოვა  
ლით, უმაღლესი დავამთვარე და დიპლომი ავიღულ! განაწილების გარეშე  
დარჩენილი გოდერძი ლობეანიძე კი ცხვირჩამოშვებული დადიოდა და  
იმ ზაფხულს ქობლიანში არც კი წასულა.

გავიდა ზაფხული, დადგა შემოდგომა და როდესაც თბილისის ბაზა-  
რზე დასავლეთიდან ლელვი და შავი აღესა ჩამოიტანეს, გოდერძი ლობ-  
ებინძე დარჩმუნდა, რომ აწი დედაქალაქში აღარ გაეჩერებოდა. გოდერ-  
ძის პროვინცია ეძახდა თავისი ორსართულიანი ქათქათ სახლებით, ზღვი-  
თა და სეინერებით, წვიმითა და შზით, ყავითა და ჭორებით. ეს იყო ზე-  
ცური ძალა, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

სექტემბრის ერთ წვიმიან საღამოს გოდერძი ლობეანიძემ ჩემოდანში  
ჩაყარა მთელი თავისი ავლა-დიდება და რაღან კუპირებული ვაგონის  
ფული აღარ დაურჩა, პლაცარტით გაუყვა დასავლეთისაკენ მიმავალ გზას.

მართალია, თბილისი არ გლოვობდა გოდერძისთან გამომშვიდობებას,  
შაგრამ კოკისპირული წვიმა ადამიანს მანც სევდიან გუნებაზე განაწყო-  
ბდა. ვაგონის ზედა თაროზე წამოწოლილი გოდერძი ამაოდ ცდილობდა  
აეხსნა ისეთი ამოუხსნელი პრობლემები, როგორიცაა ბედნიერება, ადა-  
მიანის დანიშნულება ცხოვრებაში, სამართალი, მეგობრობა, უფლობა და  
სხვა ამისთანები.

სწორედ ამგვარ ფიქრებს აგრძელებდა გოდერძი ლობეანიძე ქობ-  
ლიანის სადგურში, როცა მას რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილი არც  
თუ ისე ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და კი გამარჯობა შენიო, მიესა-  
ლმა, მერე აქეთ-იქით გაიხდა და უფრო ხმადაბლა ჩაულაპარაკა, პაპირო-  
სი ხომ არ გექნებაო. ვითომ ხმამაღლა რომ ეოქვა, უკაცრიელ სადგურში  
ვინ გაიგონებდა.

გოდერძიმ კოლოფში ჩარჩენილი უკანასკნელი „პრიმა“ მიაწოდა.  
უცნობმა ერთი გაპატიუება კი გაიძატია, მაგრამ, ეტყობა, ძალიან მონა-  
ტრებული იყო და ისე მაღიანად გააბოლა, რომ გოდერძიმ რატომლაც  
გაიფიქრა, წუხელ უვახშმოდ ხომ არ დაწოლილა.

პაპიროსი შუამდე რომ დაიყვანა, უცნობმა იყითხა, საღაური კაცა  
ხარო, პასუხს აღარ დაუცადა და თვითონვე დასკვნა, თბილისელს კი გავ-  
ხარ, მაგრამ ამ შემოდგომაზე ქობლიანში რამ ჩამოგიყვანა.

გოდერძის რომ დაეწყო, თბილისელობა რას მიქვია, ჭეშმარიტი ქობ-  
ლიანელი ვარო, უცნობი შეკითხვებით აღარ მოასვენებდა. ამიტომ ისევ  
გჩიერება ამჯობინა.

— სტუდენტი ხომ არ ბრძანდებით? — არ მოეშვა უცნობი.  
გოდერძის აღარ უთქვამს, დავამთავრე და სამსახური უნდა



ყოვ, სტუდენტი გახლავათო დაუმოწმა.

— რომელ უმაღლესში სწავლობ, ბიძიკ?

— უნივერსიტეტში ვსწავლობ.

— რა მაგის პასუხია და, შემთხვევით გოდერძი ლობჟანიძეს ხომ არ იცნობ?

გოდერძის ელდა ეცა, მაგრამ მის მოსაუბრეს არაფერი შეუმჩნევაა, მაღალიად აბოლებდა სივარეტს.

— არა, არ ვიცნობ, — უთხრა გოდერძიმ და ფეხზე წამოდგა.

— მაგიც შენსავით უნივერსიტეტში სწავლობს. ობლობაში გაიზარდა საწყალი... იმისთანა ნიჭი გამოყვა, პროფესორები გადარია, ახლა მოსკოვის აკადემიაში მიყავენ და ბებიამისი დარდით აღარაა, ყინვაში ბაღანა გამიცივდებაო. დავამშვიდე, აკადემია ჩვენი სადგური ხომ არაა, ზამთარში ითბობენ-მეტქი. მაგი არაფერი, თურმე საიდუმლოდ იაპონიაში უნდა ვაგზავნონ, იქაური ხალხი მარცხენა ხელით როგორ წერს, ის სკრუტი უნდა ვაგვიგოო. ისე, იაპონიის მაგივრად ქობლიანში რომ გამოეგზავნათ, კი აჯობებდა, — უცნობმა ეშმაკურად ჩაიცინა, — ჩვენი სადგურის უფროსი სულ მარცხენა ხელით წერს უსახელო წერილებს.

გოდერძიმ ჩემოდანი იაღო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო.

— სად მიხვალ, კაცო ჭერ, — შეიცხადა უცნობმა, — სანამ კარგად ვათენდებოდეს, ვილაპარაკოთ, თავი შევიქციოთ.

— თქვენთან საუბარს რა სჭობია, მაგრამ ძალიან მეჩქარება.

— აბა, კარგად იყვი, ბიძიკ... ისე, გოდერძი ლობჟანიძეს მართლა არ იცნობ შენ?

გოდერძი ლობჟანიძე უკვე ქობლიანის მთავარ ქუჩაზე მიაბიჭებდა. ქუჩიდან რამდენიმე მეტრზე ზღვა იყო და მისი ხმაური გარკვევით ისმოდა. მერე ქარმა სმასშეყოლილი მექორწილეების სიმღერაც მოიტანა.

სასილეცრომ დამიწუნა,  
დამწუნა, მითხრა უარი,  
ჩემს შვილს არ გამოადგება  
შენისთანა ლოთი ქმარი.

გოდერძიმ რომ თავისი ჭიშკარი შეაღო, ჭათმები უკვე ბეოლის ხიდან მიწაზე მოფრინიაუდნენ, მარტო ბიბილოგალურჭებული მამალი შემორჩენილიყო ტოტზე და ვინ იცის მერამდენედ აფრთხილებდა აღათის, რაღას უცდი, ვათენდაო.

აღათიმ ჭათმებს საჭმელი გამოუტანა და ეზოში რომ ვიღაცა დაინახა, დასაპურებლად გაქნეული ხელი გაუშეშდა.

— რომელი ხარ მაქ! — ხმამაღლა დაიძახა, ქურდი თუა, მეზობელი  
გაიგონებს და მომეხმარებაო.  
— გოდერძი ვარ, ბებია, — დაამშვიდა შვილიშვილმა.  
— გოდერძიო?  
— კი, გოდერძი.  
— ნენა, შვილო, ისეთი სასიჭარულო სიზმარი მქონდა და რა უცებ  
ამისრულდა!

გოდერძის კიბეზე ასვლა აღარ აცალა, კისერზე ჩამოეკიდა.

— შვილო, რამხელა გაზრდილხარ, შვილო!

— კაი, ბებია, რა გატირებს ახლა.

— რავა გამხდარხარ, ბიჭო, გაგიჭირდა სწავლა ხომ?

— კი გამიჭირდა.

— მერე რა ქენი, ხომ დაამთავრე?

— დავამთავრე, ბებია, დავამთავრე.

— სამახარობლო ჩემზეა... შენი დედ-მამა რომ ვერ მოესწრო ამ  
დღეს, კიდევ იტყვის ვინმე, ღმერთი ორის ქვეყანაზეო!

— კარგი, ბებია, ხომ გითხარი, ნუ ტირი-მეთქი.

— მიხარია და რა ვქნა აბა! ახლა დასასვენებლად ჩამოხვიდოდი...

რამდენ ხანს დარჩები?

გოდერძიმ აღარ იცოდა, საიდან დაეწყო.  
— მე, ბებია... სულ დავრჩები.  
— მერე მოსკოვი... აღარ წახვალ მოსკოვში?  
— გადავითიქმე.  
აღათიმ ცრემლი შეიმშრალა.  
— ჰოდა, კარგი ქენი, რომ გადაითიქმე, ძან სიცივეა თურმე მოსკოვში.

- სხვა როგორ ხარ, ბებია? — გოდერძიმ სახლის კარი შეაღო.
- ხომ ხედავ, როგორც ვარ, არ მოვკვდი ჯერ.
- რა დროს შენი სიკვდილია.
- გამიკეთე გული, გამიკეთე... აბა სულ აქეთ დარჩები?
- რა იყო, ბებია, ხომ არ გეწყინა? — გოდერძიმ ნაცნობ ოთახს დავიტვიდით შეაღლო თვალი, ყვილავერი ძველებურად იყო.

— მათი ტახტზე ჩამოჭდა.  
— წყენა რა შეუაშია, მაგრამ ქობლიანში შენისთანა მცოლეული რა უნდა გააკეთოს?

- չյ՛ը ա՞ն ցուցի... մոցոցիյրեց համես.
- թանգ համ?.. մաց սկամից նշալա დაշքյո, ցյեխ մոռպացու օյշե.
- առա լրացի, զամոցպալոտ... Ֆո, մարտլա, մյ կյոլամի զամբացլո.

დუმილი ჩამოვარდა. გოდერძიმ იფიქრა, ალბათ ეერ გაიგონაო



ხმამაღლა გაუმეორა, მასწავლებელი ვიქნებით.

— კეთილი და პატიოსანი! — თავისითვის ჩაილაპარაკა ჰუმილირებული განჯინის კარი გამოაღო, — პირი ღაიბანე, მოშიებული იქნები.

გოდერძიმ შიმშილზე უფრო ის აწუხებდა, ბებიას ჩემი მასწავლებლობის ამბავი ხომ არ ეწყინაო.

### ისმინე, სწავლის მძიმელო...

მასწავლებლობა მინდა დავიწყოო, ისე აღვილად თქვა გოდერძიმ, თითქოს ვინმე ეხვეწებოდა, მობრძანდი და გაგვახარეო. სინამდევილეში საკითხი გაცილებით რთული იყო. პატარა ქობლიანი პედაგოგიური კადრების ნაკლებობას არ განიცდიდა, მაშინ როდესაც ქალაქს პატარ-პატარა ყველაფერი აკლდა: ბინები, გათბობა, განათება და ა. შ. განათლების განყოფილების გამგემ (იდრე გოდერძიმ დირექტორი იყო სკოლაში) განცხადებით მოსული თავისი ყოფილი მოსწავლე რომ დაინახა, თვალზე ხელი აიფარა, მიწა გამსკდომოდა და შენ არ დამენახეო, უარი როგორ გოთხრა, მაგრამ ხალხი ნახევარ განაკვეთზე მყავს გაფორმებულიო, ყველა პედაგოგობაზე შეიშალა, კალატოზობასა და ფეხბურთის თამაშს არავინ აპირებსო!.. ერთი სიტყვით, გულწრფელად შეწუხდა, მაგრამ იმედის მეტი ვერაფერი მოახერხა, პერსპექტივიაში თუ რაიმე გამოჩნდება აუცილებლად შენ გაიშვებო. გოდერძიმ მაღლობა გადაუხადა და სახლში წამოვიდა.

თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ორი კვირა გავიდა. გოდერძიმ და ქობლიანები ნელ-ნელა შეეჩივნენ ერთმანეთს, თითქმის ყველა ნაცნობმა ნახა და აღარ აწუხებდნენ უსიმოვნო შეკითხვებით, უმაღლესი თუ დაამთავრე, თუ მუშაობ, ცოლი თუ მოგყავსო. თანაქალაქელთა თვალში ნიჭიერების ლეგენდა ნელ-ნელა დაიმსხრა, გოდერძი ლობებანიძე ჩეეულებრივ უმაღლესდამთავრებულ რიგით პედაგოგად გადაიქცა და სუფრაზე თამადაღაც აღარ ირჩევდნენ. პირველ ხანებში გოდერძის ეს ფაქტი ძალიან წყინდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეჩივა და ბოლოს, როცა დაასკვნა, აღბათ, ასე სჯობიათ, შვება იგრძნო. ერთი სიტყვით, ცხოვრების ფილოსოფიაშიც ჩააბარა გამოცდა.

ამ ხნის განმავლობაში ზღვის სანაპიროზე უმეტესად წვიმდა და ხალხი იტალიური პლაშჩი პერნდა დადიოდა სამსახურში. გოდერძი ლობებანიძეს არც პლაშჩი პერნდა და არც სამსახური, სახლში იჭდა და შეტლოვ ჰილმისის თავგადასავალს კითხულობდა. ხანდახან ბებია შეახსენებდა, ზამთრისთვის შეშა და ნავთია მოსატანიო, მაგრამ გოდერძი რატომლაც არ ჩქარობდა.

Հաղա ծեցրո յազագրելոտ, շուդյորմ լոռեյանոյ համոցալոթեթևակ  
Յիշոցոնցոյ լու յաջա: Ըստի, այիհարեւելո, ზարմաւո, պայման  
լո. մոսաելլորեամի յարկայալո պատորություն սարցեթլոնծա վայրէուական  
շրջա պահապահուա շուդյորմ ամիակոցոին ան սոյցարուլուն ամեսայսունը յա  
ցաեցա.

Յիշոցոնցոյ լու տալմո սոյցարուլուն ճամսաեսուրեծա մելո սայմա.  
յա սոյցարուլո կո յադյորմ լոռեյանոյ մետաքանուու ճամսաեսուրու.

Երտաձերտո პորութեծա, հոմելսաւ յադյորմ ճամսաեսազագ զեր օրին-  
լո. մոսո յարու մեխոնծոյ յարասոմբ ծուրժգլա ոյո, եթորեց ու յարասոմբ,  
եսուո թլուս թինատ յադյորմ հոմ պամալլուսմի յասուոլա ճա մյերժից մո-  
ւութիւն օձրացնեցնա, սասաելլո մամուլումցուո յայնուցեծա. սամթուե-  
հորո տայուո օձրունդուո նեյեցնութեծո յարասոմբ ծուրժգլամ յարուո ճա  
մումա տելունդում յանուույիւմ յադյորմ լոռեյանոյ տան ուսու դանես  
մուլիչո, հոմ յրտ-յրտ մյենուցելս, ալծատ, յոնձլուանու սեց յաննո յո-  
ւուցա յագասաելլունա.

Սեցուո հա մոցաեսենոտ ճա, յարասոմբ ծուրժգլաս օմ յանուլան թասասայ-  
լու արացյոր Յյոննա. յադյորմու սրուգնունծուն Յյորուում յոնձլուանու  
սաստումոնչ ջուո սաելու թամոցում, սաստումոնսացան յանսեցայեծուո յայ-  
լո թյալուո յասուանա թոշ ճա ածանաւ հյեւրո յայցելութու մոապորյուա.  
մարտալու, չյոր մետուու մանյանու հոցմո ուցա, մացրամ პորցու սարտու-  
լունց յարայո յարցա ենու յայցեցնութու Յյոննա. սահճացնո մամապուրո մա-  
սոն մոայո, եռլու, սաելու սեցուն անյ մեսամյ սարտուլո մուլուանագ ծո-  
ծուուույքաս դասումո. սոմտորալունո յոնմյ տելուցելո տու  
յայցեցնա ամելա նոնտույցուան յրտո թոցնուո ար յայնեծա թայու-  
եսուու, ջուու ար կո նեյշուցնութու, հա յայսուո, մյորյ, հյեմո նոցուն  
թայուուտացու. մոսո նոցուո լաժարո յարուցնութու յայլուս յոտեսուլոնծա  
ճա սթայլունչ յորտա միյուրալաց յաելուատ.

Հոմ ար ճացայությունը, յարասոմբ սաելու ճայուուութուրո տուտուու ոյո  
յացաեսուրուլո, եռլու յութու մոնայու ամնունծու ճա յայնեծա թայու-  
եսուու, ջուու ար կո նեյշուցնութու, հա յայսուո, մյորյ, հյեմո նոցուն  
թայուուտացու. մոսո նոցուո լաժարո յարուցնութու յայլուս յոտեսուլոնծա

յարասոմբ ծուրժգլաստան նեյլարեծու յադյորմու յար-մուամո յալլու-  
րու սաելու ճայուուուցու համոցայու. յրտսարտուլուան նենուն մամա-քապու-  
րո յուամուրո յեսուրո ճա թյումի յոնձլուանու յուույլ մյորյ դուս թյումի  
թամթիւն նեյշուցնութու սպուրժգլա յայուութու. օջորյ ալատո տայս ոնչյեմունծու  
հոմ յամալլուս ճաամտայունը, մամոն յայցարյմոննուն. օջորյ օջուս հյոմո-  
ւուսատցու ար յուալո, չյոր սամսասուրո յոննո յայլուս.

Նեյություն յոնմյ ույոյիրու, մյենուցելու անդայունուն յոնցի յոնցի յուա-  
լուան սթորոնծամ թահմոնցա. ամելա սասաելու թամոցումյ հոմ յամացորյու

არ შეიძლებოდა, მთელი ქალაქი ხედავდა, მაგრამ არამდენიმე უსახელო  
წერილს თუ არ ჩავთვლით, გოდერძის მსგავსად ხმის ამოღებას უკავშირდების  
აპირებდა, პირიქით, ზოგი კიდევაც აქებდა გერასიმეს, უნარიანმართდების  
ჩევენ არაფერს გვიშავებს და ღმერთმა ხელი მოუმართოსო. ბუნებით ეკ-  
თილსა და სუსტი ნებისყოფის გოდერძი ლობეანიდეს მეზობლის მიმართ  
შური კი არ ამოძრავებდა, მის ქედმაღლობას ვერ იტანდა, ქურდია, მაგ-  
რამ გაჩუმების ნაცვლად თავი ვაჟვაცად მოაქვსო! სატრაბახო კი გერასიმე  
ბურგლას არაფერი გააჩნდა: ატესტატიდან დაწყებული და სამუშაო ად-  
გილით დამთავრებული ყველაფერი ნაყიღი ჰქონდა, საფლავის მიწაც წი-  
ნისწარ იყიდა, იაფად გამოვალო. გერასიმესათვის რომ გეკითხათ, ერაი  
უპრეტენზიო და პატიოსანი ვაჭრობის მუშაფი იყო, მაგრამ მისი სიტყვები  
საყუთარ შვილსაც არ სჯეროდა.

მაშისაგან განსხვავებით ლაზარე ისეთი ალალი ბავშვი იზრდებოდა,  
რომ გერასიმეს ხანდახან ეჭვიც ეპარებოდა, სამშობიარო სახლში ხომ არ  
შემიცვალესო.

მეათე კლასამდე სიმწრით მოყვანილი ლაზარე სკოლის დამთავრების,  
მაინცდამაინც დიდ სურვილებს არ ამჟღავნებდა, მათემატიკაში კადეც.  
მოითმენდა კაცი, მაგრამ ლინგვისტური ნიჭი სრულებით არ აღმოაჩნდა,  
განსაკუთრებით რუსულ მახვილებში უჭირდა. ამიტომ იყო, გოდერძი  
რომ ქობლიანში დაბრუნდა, გერასიმემ ძალზე გაიხარა, ბიჭი რუსულში  
მომიშადე და რაც გინდა, ის მთხოვეო. გოდერძის არაფერი მოუხხოვ-  
ნია და არც ლაზარე მოუმზადებია, გაზეთებში წერია, რეპეტიტორობა  
ჩვენს დროში დანაშაულია, მოსწავლემ ცოდნა სკოლაში უნდა მიიღოსო.

გერასიმეს ჭერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ როდესაც გოდერძიმ ყვე-  
ლაფერი სიტყვა-სიტყვით გაუმეორა, ზაფრანასავით გაყვითლდა, კარგი  
აბა, შენ მაგი გაზეთი იქითხე და იმასაც ვნახავ, რა დახლი დაგიდგებაო!  
ამ საუბრის შემდეგ მათს შორის მტრობა ჩამოვარდა, მაგრამ დამდურე-  
ბამდე საქმე არ მისულა.

მამისაგან განსხვავებით ლაზარე გოდერძის ძალიან დაუმეგობრდა  
და ერთ-ორჯერ კაფეში ჩეხეურ ლულზეც დაპატიჟა. გოდერძიმ ხათრი ვერ  
გაუტეხა. ღუდიდან ბიჭმა კონიაკზე გადასვლაც მოინდომა, მაგრამ მტკიცე-  
პროტესტს წააწყდა და ხელი ჩაიქნია.

როგორც გითხარით, ლაზარე გაკვეთილებს თავს მაინცდამაინც არ  
აკლავდა, თავისუფალ დროს სულ გოდერძისთან იყო და ერთ მშენებელ  
დღეს საიღუმლოც გაანდო, ჩემი თანაკლასელი ცისანა მახათაძე მიყვარს  
და სკოლას რომ დავამთავრებ, ცოლად მოვიყვანო.

გოდერძიმ ბევრი იცინა, რა დროს შენი ცოლიაო, მაგრამ ლაზარეს  
თვალებს რომ წააწყდა, გაიფიქრა, მაგან თუ მოინდომა, ოჯახსაც ციცხლს  
წაუკიდებსო.

ამასობაში გათავდა შემოლეომა და კალენდრით ზამთარი დაფუძნდება. მათ გადაღებას კი არაფერი ეშველა, დროული კაცები ამბობდნენ, კოთხ კაი თოვლი ახლა წამალიაო. ღმერთმა ისმინა და წვიმაში თეთრი მუკალეა ლებიც გამოურია, საკალანდოდ, როდესაც გერასიმე ბურძგლა სამფუთიანი ტახი წამოაქცია, ქობლიანში მტკაველზე მოთოვა და ნავთის წერტები დაიყეტა. ზოგიერთები შიშობდნენ, ასე თუ გაგრძელდა, სინათლესაც გამოთიშვენო, მაგრამ საქმე გამოთიშვამდე აღარ მისულა, რადგან მეორე დღეს ისევ წვიმა დაიწყო და ყველაფერი ერთიანად აატალახა. არდადე-გებზე დათხოვილი ბავშვები კინოს მიაწყდნენ, დიდები რესტორანში ატა-რებდნენ დროს და საქართველოს ძლიერების სადღეგრძელოს ფეხზე ამ-დგარი სვამდნენ. საგაჭრო ობიექტებმა პირველი ოვის გეგმა დიდი გადა-ჰქონდებით შესარულეს. „იმერულსა“ და „საეროს“ ვინ დაიწუნებდა, შავ-ანანურიც სანატრელი გახდა.

გოდერძი ლობეანიძეს სმა კი უყვარდა, მაგრამ სახლში უფულობა აჩერებდა და მოწყენილობისაგან ლამის კედელზე ადიოდა. საყუთაშ თავს შეფიცა, სამსახურს რომ დავიწყებ, უპირველესად ტელევიზორს ვიყიდიო, მაგრამ გაახსენდა, უპირველესად ვალი უნდა გადაეხადა, ამიტომ ტელე-ვიზორის ყიდვა სხვა დროისათვის გადადო (ხომ შეიძლებოდა ლატარია-შიც მოეგო!).

ერთფეროვანი დღეები ზოზინით მისდევდნენ ერთმანეთს, გოდერძი კი მოლოდინში იყო. სიზმარი არც ბებიას უნახავს, მაგრამ ისიც გრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო.

მართლაც, ძველით რომ ახალი წელიწადი გათენდა, ისიდორე დამტა-რებელმა განათლების განკუთვილების გამგის დანაბარები მოიტანა, გოდე-რძიმ აუცილებლად მინახულოსო. აღათიშ სამახარობლოდ ისიდორეს ერთი ჰიქა ტყემლის ჭაჭა გადაახუცეინა. დალევა გოდერძისაც უნდოდა, მაგ-რამ საპასუხისმგებლო მისიის წინ თავი შეიკავა.

როგორც კი გამგის კარი შეაღო, მიხვდა, საქმეს კარგი პირი უჩანდა. მოძილოცავს, ჩემო ძმაოო, გადაკოცნა უფროსმა, მეორე სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ზესტაფონში გათხოვდა და მის ნაცვლად მეათე კლასს შენ ჩაიბარებო, აგერ ბრძანება და ხვალიდან საქმეს შეუდევიო.

ხვალის გათენებამდე კი ქობლიანში ქარიშხალი ამოიჭრა და სანა-პიროზე ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული არგონავტებისდროინდელი ფი-ჭვები მიწას გააკრა. აღიონნზე ზღვაც გადაირია, ჯებირები გადმოლახა და როგორც უკვე გითხარით, რესტორანი „ნარინჯი“ ხელახლა ასაშენებელი გაუხადა ქობლიანელებს.

ასე დაიწყო გოდერძი ლობუანიძემ რუსული ენის მასწავლებლობა ქობლიანის ქართულ სკოლაში.



საქმის დაწყება თამადასავით ყველას უჭირს. არც გოდე უნდობენ მოგვიარებების ნიძის პედაგოგიური ასპარეზი ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. სახამ მე-ათეკლასელები შეეჩერდნენ, ბარე თრჯერ გადაწყვიტა გაქცევა, მანწავ-ლებლობა არა ჩემი საქმეო. მაგრამ იყო ერთი ძაფი, რომელიც გოდე-ძის სკოლასთან ამაგრებდა. ძაფი კი არა, უფრო ჭაჭევი იყო. დის, გოდე-რძი ლობებანიდე შეყვარებული გახლდათ, ნესტან-დარჯანმა რომ ტანი-ელს დღე წაპკიდა, იმაზე უარესი დაემართა. მის ნესტან-დარჯანს თინა-თინი ჰქვიოდა, მაგრამ სიყვარულით თინიკოს ეძახდნენ. გოდერძის თინა ერჩია, მაგრამ სახელზე მთავარი სახე იყო. სერთო ალიარებით, თინა წი-ლოსანისთანა ლამაზი ქალი მეორე საშუალო სკოლაში კი არა, მთელს ქობლიანში არ დაიარებოდა. ეს, რასაკვირველია, გაზვიადებული ცნობე-ბი იყო და გაუთხოვარ ქალიშვილებში შურის გრძნობას ბადებდა.

თინა წილოსანი მკვიდრი ქობლიანელი იყო, მაგრამ მოწავეობაში გოდერძის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან საერთოდ ამგვა-რი რამეებისათვის არ ეცალა. თბილისში რომ სწავლობდა, არც მაშინ ყოფილა დიდი დონ-უანი. სიმთვრალეში ამხანაგებისათვის ხშირად უთქ-ვამს, შეუხედავი ვარ და გოგოები სათოფედ არ მეკარებიან.

ასეთი თვითკრიტიკული განცხადების მიუხედავად, გოდერძი ლობ-ჟანიძეს ქალიშვილები მაინც ყურადღებას აქცევდნენ და ერთ-ორჯერ დღეობაშიც დაპატიჟეს. ერთხელ კიდევ ერთი გოგონა თვით გოდერძიმ წარიყვანა მუსკომედიის თეატრში და სპექტაკლი რომ დამთავრდა, ნაყინ-ზეც დაპატიჟა. მაგრამ ასეთი მაგალითები თიზე ჩამოსათვლელი იყო და საბოლოო არჩევანი გოდერძის არავისზე შეუჩერებია. ამრიგად აღა-თის შიში, თბილისში ქალები ბიჭს გადამირევენ, უსაფურცლო გამოდგა.

გოდერძი ლობეანიძე ქობლიანში გადაირია. თინა წილოსანის დანა-ხელითანავე გულმა რეჩხი უყო და გაკვეთილზე ზმნის ულლება სახელის ბრუნვაში აურია. მოწავლეებმა იფიქრეს, ივად არისო.

ავად კი იყო გოდერძი ლობეანიძე, მაგრამ ამ ავადმყოფობის წამ-ლი მხოლოდ თინა წილოსანმა იცოდა, მისი ერთი გალიმებაც კმაროდა. რომ გოდერძი ზღვაში გადავარდნილიყო.

თინიკო წილოსანისთანა ქალს ქობლიანში გაუთხოვარს ეინ დატოვე-ბდა, მაგრამ ახალგაზრდა მასწავლებელი თაყვანისმცემლებისაგან თავს შორს იჭერდა. გოდერძი რომ პირველად გაიცნო, ხეირიანად არც კი შე-უხედავს, მაგრამ დროთა განმავლობაში ცუდი წარმოდგენა შეეცალა და ყურადღებას აღარ იქლებდა. გოდერძი ლობეანიძე ამაოდ იმტვრევდა თავს, თინა წილოსანმა ჩემში ასეთი რა ნახო, მაგრამ ნუგეშად ის ჰქონ-და, ქალებს მე კი არა, შექსპირმა ვერაფერი გაუგოო.

მთელი ზამთარი გოდერძიმ ტანჯვაში გაატარა. ერთ დღეს რომ ჭარბებდა, თინა წილოსანს ნამდვილად ვუყვარვარო, მეორე დღეს უკან თავბედს იწყევლიდა, მაპითურებს და მეტი არაფერიო. ზოგჯერ უშემსიშვილი სიათხე დგებოდა, დამდურებასაც დააპირებდა, მაგრამ საკმარისი იყო თანივოს ერთი გალიმება და ყველაფერი ივიწყდებოდა.

სიმოვრალეში ბევრგერ გადაწყვიტა, პაემანს დავუნიშნავ და გულს გადავუშლიო, მაგრამ სიფხიზლეში ყოველთვის გადაიფიქრებდა ხოლმე. ან სად უნდა დაენიშნა პაემანი. ქობლიანში ორიოდე ქუჩა, ერთი კინო და თასი ნაცნობი იყო. ქობლიანში რომ ქალთან გაგვლო, ან ცოლი უნდა ყოფილიყო, ანდა საცოლე. თავისი პოეტური სიყვარულის ასეთი პროზაული დასასრული გოდერძი ლობეანიძეს ვერც კი წარმოედგინა.

თინა წილოსანი მისი სახლიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით გოდერძი მის ქუჩაზე ცხრაჯერ მაინც აიარ-ჩაიარდა, სინამდვილეში კი ნატრობდა, იქნებ თინიკო დავინახოო. მართლია, სკოლაში სამსახურეობრივი მოვალეობის გამო შეხვედრა ხშირად უწევდათ, მაგრამ სულ ოფიციალურად ლაპარაკობდნენ და ზოგჯერ უცნობებივით ერთმანეთს თვალსაც არიდებდნენ. ასეთ დროს გოდერძი თავს არწმუნებდა, არც ისე ძალიან მიყვარსო, მაგრამ ერთი ჭიქა ლუდიც კმარობდა, რომ გულზე ცეცხლი შემოკიდებოდა. ხანდახან ასე ცეცხლმოკიდებული მიდიოდა ქუჩაში და ტანი უგრძნობდა, თინიკოს აუცილებლად შევცვდებიო... მართლაც, ორიოდე ნაბიჯს გადადგამდა და თვალს არ უჭერებდა, გზაზე თინა წილოსანი მოაბიჯებდა, ლამაზი, მომხიბელელი და შიშისმომგვრელი თინა წილოსანი! გოდერძი ვაჟვაცურად მოიკრეფდა ძალას და წინასწარ დაზეპირებულ სიტყვებს შეაგებებდა.

— ოო, თინიკო, საით გაგიწევიათ?

— ბიბლიოთეკაში მივდივარ, — თვალებში ღიმილი ჩაუდგებოდა ქალს, — ინგლისური უურნალები მიუღიათ.

გაგაცილებ აბაო, დააპირებდა გოდერძი თქმას, მაგრამ ვერაფერს ამბობდა. იღვა დაბნეული და ჩუმად ქუჩას ზვერავდა, არავინ დამინახოს, თინიკოს რომ ველაპარაკებიო.

ასეთი ამბების დანახვაში კი ქობლიანელები დიდი სპეციალისტები იყვნენ. თინა წილოსანის არჩევანი ბევრს უკვირდა, უფლო მასწავლებელმა როგორ უნდა ცხოვროსო. უახლოესი მეგობრები პირში ეუბნებოდნენ, გოდერძი ლობეანიძე რა შენი შესაფერიაო. თინიკო ირწმუნებოდა, ჭორია ყველაფერი, გათხოვას ჭერ არ ვაპირებო, მაგრამ ფიცი-შტკიცი საქმეს არ შველოდა. საპირველმაისოდ რომ ხელს მოწერდნენ, ყველა დარწმუნებული იყო გოდერძის გარდა.

აღათის შეილიშვილის არჩევანი ძალიან მოეწონა, მაგრამ სხვების გასაგონად მაინც თქვა, ბიჭიშა მე უკეთესი ქალი მინდოდაო. გოდერძის

ყოველდღე არიგებდა, დროზე გადავწყვიტოთ საქმე, ცინმე არ და წილოსნებმა პირი არ შეგვიშალოხო.

ვისი გამოჩენა და რისი პირის შეშლაო, გაბრაზდა ბოლო კი უძლიერი და, ჩვენს მორის არაფერი სერიოზული არ არისო. აღათისაც გული მოუვიდა, რა გაყვირებს, ჩემს სიკვდილს თუ უცდი, მე ჯერ კუბოში ჩაწოლას არ ვაპირებ, შენი შვილები უნდა გავზარდოო.

იმ სიტყვების შემდეგ გოდერძი სახლში როგორ გაჩერდებოდა. გადაწყვიტა, თანა წილოსანს ავტომატიდან პარმან დაუცუნიშნავ და თუ ვუყვარვარ, იმასაც გვარჩვევო.

— ალო, გისმენთ! — მუსიკასავით აფლერდა თინას ხმა ტელეფონში,  
— გისმენთ-მეთქი!

გოდერძის სათქმელი ერთბაშად დაავიწყდა და რადგან ხმა არ ამოიღო, ქალმა ტელეფონი დაუკიდა. მეორე დღეს თინიკომ ახლობელივათ გაანდო, ვიღაცა ძალიან უცნაურად მირევს, დარეკავს და ხმას არ მცემსო...

გოდერძიმ ვითომ გაიკვირვა, მაგრამ გულში მაინც ეჭვმა გაკრა, ჩემს გარდა კიდევ ხომ არავინ ურეკავსო.

ამასობაში გათავდა ზამთარი. პირველი მაისის დემონსტრაციამაც ჩაიარა ქობლიანის ჭუჩებში, გოდერძი ლობჟანიძისა და თინა წილოსანის ურთიერთობა კი მკვდარ წერტილზე იყო გაყინული. ვინ იცის, იქნებ ეს ყინული ზაფხულის ცხელ მზეს გაელლო.

შუა მაისიდან ქობლიანს პირველი დამსვენებლები მოადგნენ.

(ვაგრძელება იქნება)

\* \* \*

მე მინდა შენი იმედი მქონდეს  
 და მქონდეს შენი თბილი ღიმილი.  
 და შენგან შორით ვიქნები ოდეს  
 არ დაგეკარგო ამწყდარ ღილივით.  
 გადახრილია ბედის სასწორი,  
 რომელზეც ჩემი ოცნება დავდე.  
 ჩემს შეცდომას მე გამოვასწორებ,  
 როცა იქნება, გვიან თუ ადრე.  
 ჯერჯერობით კი გეტყვი მიყვარხარ,  
 ისიც ვიცი, რომ ეს შენ არ გვერა.  
 შენ არ გვერა და ეს არის ახლა  
 ჩემი ყველაზე დიდი სასკელი.  
 და დავალ ასე მსჯავრდადებული  
 და ისევ მე ვარ ამის მიხეჭი.  
 მე შენს წინაშე ვარ ვალდებული  
 ყველაფრისა და ყოველივესი.  
 ეს აღტაცება და ეს წვალება  
 მე მომიღლინა განგებ განგებამ,  
 შენ გვირილა ხარ ჩემი თვალების  
 და არასოდეს დამეკარგები.  
 ჩემი მაისის თეთრი დილა ხარ  
 და ცისკრის პირველ ხილვას ედრები.  
 სხვა რომ არ მითხრა...  
 ჩემი კბილა ხარ  
 და არასოდეს დამიპერდები.



მგლის მუხლი და ხარის ღონე,  
მოთმინებაც ხარისა...  
სიმღერის ხმა გამავონე  
დღეისა და ხვალისა.  
იმძლავრე და ილორძინე,  
ზოგჯერ მეც გამიგონე,  
უფრო მეტი იქორწინე,  
უფრო ცოტა იგლოვე.  
გააქროლ-გამოაქროლე  
მერნისფერი რაშები,  
შენების ხმა გამავონე,  
საქართველო აშენე.  
ხალშენს და ახალ სოფელს  
ოქროს ვაშლებს ეხაროს,  
არასოდეს,  
არასოდეს

კედი არ მოგეხაროს. გიგლიორთება  
ძველ ქუთაისს ემატება  
ახალი ქუთაისი,  
ქუთაისი მენატრება,  
მისი თეთრი მაისი.  
ახალ რუსთავს,  
ახალ მესხეთს  
ცა ახურავთ სამერცხლე.  
ალარ ვიცი სად გავიძე  
ყაყაჩოთა ნაკვერჩხლებს?!  
ცეწაფები, არ ინთქმება...  
მწყურია და მწყურია...  
შენ იყავ, ზღვა,  
შე ვიქნები  
შენი დიოსკურია.

ჩემი ოთახის ოთხი კედელი,  
ორი ფანჯარა,  
ჭერი მდუმარე,  
გაფართოვდება და დავეტევით,  
თუ მესტუმრება კარგი სტუმარი.  
ჩემი ლიმილი ყველას ეყოფა,  
სიხარულს, შობილს მთრთოლვარე გულთან,  
გავუზიარებ ყველა მეგობარს,  
ვისაც კი ჩემი სიკეთე უნდა.  
რომ ერთმანეთის ნახვა გვწყუროდეს,  
თვალი გვპირდება უფრო ფხიზელი...  
ნუ მოგვიშალოს ღმერთმა ნუროდეს  
კარგი სტუმარი და მასპინძელი.  
მოხვალ და გულის კრი იღება,  
მოვალ და სულის მირონს მოგიტან...  
კარგი სტუმარის კარგად მიღება  
საქართველოში მოგვდგამს ოდითვან.  
არ მოგვეშალოს ტკბილი სტუმრობა

და მასპინძლისთვის თქმული „მადლობა“.  
 სტუმართან, ზოგჯერ, ვიცით ხუმრობა,  
 ვიცით ლეინის სმაც და თამადობაკ.  
 ვიცით სტუმრობაც და მასპინძლობაც  
 და გვაძეს ამბები ახალ-ახალი...  
 თუ დავაღმდა ვზაზე, ვინცობას,  
 ჩემთან მობრძანდი და გამახარე.  
 ადგები დილით და ქუდს მონახავ,  
 შეგეხეყიშები, რომ არ დაგვტოვო,  
 ჯერ ვერ გაგიშვებ, დარჩი ცოტა ხანს,  
 არ მემეტები, ჩემო ბატონო.

\* \* \*

შენ უნდა მითხრა რამე ახალი,  
 შენ უნდა მითხრა, ისე მოგენდე...  
 როდემდე, ჩემო ფიქრო მაღალო,  
 შენ სიხარულო ჩემო, როდემდე?!  
 თქვი, სიყვარულო ჩემო, როდემდე,  
 როდის ჩადგება მთებში გრიგალი?  
 მითხარი, ისე რატომ მოგენდე,  
 და ასე რატომ დაიგვიანე?!

\* \* \*

გაივლის დრო და უინი დაცხება,  
 დაგავიწყდება ცა მაშინდელი,  
 შეურიგდები ამ დამარცხებას,  
 დაშოშმინდები და დამშვიდდები.  
 იყავი სათნო,  
 თბილი,  
 ამაყი,

შენს სიამაყეს გინდა ახსენებს?!  
 წაიღებ დარდებს და შორს გადაყრი,  
 როგორც გატეხილ ჭიქის ნამსხვრევებს.

\* \* \*

ისევ შენი იმედით,  
 ისევ შენი ცით,  
 იმედს თუ გამინედლებ,  
 აბა, შენ იცი!  
 არაფერი ისეთი...  
 არაფერი სხვა...

მხოლოდ შენ ერთს გისმენდი  
 და შენშია ხსნა.  
 ფათერაკი მდევს,  
 ხელს მაინც არ ჩავიქნევ,  
 საქართველოს მზევ,  
 ოღონდ შენ არ ჩამიქრე.

ჯემარ ხოჭოების

## ჩემი კათიძი ხედები

ჩემი ქარხანა ქალაქის ახალ უბანშია და ჩემი სახლიდან საქმაოდაა დაშორებული: ქარხნისაკენ მიმავალი ავტობუსის გაჩერებასთან მისცლა-მდე ათი წუთის სავალია. ავტობუსი ხშირად იგვიანებს, ვდგავარ და ვე-ლი, საშინლად მეჯავრება ცდა, მაგრამ რას იზამ, როცა ეს აუცილებელია!

ზლაზვნით გადიან წუთები და ბოლოს, როცა ეს-ესაა იმედი გადავკუ-  
ყდება, გამოჩნდება ისიც — დაცხავებული ვეტერანი, რომელიც კუსავით მო-  
ბობლავს, საშინლად ჯალჯაყებს და ჭრიალებს. ამ ავტობუსის შემხედვარე,  
სამუშაოზე ხშირად ვაგვიანებ და როცა დაგვიანებული ვარ, დირექტო-  
რზე უფრო ნიკიფორესი მეშინია და მეხათრება. იგი ბევრ წილადობილას  
არ დაგიწყებს — ადგება და პირში მოგახლის სათქმელს. სულერთია მის-  
თვის, გაგიხარდება თუ გეწყინება. ნიკიფორე დიდ ფიგურას არ წარმოა-  
დგენს — ქარხნის მეტაბელეა, მაგრამ მაინც მეხათრება. დაგვიანებულს  
რომ დამინახავს, ჯერ საათს შეხედავს, მერე შუბლს ისე შეიძმუნის, კაცი  
იფიქრებს: ეს-ეს არის ძმარი დალია.

— კიდევ დაიგვიანე, ხომ?... შევარცხვინე მე შენი ნამუსი! რა  
დროა ახლა?

ნელა ვაპარებ თვალებს საათისაკენ და საკუთარ თვალებს არ უ-  
ჭერი: ბიჭოს, ნახევარი საათი არ დამიგვიანია?! არა, შეუძლებელია. ალ-  
ბოთ ეს საათი წინა!.. და ჩემს იჭვს ნიკიფორეს უუმხელ.

— გაჩვენებ მე შენ, წინაა თუ უკან! ნახევარი საათი მოპარე ქარხანას  
და ისე იცინი, ვითომც დიდი საგმირო საქმე ჩაგედინოს... შენ იცი, ბიბ-  
ლიაში რა წერია?

— არა, არ ვიცი.

— რა იცი, მაგი რომ იცოდე... რამდენი დღე დასჭირდა ღმერთს, ეს  
ქვეყანა რომ შეექმნა?

— ურწმუნოს, კომკავშირელს საიდან მეცოდინება მაგი? — ეკლესიაში არც მე დავდივარ, მარა ვიცი, წამიკითხავს.  ყოველდღე ჩახევარ-ჩახევარი საათი რომ დაეგვიანა ღმერთს, შეკრულები ში კი არადა....

— მერე და ვინ აძალებდა იმ დალოცვილისშვილს მაინცდამინც შვიდ დღეში შექმნიო? — ვკითხულობ მე.

— მაგდენი მეც არ ვიცი... წადი ახლა ბიძია და საქმეს მიხედე, საქმეს!

...პოდა, წარმოიდგინეთ მისი გაოცება, დილაუთენია რომ დავადექი თვაზე ერთ დღეს. ჯიხურის კარი იმ დროს შევაღე, როცა უძილობისა და უსაქმურობისაგან თავმობეზრებული ნიკიფორე ის-ის იყო მთქნარებას ამთავრებდა. მომჟრა თვალი და პირი ღია დარჩა, ძლივს მოახერხა დაეხურა გამოქვაბულივით დალებული პირი.

— ავად ხომ არ ხარ ბიძია შენ? — მკითხა წყნარაჲ.

— აპა, კენჭივით ვარ! — მიუუგე არხეინად და ქარხნის მარშრუტის აცტრიბუსივით მოჭრაჲუნე ძელსკამზე ჩამოვჭექი.

— ასე ადრე რამ მოგიყვანა, აპა?

— მომშულდა ყოველდღე დაგვიანება და შენი გაუთავებელი ნოტა-ცები.

— მოჭრებიანდი, ესე იგი, არა? — გაუხარდა მას. — რახან ასეა, ახლა ისეთ რამეს დაგალევინებ, ისეთ რამეს, ჯერ რომ არ ვინახია. — ზაგიდის უჯრიდან რაღაც თეორი სითხით სავსე ბოთლი ამოილო და დამანახა.

მონადირე ძალივით გავაფართოვე ცხვირის ნესტოები და იქაურობა მივყნოს-მოვყნოსე, მაგრამ ვერავითარი განსაკუთრებული სუნი ვერ აღმოვაჩინე და გავიფიქრე: — ამ კაცმა ისეთი რა უნდა გამასინჯოს, რაც ჯერ არ მინახია-მეტქი!

ნიკიფორემ ნიშნისმოგებით ჩაიხითხითა, ჭიქა და პურის ნატეხი ამოილო. ჭიქა შეავსო. კარგახანს ამბობდა სადღეგრძელოს და ბოლოს ეშვილა — გადაპკრა და პური შეაყოლა: — რაა კაცო, ა! — დაიბაგუნა ვულებე ხელი, — ცხონებაა, ნამდვილი ცხონება.

— რაც იქნება, იქნება, მეც გამასინჯე ერთი ეს ცხონება, — ვთხოვ ვე.

დამისხა. ბევრი ლაილი არ დამიწყია, მაშინევ დაღმართი ვუჩევენ და საჩვენებელი თითოთ მოვიწინდე სველი ტუჩები.

— ეებ! — ჩაიქნია ხელი უკმაყოფილოდ, — პირწავარდნილი ლოთივით რომ გადაპკარი, პურის არაყი ხომ არ გვონია შენ მაგი? სანთლისაა, სანთლის! გემო უნდა ჩატანო, გემო!

მეტი რა ჩატანება უნდოდა, გემოც ჩავაყოლე და სულიც...

ტელეფონი აშკრიაღლდა. იგი ყურმილს დასწვდა და ვიღაცა უკაშავებობა საუბარი გაუბა. ვზივარ და ვუცქერი ბერიყაცს... თმა გასთეობობის, ფეხმერთალი სახე ნაოჭებს დაუღარავს, თვალები მიბნედია ფაქტურული მოშევებით, ოდნავ, ოდნავ უტოვავს შექაღარავებული წარბების ჩრდილი მეზობლად ცხოვრობს. ცოლი შარშან მოუკვდა და ახლა ერთადერთი ქალიშვილის, სალომეს ანაბრადა დარჩენილი. სალომე საკერვალო ფაზრიკაში მუშაობს. როგორც ყველა ქმარმიტოვებული, ოცდათ წელს გადაცილებული ქალი, ისიც მხოლოდ მოგონებითა და მირაფით ცხოვრობს. იგი ერთავად ნაღვლიანია და იშვიათად თუ გაიღიმებს, მაგრამ ისეთი დასამახსოვრებელი, მომაჯადოვებელი გალიმება იცის, გინდა რაც შეიძლება ხშირად იღიმებოდეს. მახსოვს ერთხელ, საუბრისას წამოცდა სალომეს: რა მოხდა ქმარმა თუ მიმატოვა. ეს ამბავი მარტო ჩემს თავშე როდია. შე მხოლოდ იმას ვწუხვარ და იმაზე ვტირი, რომ მიყვარდა და მაინც დამტოვაო. მე მაშინ ვერაფერი ვერ გავიგე, როგორ შეიძლება მიატოვო ადამიანი, რომელსაც უყვარხარ! ამას უფრო მოგვიანებით მივხედო.

არა და არ დაამთავრა საუბრის იშტაზე მოსულმა ბერიყაცმა ლაპარაკი. თუმცა რა, რას მიმავებს. თუკი მოსწონს, ილაპარაკოს რამდენიც უნდა. ხელისგულებით ვეყრდნობი ფანჯრის განიერ, ალგა-ლაგ სალებავ-გადაცლილ რაფას. ფანჯრიდან ხელისგულივით მოხანს მთელი ქარხნა, მოასფალტებული, განიერი გზა, მწვანეში ჩაფლული საამქროები. ქარხნის ეზოში პირველად სასადილო და კლუბი შემოგევებება კაცს. აქვეა ბიბლიოთეკა, წითელი კუთხე. მერე კი იწყება ერთმანეთის მიყოლებით ჩარიგებული საამქროები — გალვანური, სახელსაწყო, სამღებრო, მექანიური, მეორე საამწყობო და ბოლოს ჩვენი — დამამზადებელი. ეს საამქრო ქარხნის ერთ-ერთი წამყვანი უბანია, ყველაზე დიდი და ხმაურიანი...

როგორც იქნა, დაამთავრა ბერიყაცმა ლაპარაკი, ყურმილი დასღო, ხმამალლა, გაბმულად დაამთქნარა, გაიზმორა და უცებ მომაჩერდა.

— რას უყურებ მაქ? — მკითხა ბოლოს.

— არაფერს, ისე რა... — მივუგე და საათს შევხედე. ჯერ კიდევ მთელი საათი იყო დარჩენილი სამუშაოს დაწყებამდე. უკვე აღარ ვიცოდი. რით მომეკლა დარჩენილი დრო. კარგახანს ვდღმდით ორივენი. ჯიხურში გამეფებულ მყუდროებას საათის მონოტონური წიკწიკი და ფანჯრის მინაზე შემოცოცებული ბუზის ბზუილი არღვევდა.

• • •

ვტოვებ ჩათვლემილ ნიკიფორეს, გავდივარ ქარხნის ეზოში და ნელი ნაბიჯით მივუყვები გზას ჩემი საამქროსაკენ.

ჩეენი საამქროს უკან ხის გრძელი საწყობებია გაწოლილი. აქ მზა პროდუქციასა და სხვადასხვა ხელსაწყოებს ინახავენ. აქვეა ლითონის ნარჩენების საწნევი დანადგარი, რომელიც დაწოლილ სპილოს ჩამოგავს.

საწყობებს მერე იწყება ვრცელი მინდორი, ოომლის ბოლოს ქვის ჭარბო  
გალავანთან თავდება ქარხანა და იწყება ჩაის პლანტაციები,  
ციტრუსების ბაღები. გალავნის მახლობლად, ყოველ თბიათვე შემოგვაწყვეტილ  
ზეინები იდგმება. თივას რომელიმაც სოფლელი მზადებს ჩვენი დოკე-  
ქტორის ნებართვით. ჯმუხი, შუბლშეკრული, შემოდგომის დღესავით პი-  
რქუში და გაუცინარი კაცია, სიტყვაძვირი და ბალახივით ჩუმი. მოადგე-  
ბა ქარხანას მხარზე დარღმანდულად გადებული ცელით და იწყებს თი-  
ბვას. რაღაც თავისებურ ხმას გამოსცემს მოსმული ცელი და უხმოდ წვე-  
ბა ბალახი მიწაზე.

ერთხელ ვთხოვე: ცოტა მომათიბვინე-მეთქი. არაფრით არ ქნა: ცელს  
გამიფუჭებო. რაღა მექნა, მოვეშვი! კაცს არ სურდა დავხმარებოდი და  
კალთებს ხომ არ ჩამოვალლეტდი: გინდა თუ არა მომათიბვინე-მეთქი.

...საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ქარხანას მივაშურე. კაღ-  
რების განყოფილებაში გულთბილად მიმიღეს, დიდიხნის ნაცნობივით  
მომიკითხეს, მომისმინეს და... ცივი უარი მტკიცეს: ჯერჯერობით პავი-  
თრი ადგილი არ გავაჩინაო, ცოტას თუ მოითმენ, ახალ სამქროს ავა-  
გებთ და მერე შენისთანა ბარე ასი დაგვჭირდებათ.

ვალებში ჩაფლულ კაცივით ჩამოვყარე ყურები. არა, ასეთ რამეს ნა-  
მდვილად არ მოველოდი. ასე მეგონა: მივიდოდი თუ არა ქარხანაში, ჩა-  
მავლებდნენ ხელს, ქეცელ-ქეცელ გრძებენინებდნენ რომელიმე სამქ-  
როში, დამაყენებდნენ დაზღვანთან და მეტყოდნენ: აწი შენ იცი, შენი იმე-  
დი გვაქვს და არ შევარცხვინოო.

კაღრების განყოფილების გამგემ, სათვალიანმა ჭალარა ქალმა, როცა  
შემატყო, მეწყინა, სამქროს მშენებლობაზე მუშაობის დაწყება შემომ-  
თავაზია: — დამხმარე მუშები სჭირდებათ და თუკი იმუშავებ, კარგი  
იქნებათ. ერთხანს ვყოყმანობდი, მერე დავეთანხმე: — რაც იქნება,  
იქნება-მეთქი!

ასე გავხდი მშენებელი. ჩემისთანა ახალბედა, თავის სიცოცხლეში  
პირველად რომ კიდებს ნიჩაბსა და ბარს ხელს, ბარე ათამდე იყო. ბრიგა-  
დიტიც ახალგაზრდა ბიჭი იყო, ხუთი-ექვსი წლით თუ იქნებოდა ჩემშე  
უფროსი. კუნთებს რომ გაგივარჯიშებდა, ისეთი სამუშაო იყო სწორედ.  
ნიჩაბმა ხელისგულები გადამიყვლიფა. დაღლილობისა და დაძაბულობისა-  
გან თავბრუ მეხვეოდა და ასე მეგონა: დედამიწა, ხები, სახლები, ყვე-  
ლაფერი ჩემს ირგვლივ კარუსელივით ტრიალებდა და ბრუნავდა. მეცვა  
ცემენტის ხსნარით გათითხნილი კომბინეზონი და ვმუშაობდი. სამუშაო  
კი არა და არ მთავრდებოდა. ერთადერთი რამ, რასაც მაშინ მთელი არსე-  
ბით, მთელი გულით ვნატრობდი, ეს იყო დასვენება, ძილი! ისე ვიქანცე-  
ბოდი, ლამის ზეზეურად მეძინა წვიმაში მდგარი ცხენივით. დამთავრ-  
დებოდა თუ არა სამუშაო, მივაგდებდი ნიჩაბს, ლასლესით მივდიოდი სა-

ხლში, მივეგდებოდი ლოგინზე და დილამდე გვერშეუცვლელად, მეტანა. ღამდამობით, სიზმარშიაც ბეტონი მესიზმრებოდა და ვიტანჯებოდა და ლილი ძლიერი ჩამიღვამდა დედა სულს, ძილგამოყოლილი, მოქნარებული მუსკულურებით მივუჭდებოდი მაგიდას, წავისაუზმებდი და ნელი ნაბიჭილ, მუკულურ ლივით მივდიოდი მშენებლობაზე.

დღითიდელე მაღლა-მაღლა იწევდა მომავალი სამქროს კედლები, როგორც შემეძლო, ისე ცეხმარებოდი ბებერ კალატოზს და გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს, თუ როგორ მუშაობდა იგი. კალატოზი ხანდახან ჩემთვისაც მოიცვიდა. კოტიტა საჩვენებელი თითოს დაქნევით მომხმობდა, ბრიკეტის ბრიკეტზე დაწყობასა და კედლის ამოშენებას მასწავლიდა, დაუზარებლად მიხსნიდა. მე ვუსმენდი და ვსწავლობდი.

სამქრო ავაგეთ. ბებერი კალატოზი, რომელსაც თავისი დღე და მოსწრება მშენებლობაზე გაეტარებინა, ძალაან შემეჩვია. თქმით არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ვამჩნევდი — კმაყოფილი იყო ჩემი მუშაობითა და მონდომებით.

შენგან, ჩემ ბიძია, კარგი მშენებელი გამოვა, მითხრა ერთხელ და მთხოვა, მასთან მეუშავა მშენებლობაზე. რატომლაც ქარხანა უფრო მიტაცებლა და უარი ვუთხარი — არაფრით არ შემიძლია-მეთქი. ეწყინა, ჰენი საქმისა შენ იციო თქვა და დაუმატა: — სანამ სააამქროში დაზებს დაამონტაჟებდნენ, მანამდე მაინც წაიმუშავე ჩემთანო. ამაზე კი დავთანხმდი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, საამქროს გაშვებამდე მე და ბებერმა კალატოზმა ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ავაგეთ ქალაქის გარეუბანში.

მივაშურე ისევ ქარხანას. ახალ საამქროში ამომიჩინეს ადგილი. მივედი. არ მომეწონა. ან კი, კაცმა რომ თქვას, რა მოსაწონი იყო: მომცემდნენ ტრანსფორმატორის კოჭის, რომელზედაც სპეციალური დანადგარით წერილი, ოქროსფერი იზოლირებული მავთული უნდა დამეხვია, მერე ეს მავთულდახვეული კოჭი სპეციალურ ყალიბში უნდა ჩამედო და ჭანჭიკებით დამემაგრებინა. ეს იყო და ეს. მოკლედ, ზედგამოჭრილი გოგოს საქმე იყო.

— რაო, იმუშავებ? — მეტთხა საამქროს უფროსმა.  
— არა, ამაზე ვერ ვიმუშავებ! — მივახალე უარი.  
— რატომ, ბიჭო? — ისე გაუკვირდა, თითქოსდა სასწაული მომებდინოს, — ადვილი საქმეა, სუფთა, გამომუშავებაც მაღალია, მეტი აბარა გინდა?

— მაგაში არა საქმე! — ვთქვი და თავი შევიცხანე.  
— აბა რაშია, კაცო?! — აღელდა იგი.  
— ადვილი რომ არის და მაგის გოგოც რომ გააკეთებს, იმაშია საქმე!  
— მივახვედრე, როგორც იქნა.

ერთხანს უსიტყვოდ მიყურა. მერე გაიცინა და მხარზე დამარტყა  ლი: — მართალი ხარ, ხომ იცი შენ... აბა რა გიყო ახლა მე? უკუკულები გიგლიოთება  
— სხვა ღვიგლს თუ გამომინახვთ...

გადამიყვანეს ისევ დამამზადებელ საამქროში, მიმაყენეს ვეება, აშო-  
წილ დაზგის და მითხრეს: — ამაზე იმუშავებო. რომ დავინახე, შემეშინ-  
და. დაზგა ავტომატური იყო, უახლესი კონსტრუქციისა, ახალთახალი. და-  
ვაჭერდი შავ ღილაკს თითს და დატრიალდებოდა სქელი, ვერცხლივით  
მოლაპლაპე ლილვი, მოკიდებდი გემის საჭის მაგარ სახელურს ხელს  
და როგორც გსურდა ისე ამოძრავებდი ბურლს — ხან მაღლა ასწევდი, ხან  
დაბლა დაუშვებდი.

ჩემი მასწავლებელი ახალგაზრდა ქალი იყო — სქელი, დაბალი, ფუ-  
ნჩულა. ქერა იყო და კეთილი, გულში ჩამწვდომი გალიმება იცოდა. პირ-  
ველ ხანებში იგი ერთოთავად შუბლშეკრული იყო. მისი შემხედვარე, კა-  
ცი ითიქრებდა: ქვეყნის ჭირი მხოლოდ და მხოლოდ ამ ქალისათვის აუ-  
კიდნიათ ზურგზეო. იგი პირველ ხანებში არაფერზე მაკიდებინებდა ხელს,  
მაიძულებდა უსაქმოდ, ბოძივით დარკობილი ვმდგარიყავი მის გვერდით  
და მეცქირა. იგი მუშაობდა და მიხსნიდა — ეს ასე უნდა გააეკოთ და ეს  
კიდევ ასეო. ვცდილობდი, ყველაფერი დამემახსოვრებინა, მაგრამ ვერ ვა-  
ხერხებდი და ეს კიდევ უფრო მაბნევდა, მრცხვენოდა მისი, საკუთარი თა-  
ვისაც. თვალს ვერ ვუსწორებდი, როცა ისე ვერ გავაკეთებდი, როგორც  
მას სურდა.

— თუ კაცი ხარ, ნუ ინაზები და ნუ გრცხვენია. — მეტყოდა იგი, —  
რაც არ იცი, მკითხე, ვალდებული ვარ აგიხსნა.

აი, დადგა კიდევ ნანატრი — დამოუკიდებელი მუშაობის დღე, ახლა  
გამოჩენდებოდა რაც ვიცოდი და რაც არა. ახლა უკვე ვეღარ ვიქნებოდი  
ჩემი მასწავლებლის იმედით, თავად უნდა გამენძრია ტვინი. უკვე ვეგმა  
მქონდა მოცემული და არავინ მაპატიებდა, რომ არ შემესრულებინა.

ჩავრთე ძრავა და შევუდექი მუშაობას. მსხვილი ფოლადის დისკო-  
ებს ვბურლავდი. მას გემის ტრანსფორმატორებისათვის იყენებდნენ. რო-  
გორც იქნა გაგბურლე ხუთიოდე ცალი და უკვე აღარ გასჭრა ბურლმა —  
დაიყლრიალა, შეთრთოლდა და ჭრილში გაეჩირა. მთელი დაზგა აცახცა-  
ხდა, ასთმაშეუყრილივით დაიხრიალა ძრავებ. შეშინებულმა გამოვრთე და-  
ზგა და მაშინვე ჩემს მასწავლებელთან გავიქეცი: — იმ წყეულს რაღაც  
საშინელება სჭირს და მიშველე-მეთქი.

მაშინვე მიატოვა სამუშაო და წამოყვა. მოეიდა, დახედა და თქვა: —  
ბურლი გადამწვარაო. ბურლის გადაწვა თუ შეიძლებოდა ეს კი არ  
ვიცოდი. მომახსნევინა ბურლი და საწყობში გამაქცია ახლის მოსატანად.  
ბურლი არ მომცეს — ცვლის ოსტატის ხელშერილიაო საჭირო. გავიქეცი  
ისევე სტატის მოსაძებნად. ძლივს მივაგენი მექანიკურ საამქროში. მომ-

წელში მოხრილი, დაძაბული ვაჩერდები ყალიბს და ნელა ვაწვები სახელურს. ტრიალებს ლილვი, ბრუნავს ბურღი და ხმაურით, ხრაშურით იქტება ფოლადი. დროდადრო კონსერვის ეანგიანი ქილით ვიღებ დაზგას-თან მდგარი ვეღროდან ტექნიკურ ზეთს და ვასხამ ყალიბში. ტრიალებს ბურღი. მეწამული ფერის ბურბუშელა ეცვევა ბურღის წვერზე, მიიწევს მალლა, გველივათ იკლაკნება, სწყლება ბურღის წვერს და გადამუშავებული ზეთით გათხუნულ ლაფეტზე ეცემა. ნელ-ნელა, ზანტად წვეთავს ლაფეტიდან ზეთი და წყაპუნ-წყაპუნით ეცემა მიწაზე. ფეხის ყოველ მონაცელებაზე ხრაშუნებს, იმსხვრევა მყიფე, სველი ბურბუშელა. ხახუნით ჭარბოქმნილი სიმტკრვალისაგან ზეთი დუღს და თეთრი, ბამბასავით ოეთრი. საშინლად მყრალი და ცხელი ორთქლი მეგზნება სახეზე. მახველებს. თვალები საშინლად მეწვის. კიდევ კარგი, ხმაურია და ჩემი ხველა არავის ესმის. ო, ეს ხმაური! პირდაპირ კუკაზე შეშლის ადამიანს. როგორ დამ-ლალა და გამაწამა. რენის უღრიალი, დაზგების ჭახა-ჭუხი, ღვედების მონოტონური, თავმომაბეზრებელი ხმაური ნერვებს მიშლის. სისხლი თავში მარცვება, ასე მგონია, ყურის აპკი მისკლება.

ხელის ზურგით ვიწმენდ შუბლზე დაცვარულ ოფლს. ჭირის ოფლია ეს, სიმწრის ოფლი. ზეთში არეული ოფლი, ჩემი ლუკმაპურის მომპოვებელი ოფლი.

„შენი ნაოფლარი ლუკმა ტკბილია!“ — სად გამიგონია ეს ფრაზა? ძალიან მინდა გამახსენდეს და მახსენდება კიდეც. „ჰო, ეს ხომ შენ მითხვერი დედა!“ მე ვიცი რასაც ნიშნავს ეს, ძალიან კარგად ვიცი! ახლა, ამ წუთში, შენ რომ იყო ჩემთან, ჩემს გვერდით, დაღლილ ხარივით წავიჩოქებდი ამ ზეთით დამბალ მიწაზე, ავიღებდი შენს ნაგაფარ ხელებს, ვეამზორებოდი უწმინდესი, უნაზესი ამბორით და ხმამაღლა, ყველას რომ გაეგონა, ხმამაღლა გეტყოდი: — ძნელი ყოფილა შენი ხელებით მოპოვებული ნაოფლარი ლუკმა, ძნელზე ძნელი და უტკბილესი... ასგზის, ათასგზის მაღლობა ამ ჭეშმარიტებისა და ამ ტკბილი ლუკმისათვის შენ, ალალ ლუკმასავით ტკბილო, დედა!

...ვრთავ დაზგას, ვკლები რკინის ყუთზე, კომპინეზონის ჯიბიდან ორი თითოთ ვაძვრენ სიგარეტს და ვუკიდებ. ზეთში გასვრილი თითები თხელ, სიფრიფანა ქალალდს ალბობს და მყრალი, საზიზღარი გემო აქვს სიგარეტს. გული მერევა, ვაფუროთხებ. მოკიდებული სიგარეტი ზეთის გუბეში ტყაჭუნით ეცემა და შიშინით ჰქრება. ისევ მინდა მოვწიო, ხელებს საგულდაგულოდ ვიწმენდ გათითხნილ კომპინეზონზე, ვიღებ მეორეს, ვუკიდებ, ვერევი, ჩავცერი ზეთით გაულენთილ მაჟას და ვინსენებ...

მახსენლება ის დღე, როცა ნაოფლარი ლუკმის სიტკბო შემასხვენა

დედამ. ეს იყო წინათ, მაშინ, როცა ჭერ კიდევ მეტაზე კლასში ვაჭრებოდი. გაეცეთილების მომზადებას დიდ დროს არ ვანდომებდჲურაჲუფაგნებს, როგორიცაა ისტორია, გეოგრაფია და მშობლიური ლიტერატურა, სულ იოლად ვითვისებდი. ამ საგნებში ვეხმარებოდი კიდეც ერთს... ნათიას.

ნათია ერთი მოდასაყოლილი, მოქარაფუტო გოგო იყო. მისი ოჯახის ხშირი სტუმარი ვიყავი და კარგად ვიცნობდი ოჯახს და მშობლებს. მამა-მისი, ისიდორე საწყობის გამგე იყო და, რა სათქმელია, შეძლებულადაც ცხოვრობდა. მისი ხუთოთახიანი ბინა ისე იყო გამოტენილი ავეჯით, რომ ნაბიჯის გადადგმა და სუნთქვა ჭირდა. ბინა პატრიონის გემოვნების მიხედვით იყო მორთული, ესე იგი, უგემოვნოდ. მაგალითად, სასტუმრო ოთახში იდგა ძვირფასი საზღვარგარეთული როიალი, ტელევიზორი, წიგნებით გაცოტენილი კარადები, გასაშლელი მრგვალი მაგიდა, რბილი სკამები, სავარძლები, დივანი... კედლებზე სურათები ეყიდა — ნახევრად მოდერნისტული, ნახევრად რეალისტური.

ნათიას სმენა არ გააჩნდა და მუსიკა მისთვის ნამდვილი ქრისტეს ჭამება იყო. მიუხედავად ამისა, ხან ერთი მუსიკის მასწავლებელთან დააპორწიალებდნენ და ხან მეორესთან. იგი რომ როიალზე დაკვრას დაიწყებდა, სიმღერას წამოიწყებდა, ისიდორე ლოთივით დანერტეულ ხმას. აყოლებდა და მეუღლე ქეთევანი ბანს დააწევდა, მაგარი ნერვები უნდა გქონდა ადამიანს, ამ ყოვლისმომცველი ჭოჯოხეთისათვის გაგეძლო. კიდევ კარგი, დიდხანს არ გრძელდებოდა ეს. ასე, შუა სიმღერისას, ისიდორეს რაღაც უაშველო გაეჩირებოდა ყელში, საშინელი ხევლა აუტყდებოდა და გადაფიჩინდებოდა, სულს რომ ძლივს მოიბრუნებდა, ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა: — რა ვქნა, კაცო, სიმღერა ჩემი საქმე არაა!

კიდევ კარგი, ამდენს რომ ხვდებოდა.

უცნაური კაცი იყო ისიდორე. დამინახავდა თუ არა, გამარჯობისა თქმას არ დამაცლიდა, ისე მაჯახებდა შეკითხვას.

— პაპიროსის წევა ხომ არ დაგიწყია?

— არა, როგორ გეკადრებათ?! — გავიოცებდი მე.

— მასე უნდა, მასე! — მშვიდდებოდა იგი, — თამბაქო ისეთი დაწყევლილი და ოხერი რამეა, მეტი რომ არ შეიძლება, კლავს კაცს, ათას-ნაირ ავადმყოფობას უჩენს, მაგან მომსპო და დამანელა ხარის ჭანის მქონე კაცი. რაღაა ახლა ჩემი ცხოვრება? არაფერი! ვზივარ აგერ და ველი ყოველდღე წერილს.

— რა წერილს ელი, ბიძია? — ვეკითხებოდი მე.

— ჰი-ჰი! — ახითხითდებოდა იგი, დივანზე მწოლი გვერდს შეიცვლიდა და მიხსნიდა: — სიკვდილს ჩემო ბიძია, სიკვდილს!

მახსოვს, ერთხელ ისიდორემ მკითხა:

— ერთი მითხარი, თუ ლმერთი გწამს: — სკოლას რომ დაამჟავტონ,  
ასეს პირებ მერე?



უცრეცული  
გიგანტები

— რასა და... ქარხანაში ვიმუშავებ, თანაც ვისწავლი.

— ჰო-ჰო! — აუტყდა მას ყრუ, დახშული სიცილი. მინერალური  
ჭყალი დაისხა, ყელი ჩაისველა და განაგრძო: — ამზადა იყლავ თავს შე კაცო?  
რა ხალხი ხართ ეს ახალგაზრდები, ერთ ჭკვიანურს ვერ გაიგონებს კაცი  
თქვენგან. აყოლიხართ ფეხის ხმას და ლოზუნგებს ყრით პირიდან, ლო-  
ზუნგებს! — რას არ მოიფიქრებთ თქვენ: ეს ქარხანაო, ეს მშენებლო-  
ბაო, ეს კაშხალიო, ეს ყამირიო... გადაირევა კაცი თქვენი შემხედვარე,  
გადაირევა! მე, ჩემო ბიძია, არც სწავლით მომიკლავს თავი და არც მუშა-  
ობით, ექვსი კლასი ძლიერ ჩავმთავრე, უნიჭო ხარო — სულ ამას ჩამ-  
ჩიჩინებდნენ სკოლაში. შემხედე ერთი: უნიჭო რომ ვიყო, მექნებოდა  
ასეთი ოჯახი? ვიცხოვრებდი ასე? მარტო ნიჭით შორს ვერ წავა კაცი, შნო,  
მარიფათი უნდა გქონდეს; გაქანება უნდა შეგეძლოს, ფულის გაფეთების  
ალლო უნდა გქონდეს. ეხ, ჩემო კარგო, იმდენ ნიჭიერს ვიცნობ, რომ...  
წიგნებს, შრომებს წერენ ი ხალხი, თავი ილუზიებით აქვს გამოტენილი  
და დაქექილი შარვლით დადიან. მეზობელი თუ არ შეაწუხა, ფული და  
ასმე-რუმე თუ არ დაისესხა, ხუთ კაცს ვერ გაისტუმრებს ისე, ხუთ კაცს!  
ოცი წელია აგერ წიგნი არ ამიღავ ხელში, რა უნდა მითხრან ახლანდელმა  
მშერლებმა ისეთი, რაც მე არ ვიცი? არაფერი!

წიგნებით სავსე კარადებისაკენ გავაპარე მზერა და ვკითხე:

— ამდენი წიგნი რაღად გინდათ აბა?

— შენ გვინია მაგათი კითხვით მაქვს ტვინი გამოლაყებული? არ  
დაიგერო! იყოს, ვინმე შეხედას და გული მოუკვდება, იფიქრებს: რა გა-  
ნათლებული კაცი ყოფილა, ამდენი წიგნი წაუკითხავსო... ქარხანაში წახ-  
ვალ, არა?

— აბა რა ვქნა? — შევწუხდი მე.

— შენ თუ აქამდე არ იცი, რა უნდა ქნა, მე ვერაფერს გისაშველებ  
და ავიხსნი. ისე, რას გეტყვი, იცი? ქარხანაში მუშაობას, ზეთსა და მა-  
ზუთში ამოქვარენას, გირჩევნია სავაჭრო სასწავლებელი დაამთავრო და  
კაცი გამოხვიდე, კაცი! ჩემთან დაგაყენებ საწყობში, ხელს დავბანთ ერთ-  
მანეთს. მეც მასარგებლებ და შენც ისარგებლებ... ეეხ! — გააწოდინა და  
დაურჩატა: — რა მოწყენილობაა, კაცო, ვერაფერს ვერ გადავაყოლე გუ-  
ლი... ნარდის თამაში იცი?

— ვიცი!

— ვითამაშოთ... ფული გაქვს?

— ფული?.. ფული რათ მინდა?

— რას არ მოესწრება თურმე, კაცი! ფული რათ მინდაო — კითხუ-  
ლობს. უფულოდ, ჩემო ბიძია, ნაბიჯს ვერ გადადგამ, ნაბიჯს. ფული გაქვს?

ყველაფერი შენია! არ გაქვს — არაფერი არაა შენი! უფრო და მეტამორფოზის გეთამაშო?

შევწუხდი. ჯიბეები ამოეიტრიალე და ღიდხანს ვითვლიჭმის ჟუსტისტულზე დაყრილ შავ ხურდას; სამოცდათხუთმეტი კაპიტი აღმომაჩნდა. გავუწოდე და ვათხარი: — არ, ჩემი ფულ!

დახედა ისიდორემ ფულს და დამცინა: — ხიდის თავში ხომ არ უკი ბიძია დღეს?

ნათიამ ნარდი გამოიტანა, დავიწყეთ თამაში. მოვიგე. ისიდორემ შუბლი შეიკრა. იგი არ იყო წიგებას ჩვეული, ეწყინა. იმ დღეს საოცრად არ წყალობდა მას ბედი. ოცი ხელი ვითამაშეთ და ოცივე მოვიგე. საშინალად ჩაუმჯუავდა ხასიათი, კამოდის უჯრიდან ფულის დასტა ამოილო, რა-მდენიმე ცალი ათმანეთიანი ამოაძრო და მაგიდაზე დამიდო.

— აიღე, შენია!

— არა, არ მინდა! — ვიუარე მე.

— მოიგე და არ აიღებ? რას ამბობ შენ? — გაუავირდა მას, — როცა გაძლევენ, უარი არა სთქვა! — ფული ძალად ჩამიკუჭა ჯიბეში.

ავდექი და წამოვედი. ქუჩაში რომ გავედი, მხოლოდ მაშინ ამოეისუნთქე მშვიდეად. მივყვებოდი ჩამავალი მზით განათებულ ქუჩას, ჯიბეში ფული მედო — ნარდში მოგებული, არამი ფული.

• • •

მივედი სახლში. ჩემი და კაბას აუთოვებდა. დედა უკვე დაბრუნებულიყო სამუშაოდან და ახლა სამზარეულოშიაო, მითხრა მან, გავედი სამზარეულოში. კარის ჭრიალზე მოიხედა დედამ. ხელში დანა ეკირა და ხახვა ჭრიდა, თვალები აცრემლებოდა — კაცი იფიქრებდა, უტირიაო.

— სად ხარ ამდენ ხანს? — მკითხა და აცრემლებულ თვალებში მჯიდი ამოისვა.

ვათხარი, სადაც ვიყავი, დაღლილივით დავეცი მაგიდასთან მდგარ სკამზე, ჯიბიდან ფული ამოვიღე და ხელფასივით დავდევი მაგიდაზე, რომელზედაც ნიორისა და ხახვის ნაქურჩალები ეყარა.

დედა დააცქერდა ფულს, შუბლი შეიკრა და მკაცრად მკითხა:

— ეს ფული... საიდან?

დაწვრილებით დავუკაპე ყველაფერი.

— შენ გაბედე და ეს ფული სახლში შემოიტანე?! — იფეთქა მან.

— აბა, რა უნდა მექნა, იდამიანო? — ავუმაღლე ხმას მეც. — ძალად გამომატანა იმ კაცმა და არ წამომელო? გადამეყარა აბა? თანაც ეს ფული ხომ მე მცკუთვნის? მოვიგე!

უცნაური მზერა მომაპყრო დედამ. მიყურა, მიყურა. საყვედურით აღსავსე მზერა იყო ეს. მაგრად ჩასკიდა ხელი სკამის საზურგეს, გამოსწია, ზანტად ჩამოჯდა და ღიდხანს სდუმდა შუბლშექრული და, ერთ

ამოქემებულ შერტილს თვალებმიშტერებული. მერე დაკოურილ ხელებზე  
დაიხედა და მითხრა:

— სანამ ჩემი ხელები მოძრაობენ შვილო, ჩემს ნაფლატს უკარგებდა  
ლუქმას გაჭმევთ, მერე კი თქვენ იცით! გახსოვდეს, შვილოვაზურმები  
ოფლით არ არის მონაგარი, ისეთი არც ფული შეგერგება და არც პური.  
რამდენი ბოროტი და ოხერია ქვეყანაზე! მამისტოლა კაცმა ეს გასწავლა,  
ასე დაგარიგა? თავსლაფი დავასხი მას. ან კი რა ჰქოუა უნდა მოკითხო  
ქურდს. ბეღლის თავივით შემძრალა საწყობში და იპარავს. ნაპარავი  
მიაქვს სახლში, არამად ნაშოვი ფულით არჩენს ოჯახს. თავი რომ მოს-  
წონს, კიდეც, აქაოდა, შემხედეთ ერთი, როგორ ვცხოვობო. მოიცადოს  
ერთი, იმასაც დავიჩნახავ როდემდე შერჩება.

— ამ ფულს რა ვუყოთ? — ვიკითხე მე.

— იდოს მაქ, მოვუვლი მაგას!

მესამე დღეს, სკოლაში რომ მივედი, ნათიამ ამრეზით მითხრა: —  
პატივისცემას ვერ აფასებენ ზოგიერთები. რა აუტანელი ქალი ყოფილა  
დედაშენი; მოგვივარდა სახლში და რაები არ აკადრა მამაჩემს. გადარია  
პირდაპირ კაცი, გადარია! დაუგდო ფული მაგიდაზე და უთხრა: — ეგ  
შენი არამად ნაშოვნი ფული შენ თავად მოიხმარეო.

იმ დღიდან, რა თქმა უნდა, აღარ გავკარებივარ ისიდორეს, მაგრამ  
ბედმა ერთხელ კიდევ შემახვედრა მასთან. ეს იყო მაშინ, როცა საცხოვ-  
რებელი სახლის მშენებლობას ვამთავრებდით. შესვენება იყო, ვიზექი  
ბრიკეტებზე და მაღინად ვჭამდი თბილ თონის პურსა და ყველს.

— შენ აქ მუშაობ, ბიჭო? — მომესმა ამ დროს. მოვიხედე და ისი-  
დორე არ შემრჩა ხელში? მისი დანახვა არ გამხარებია, მაგრამ რაღას ვი-  
ზამდი.

— რავა ხარ პატიოსანო კაცო? — მომიქცია ყბა, — ყლაპავ ამ ცე-  
მენტის მტვერს და ხარ არა? კაია ბიძია, მასე უნდა, მასე!

უსაშველო დაცინვა და ირონია გამოსჭიოდა მის სიტყვებში. არაფე-  
რი მითქვამს. ზიზლისაგან დაგიმანჭე და ჭამა განვაგრძე.

— შენი იფლით გინდა ირჩინო თვით, არა? — განაგრძო მან, — შენი  
ნაფლარი ჭამო... პი-პი! რას არ გაიგონებს კაცის ყური! რამდენს  
ლებულობ მაინც? არ მითხრა ახლა: მყოფნისო და არ გადამრიო კაცი! შენ  
ეს მითხარი: აქ ცემენტს თუ იშოვის კაცი?

— საყიდლად?

— საყიდლად, აბა საყურებლად რად მინდა?

— ცემენტი აქ არ იყიდება.

— არ იყიდება, არა? რას გეტყვი, ჩემო ბიძია, იცი? შენისთანა პატი-  
ოსანი უფულოებისათვის ნრ იყიდება ცემენტი, თორემ ჩემთვის ყველგან  
იყიდება და იშოვება რაღაც.

სწორედ ამ დროს ბრიგადირიც მოვიდა. ისიდორემ გვერდზე გასძმი  
იგი და დიდხანს ეჩურჩულებოდა რაღაცას, მერე, ეტყობოდა შეკრისტეფ  
ნენ — ისიდორე კმაყოფილი წავიდა. როგორც შემდეგ გავიგე, უზარდების  
ქალაქგარეთ სახლის ასაგებად ესაჭიროებოდა ცემენტი. მისი სახლის ვა-  
მო ჩევნ არ დღეს უქმად ვიდეებით — ცემენტი არ იყო!

— სად წავიდა იმდენი ცემენტი? — ვკითხე ბრიგადირს.

— რა შენი საქმეა, ლაშირაკო?! — გაბრაზდა იგი.

— ვიცი, საღაც წაიღეთ იმდენი ცემენტი.

— შენ ცოტა ჰქვიანად ილაპარაკე, თორემ...

— თორემ რა?..

— რა და ამოგაგლეჭ მაგ ენას და კინწისკვრით გისვრი აქვდან.

არაფერი მითქვამს არც მაშინ, არც შემდეგ და ამის გამო ახლაც ვნა-  
ნობ, ძალიან ვნანობ.

• • •

ავდექი, დაზგა ჩავრთე და შევუდექი ბურლეას. მინდოდა აღარ მე-  
ფიქრა არც ზეთზე, არც ცხელ ორთქლზე, არც ზეთით გაცდენთილ მიწა-  
ზე, აღარც ბურბუშელათი სავსე ლაფეტზე, არც ხმაურზე და აღარაფერ-  
ზე აღარ მეფიქრა საერთოდ. მემუშავა, მხოლოდ მემუშავა და როგორმე  
გამეძლო სამუშაოს დამთავრებამდე.

მოულოდნელად, საშინლად დაიღრუპიალა რაღაცამ, მერე ჩემს თვა-  
ლწინ ჩაიქროლა და სადღაც, ვიღაცამ შეპყვირა. აზრზე არ ვიყავი, რა  
მოხდა. გაოცებულმა მიმოვიხედე, მერე მშერა დაზგაზე შევაჩერე და გა-  
ვფითრდი: ბურლი აღარსად იყო. შევბრუნდი და იქითვენ გვიხედე, საი-  
დანაც ყვირილი მომესმა. დავინახე: სარჩილავი აპარატის გვერდით აყუ-  
დებულ დარაბაში შუბივით გარჭობილი ბურლი და იქვე მდგარი გაფით-  
რებული მრჩილავი, რომელიც დაბნეულად ხამხამებდა თვალებს. მერე  
იგი ვონს მოეგო, ამოძრავდა და გავეშებულ კამეჩივით გამოსუია ჩემსკუნ.

— რავა ბოზი ქალივით აცა-ბაცა გაგირბის მაგ თვალები, შე ახრის  
შვილო?! — დამიღრიალა მან, — დაკვირვებით ვერ იმუშავებ? — მუშ-  
ტი მოძრაობაში მოსულ დგუშივით დამიტრიალა თვალწინ და არმ მეგო-  
ნა ავია ბიჭო, ახლა კი მხეთქებს-მეთქი, მუშტი დაუშვა და მკითხა:

— ახალი ხარ?

— ახალი ვარ, — ვთქვი და გავშითლდი.

— ახალი თუ ხარ, გეპატიება, თუ არა ღდინს გაგაცლიდი, ღდინს! —  
გაბრუნდა, დარაბილან ბურლი გამოილო, ლილვზე მიამაგრა, სახელდახე-  
ლო გაქვეთილი ჩამიტარა და თავის საქმეს მიუბრუნდა.

რა თქმა უნდა, იმ დღეს ნორმა ვერ შევასრულე. მაინც კმაყოფილი  
ვიყავი — სულ რაღაც ორმოცი ცალი დამაკლდა... მაგრამ, როცა ვერც იმ  
კვირაში და ვერც მომდევნოში ვერ მივაღწიე მიჯნას, გაოცებული დავრჩი

და ჩემს ყოფილ მასწავლებელს ვკითხე: — ოდესმე თუ გქონია შემოზღვა, ამ წევულ დაზგაზე გეგმა შეგესრულებინოს-მეთქი. მას გაეცინა ისეთი დღე არ მახსოვს, არ შემესრულებინოსო, ჯერ ახალი ხალხურმამა შევიღა.

• • •

ჩემი დაზგიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მაკა მუშაობს. ქერა, ვულებთილი, ლამაზი გოგოა. ყოველთვის მხიარულია, ვერცხლისწყალი-ვით მოძრავი, დაუდგრომელი და შრომისმოყვარე. ხანდახან, როცა ძალი-ან დავიღლები, რამდენიმე წუთით გამოვრთავ დაზგას, ვისვენებ და შე-ვცემი მუშაობაში გართულ მაკას, როგორი ძალდაუტანებელი, მსუბუ-ქია და მოზომილი მისი ყოველი მოძრაობა. პირავლიკური წნეხი, რო-მელზედაც იგი მუშაობს, ვეება და აწოწილია, ამ წნეხთან შედარებით მა-კა ისეთი პატარა და უსუსური გეჩვენება, კაცს გაგეცინება პირდაპირ. მაკას ლურჯი ხალათი აცვია, წაუკრავს თავზე ნაცრისფერი ცახოცი და მუშაობს. დღის სინათლის ფუტლარებს ამზადებს მაკა. დაუდებს შტამპს ზეთში დასველებულ, საგანგებოდ გამოჭრილ თუნუქის ნაჭერს, დაპერს ლილაქს თითს და... დანარჩენს წნეხი აკეთებს: თანდათანობით, ოდნავი ზურუნით იწევს დაბლა ვეება, მრგვალი ლილვი, რომლის ბოლოსაც ბრტყელი, მძიმე ფოლადის ოთხკუთხედი ბელტია დამონტაჟებული, ნელ-ნელა, საშინელი ძალით აწვება თუნუქის ნაჭერს, რომელიც თანდათანო-ბით ჩადის ყალიბში და ფუტლარიც მზადაა! საქმეში ჩაუხედავ კაცს ეს უბრალო რამედ მოეჩვენება, მაგრამ ასე როდია! ამ წნეხზე მუშაობა დიდ სიფრთხილეს, მახვილ თვალსა და გამოცდილებას მოითხოვს. მაკა შესა-ნიშნავად ახერხებს ამას. დღიურ ნორმებს გადაჭირდებით ანალდებს და გამომუშავებაც კარგი აქვს. იგი ხშირად მეხუმრება ხოლმე: რა ვაჟკაცი ხარ, გოგომ გაჯობეო.

ვატყობ, მაკაზე საუბარი გამიგრძელდა, მაგრამ, იგი ჩემი მეგობარია და მეგობრობაზე თუ არა სთქვი რამე, რა გამოვა? სამუშაოს გარდა დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს მაკას — ეს კომკავშირული პროექ-ტორით, ეს დრამატული და სიმღერის წერებით. ეს კედლის გაზეთით, და ვინ მოსთვლის. კედლის გაზეთის გამოშვების დრო რომ მოაწევს, სი-სხლი გვაქვს გამშრალი სამქროს აქტივისტებს. შემოგვიჩნდება კბილის მატლივით, დღეში ბარე ასევრ შეგვახსენებს, საშველსა და სახიდებელს არ მოგვცემს, სანამ წერილს არ გამოვუცხობთ.

როგორც კი მაკას დავინახავ, ჩემი ქარხანაში მოსვლის პირველი დღე გახსენდება და მეცინება. — ჩუმად, ჩემთვის მეცინება. ახლა მეცი-ნება თორებმ...

ცვლის ოსტატმა საწყობში წამიყვანა, საწყობის გამგეს კომბინეზონი, შათინჯები, ბრეზენტის ხელთამმები გამოართვა და მოგებული თასივით

ჩამაბარა: წილი, შედი გასახდელში და გადაცვიო. მოვხვივ ხელი /მ ავლადიდებას, ძვირფას რელიქვიასავით მივისუტე გულზე და დამარცხი-ზებული ჯარისკაციები შევალაჯე საამქროში.

— ო, ემატოს ჩვენს რიგებს, ემატოს! — გადმომახეს ჭიათურის მოფუსფუსე ბიჭებმა. მუშაობის დაწყებას რაღაც წუთები აკლდა და ისინი დაზებს ამზადებდნენ, მასალას იმარაგებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მასწავლა — გასახდელი საამქროს ბოლოშია და მეც იქითკენ გავემართვ.

შევალე თუ არა გასახდელის კარი, ვიღაცის ცივმა შეკივლებაშ ერთ ადგილზე მიმალურსმანა:

— აქ რა გინდა შე უსინდისო, შენა!

„ეს რა ამბავია კაცო, ა?“ — გავიფიქრე და თვალები ავახამხამე. ჩემს დუშმანს მე რომ დავინახე: შემოდგომაზე, ნაცურალში გასუქებულ მწყე-რივით გათქვირული გოგო პერანგისამარა იდგა შუა ოთახში და შეცბუნებულს ჩითის კაბა ეჭირა ხელში. მე ვიდექი, შტერივით ვახამხამებდი თვალებს და ვერ მომეხერხებინა — დამდუღრულივით გამოვვარდინილიყავი უკან.

— ბოლიში რა... გასახდელი შემეშალა... — ამოვილუღლულე და გამოვბრუნდი. კარი რომ მოვხურე, ოთახიდან ისეთი კისეისი მომესმა, ცივმა ოფლმა დამასხა. რას იზამ, ალბათ ძალზე სასაცილო ვჩანდი მის თვალში. ამ ინციდენტიდან მთელი თვის განმავლობაში იმ გოგოს დანახვაზე (ის გოგო მაკა იყო) ელეთ-მელეთი მომდიოდა, სულ იმისი მეშინდა: ვაი თუ ამ ენაჭარტალამ უცელაფერი მოუყვეს გოგოებს და შემარცხენის-მეთქი. მსგავსი არაფერი მომხდარა. მხოლოდ ერთხელ მკითხა მაკამ: ერთი მითხარი, მაშინ რომ მიყურებდი, რას ფიქრობდიო. არაფერს-მეთქი, ვუთხარი. იმდენი გაგისქდა მაგი თავიო, გაიცინა და დაუმატა: — შენ კარგი ბიჭი ხარ და ის რომ არ მიყვარდეს, ალბათ შენ შემიყვარდებოდიო. „იგი“ მართლაც რომ კარგი ბიჭი და კარგი მეგობარია ჩემი.

მას მე სკოლის მერხიდან ვიცნობდი. ისე ვიყავით შეჩვეულები ერთმანეთს, მეტი რომ არ შეიძლება. მას მამა არ ჰყავდა. მამამისა არც მომკვდარა და არც არაფერი. უბრალოდ, მასთან არ ცხოვრობდა, მიატოვა ოჯახი და ახალი ბუდე გაიჩინა. რაც დრო გადიოდა, ზურია უფრო და უფრო მეტს სწუხდა, ფიქრობდა მამაზე. მამამისს რომ იმდენი ეფიქრა შვილზე, დარწმუნებული ვარ არასოდეს მიატოვებდა ოჯახს.

ერთხელ (ჩვენ მაშინ მერვე კლასში ვსწავლობდით) მე და ზურია შემთხვევით შევხვდით მის მამასა და ნახევარმას, რომლებიც ნელი ნაბიჯით, ხელისხმაკიდებულები მიუყვებოდნენ ტროტუარს.

— იგი მამა ჩემი! — თქვა ზურიამ ტუჩების კვნეტით და თვალებად იქცა. ვიდექით და გავცემეროდით. მერე ის იყო, ამ თვალთვალში ლამის

გაგველა ორივე ვიღაც ვეება კაცმა, რომელიც კი არ მოდიოდა, მთაბორებდა. მას შემდეგ აგრძ რვა წელი გავიდა და მაინც გარკვევიდ შემოიხახა ჩემმა შესიერებამ ის სცენა. ის ვეება კაცი აღბათ ისევ უაღმისა და ჩაივლის იმ ტროტუარზე, აღბათ ისევ მოეჩარება საღლაც, თაუფიცენება ვიღაცას და ოდნავადაც არ აინტერესებს ვინ ვის უცქერის და ელის — დედასა თუ მამას, დასა თუ ძმას, სატროვოსა თუ მეგობარს. ო, როგორ მე-ჯავრება ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ.

● ● ●

ყოველთვის, როგორც კი მამაზე ვფიქრობ, მასის დება ფანჯრებზე მძიმე ფარდებჩამოფარებული, სანახვროდ ბნელი, წამლების სუნით, მამის კვნესით და ბებერი კედლის საათის მონოტონური წიკწიკით გაუღენ-თლი თახახი.

დაუნდობელი სენი თანდათანობით ხრავდა, სპობდა და ფიტავდა მას. ფეხაკრეფით, ნელ-ნელა, უჩუმრად ახლოვდებოდა სიკვდილი, რომელიც მისთვის ახლა ერთადერთი შეება იყო. ექვს თვეს ეწვალა და ბო-ლოს, ერთ დილას, როცა ის-ის იყო მზე ამოდიოდა — მიიცვალა. მამა მეზღვაური იყო და აღბათ ძალიან უჭირდა ლოგინში სიკვდილი.

იმ მძიმე დღეებში ზურია არ მომცილებია, სულ გვერდით მედგა, მამხნევებდა, მანუგეშებდა. ზურიას ცრემლით სავსე თვალები და ჩემი საედანაოჭებული, თმაგაჭალარავებული დედა, რომელიც დარდისაგან ძალიან ადრე დაბერდა, არასოდეს წარიშლება ჩემი მესიერებიდან.

დედა ხის დამამუშავებელ კომბინატში მუშაობს. იქ, საფეხურო საამ-ქროში დიდი ხმაურია და დგას მოხარული ხის, ნახერხისა და აღუღებული წებოს სუნი. ადრე დილით რომ გავა სახლიდან, საღმოს ბრუნდება შე — დაღლილი, დაჭანცული. მისი ალალი, გამრჯე ხელების შემყურეს ყველა ალალი, გამრჯე ქალის ხელები მიყვარს.

ჩვენ სამნი ვართ — მე, დედა და ჩემი და. ოროთახიანი ბინა გვიჭირავს ქალაქის განპირას, ორსართულიან სახლში. ჩვენი თახის ფანჯრიდან ხელისგულივით მოჩანს ზღვა, პორტი, გემები და შორეული, მწვანით შემოსილი, ამაყი მთების ბუნდოვანი კონტურები.

როცა ზღვასა და გემებს ვუყურებ, ყოველთვის ვლელავ, რადგანაც ისინი მამას მაგონებენ, ხშირად ვხედავ გემს, რომელზედაც მამა შტურ-მანად მუშაობდა... შემოვა გემი პორტში, ერთ-ორ დღეს დაპყოფს, აიღებს საწვავს და მერე თვეობით იკარგება. მის დაბრუნებას ისე მოუთმენლად მოველი, თითქოსდა მამა ბრუნდებოდეს შორეულ ნაოსნობიდან... ო, ჩე-მო საყვარელო ბებერო ხომალდო, ბეღნიერი ნაოსნობა.

● ● ●

ზურიამ და მავამ აქ გაიცნეს ერთმანეთი. კარგახანს მუშაობდნენ ერ-თად. მე აქ ზურია არ დამხვედრია, მაშინ იგი მანქანათსაშენებელ ქარხა-

ნაში იყო გადასული... ჩვენი ქარხნიდან მისი წასკლის მიზეზი მაკა ჭავჭავაძე  
ხსნა ერთ დღეს.

ერთხელ, თურმე, საამქროში წინა დღით შემოტანილი ფერწერული ბრძანები  
თონის ფურცლები დაიყარგა. ცვლის ოსტატმა რატომდაც ხელი ზურიას  
დაადო — ეს მოიპარავდაო.

— ის დღე არასოდეს დამავიწყდება, — განავრძობს მაკა, — დღის  
თორმეტი საათი იყო, როცა საამქროში ორი მილიციელი შემოვიდა, მათ  
ზურია იყითხეს... მიგხვდით, რისთვისაც იყვნენ მოსული, მაგრამ არც ერ-  
თმა ჩვენგანშა თავი არ გამოიდო და მის დასაცავად კრინტი არ დასძრა.  
დავინახე, როგორ გამორთო მან დაზღა და როგორ იდგა კარგახანს გახე-  
ვებულივით. მერე, ფოლადის ოთხეუთხედი ფირფიტა, რომელიც ხელში  
ეჭირა და უაზროდ დასცეროდა, მიწაზე დაანარცხა და სახეზე აიფარა  
გამურული ხელისგულები.

ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი გაირკვა, ნამდვილი ჭურდი დააკა-  
ვეს — იგი ის ცვლის ოსტატი აღმოჩნდა, რომელმაც ზურიას დაადო ხე-  
ლი. ზურია გაათავისუფლეს, მაგრამ ქარხანაში აღარ მოსულა, იგა მა-  
რთალი იყო და არ აპატია კოლექტივს გულგრილობა...

...შესვენებაა. ეზივართ მე და მაკა საამქროს წინ და ვსაუბრობთ. უფ-  
რო სწორედ, იგი ლაპარაკობს, მე ვუსმენ და დროგამოშვებით ვუქნევ  
თავს თანხმობის ნიშანად. მაკა მენდობა და ყველა საიდუმლოს მიმხელს,  
მიყვება მაკა თავისთვზე, ზურიაზე, იმ მომავალ პატარა ბუდეზე, რომე-  
ლიც მათ უნდა ააშენონ.

— მალე ბინას მივიღებთ და ხელსაც მოვაწერთ. იცი, როგორ მოვრ-  
თავ ბინას? უბრალოდ, სადად, გემოვნებით. დავპატიჟებ ყველა მეგობარ-  
სა და ახლობელს და ორგორც შემეძლება ისე. გავუმასპინძლდები, —  
ალალი გულით! ხომ კარგი იქნება, ძამა?

— გადასარევი! — ვეუბნები ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიო-  
ზულად და მიხარია, ძალიან მიხარია, რომ ზურიასა და მას ერთმანეთი  
უყვართ.

მერე ორივენი ვდუმვართ კარგახანს. სიგარეტს ვახრჩოლებ, მაკა  
კი იდუმალი ლიმილით სახეგაცისკროვნებული მისჩერებია ერთ ამოჩემე-  
ბულ წერტილს და ფიქრობს... მე ხელს არ შევუშლი, ხმას არ ამოვიღებ,  
და ითიქროს მაკამ — ითიქროს ზურიაზე, ახალ ოჯახზე, მომავალ ბედ-  
ნიერებაზე... მე კი? მე რაზე უნდა ვიფიქრო მაინც? აღარ ვიცი! არა, ფიქ-  
რი აღარ შემიძლია ახლა, ახლა მხოლოდ უნდა გავიხსენო, გახსენება კი  
შემიძლია? მგონი...



იმ დღეს, გაწამაწია მუშაობაში რომ ვიყავი, სერიოუ დამაღვა თავზე.  
ჭორფლიანი, პარაშუტივით ყურებგაფართხნილი ბიჭია სერიოუ, სამღებ-

რო საამქროში მუშაობს და სხვადასხვაგვარი საღებავებით ზეპრატვით აჭრელებული კომბინეზონი აცვია.

— რაო, ძველო მეობარო, იხტიოზავრი ხომ არ დაგეღევწეს უკუკუჭული თხე მე.

ეტყობოდა, გადაშენებულ ცხოველებზე წარმოდგენც არ ჰქონდა — იხტიოზავრი რა ოხრობააო, მყითხა. რომ ვუთხარი — უზარმაზარი ხვლიკია-მეთქი, გაიცინა: მაგი მაკლია, ხვლიკებს გამოვექცეო.

— რაზე შეწუხებულხარ? — შევახსენე მე.

— გეძებ, კაცო!

— რაო, ასე მოგენატრე?

— მე რატომ უნდა მომნატრებოდი... სხვას მოენატრე, სხვას!

— თუ კაცი ხარ, ქარაგმებს მოეშვი და კაცურად მითხარი: ვის მოვენატრე?

პაჭუა, ქერცლილ ცხვირზე წკიპურტი გაიკრა, თვალები ზოჭუტა და ჩაილმა: — შენს განძს!

ვერაფერი გავიგე.

— მოდი ერთი აქ, მომიშვირე მაგ აქლემის შუბლი და სიცხეს გაგზომავ.

— გოგომ მოგიკითხა! — ამოშაქრა როგორც იქნა და სიგარეტი მომთხოვა. მიეაწოდე. ნათმენივით გააბოლა და განაგრძო: — მოვიდა და გიკითხა... ისეთი გოგოა, ისეთი, რომ... სად ნახე ისეთი ანგელოზი?

— „ვინ უნდა იყოს? — გავიფიქრე მე, — ნამდვილად მატყუილებს, ეს გაოხრებული!“

— მიდი, ქარხნის შემოსასვლელთან გელოდება!

— ვინ, ბიჭო?

— რაკ, გელაპარაკები მთელი საათი? ვინა და ის გოგო!

— კარგი, მე წავალ, მაგრამ თუ მომატყუე, შენს ბლავილს მთელი ქარხანა გაიგონებს, იცოდე!

პათეტურად დაირტყა გულზე ხელი, თავზე ჩამოფხატული, გაზინ-თული კეცკა მოიძრო; მიწაზე დაახეთქა და მხურვალედ წარმოსთქვა: — თუ გატყუებდე, ასე დამექცეს ცა!

— საკმარისია, მე მივდივარ!

დაზგა გამოვრთე და ზეთში დასვრილი ხელებიც კი არ დამიბანია, ისე წავედი ღიღინ-ღიღინით. მივუახლოვდი ჭიშკარს და მაშინვე შევწყვი-ტე ღიღინი. შევკრთი კიდეც: ჩემდა გასაკვირად ლილი დავინახე, იგი ნაძ-ვის ძირას იდგა და მელოდა. მისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით ვიღაც მაღალი ბიჭი იდგა, რომელსაც ფეხსაცმლით დაწყებული, პერანგით გათა-ვებული ყველაფერი თეთრი ეცვა. ჰალსტუხი რომ ჰალსტუხია, ისიც თე-თრი ფერისა ეკეთა.

ნათლად ასრულებდნენ, ემხრობოდეთ ღვენიშნ. მესამე დელიგატმა და თოფურიძემ გვიღალატა და მეოშევიზნს მიემხრო“ (გაზ. „კომუნისტი“, № 174, 1933 წ. 30 ივლისი).

ყრილობის შემაღენლობისა და იქ გაჩაღებული პრინციპული ბოძოლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ძევლი ბოლშევიცები, ყრილობის მონაწილენი ქ. ლიადოვი (მანდალშტაძი) და ემ. იაროსლავსკი.

მ. ლიადოვი თავის მოგონებაში წერდა:

„ვინ იღაშქრებდნენ ვლადიმერ ილინის წინააღმდეგ? ესენი იყვნენ აშკარა ოპორტუნისტები — ბუნდელები, რაბონედელოელები, რომელიც არცერთ საკითხში არ ეთანხმებოდნენ ლენინს და ძევლი „ისკრის“ დებულებებს. მათ მიყვებოდა „ისკრის“, „იუნი რაბონის“ ყველა ლიტერატორი და ყველა ის, ვინც სრულიად არ ყოფილა დაკავშირებული მასებთან და საჭიროდ სცნობდა ზემოდან გაეწია ხელმძღვანელობა მასობრივი მოძრაობისათვის. ყველა ისინი აღმოჩნდნენ მენშევიცების ბანაში“ (გაზ. „კომუნისტი“, № 169, 1933, 24 ივლისი).

„როდესაც მეორე ყრილობაზე შევიქრიბენით, — იგონებდა ემ. იაროსლავსკი, — ჩვენ ცოტანი უიყვით. ლენინელები, მტკიცე ისკრელები მაშინ ითვლებოდა არა უმეტეს 800 კაცისა. ამ ადამიანებმა ამოცანად დაისახეს თვითმპურობელობის დანგრევა. ამ გრანდიო-

ზული ამოცანის თვის ხელის მეტყდება შეეძლო მხოლოდ სუსტ ადამიანებს, რომლებიც უკუკირავთ ვნენ თავიანთი სიცოცხლე მთლა-ანად მოეხმარებიათ მუშათა კლასის საქმისათვის“ (გაზ. „კომუნისტი“ № 174, 1933 წ. 30 ივლისი).

ყრილობის უმნიშვნელოვანებისა საქმე იყო პარტიის პროგრამისა და წესდების მიღება. მთავარი საკითხი, რომელმაც პროგრამის პროექტის განხილვის დროს ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილის წინააღმდეგობა გამოიწვა, — იყო პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. ოპორტუნისტები არ ეთანხმებოდნენ ყრილობის რევოლუციურ ნაწილს მთელ რიგ სხვა. პროგრამულ საკითხებშიც. მაგრამ მათ გადაწყვიტეს პრძოლა გაემართათ, უმთავრესად, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხზე. ისინი მიუთითებდნენ იმაზე, რომ მთელ რიგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს საზღვარგარეთ თავიანთ პროგრამაში არა იქვთ პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ამატომ არც ასლმა პროგრამაშია საჭირო მისი შეტანა. ოპორტუნისტები ილაშქრებდნენ აგრეთვე პარტიის პროგრამაში იმ მოთხოვნების შეტანის წინააღმდეგ, რომლებიც გლეხთა საკითხს ეხებოდა. ბუნდელები და პოლონელი სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგი იყვნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა. ვ. ი. ლენინმა და ლენინელებმა ყველა ამ გამოლაშქრებას გამანადგურებელი პასუხი ვა-

სცეს. ყრილობაშ მიიღო „ისკრის“ მაჟრ წამოყენებული პროგრამა. ეს იყო მუშათა კლასის პარტიის ოცვლუციური პროგრამა, ომ-მელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა — პროგრამა მაქსიმუმისა და პროგრამა მინიმუმისაგან. პირველში ლაპარაკი იყო პარტიის მთავარ ამოცანაზე — სოციალისტურ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დაქტატურის დამყარებაზე; პროგრამა მინიმუმი კი თვეალისწინებდა უახლოეს ამოცანებს: შეფის თვითმშეყრობელობის დამხმბას, დემოკრატიული წეს-კუბლიკის დამყარებას, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ბატონიშვილის ყველა ნაშთის მოსპობას, გლეხებისათვის მიწის დაბრუნებას, მემამულეთა მოელი მიწების კონფისკაციას.

II ყრილობაშ მიღებული პროგრამა ბოლშევიკური პარტიის პირველი რევოლუციური პროგრამა იყო.

პროგრამის მიღების შემდეგ II ყრილობა გადავიდა პარტიის წესდების პროექტის განხილვაზე. მაგრამ თუ პროგრამის მიღებაშ შედარებით უმტკიცნეულოდ ჩაიარა, სამაგიეროდ პარტიის წესდების მიღების საკითხმა გამაცატებული დავა გამოიწვია. განსაკუთრებით მკვეთრი უთანხმოება გაჩაღდა წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირების გამო: ვან შეიძლებოდა მიღებულიყო პარტიის წევრად, როგორი უნდა ყო-

ფილიყო პარტიის შემადგენლობა, რა უნდა იყოს პარტია ორგანიზაციული მხრივ — ორგანიზებული მოელი, თუ ჩამოუყალიბებული კუსტარული. ყრილობაში პროგრამის მიღება ნიშნავდა პარტიის იდეური გაერთიანებისათვის საფუძველების შექმნას, ხოლო წესდების მიღება ბოლოს მოუღებდა კუპტარულობას, წრეობანობას, ორგანიზაციულ დაქსაჭსულობას და პარტიაში მტკიცე დისციპლინის უქონლობას.

პარტიის წესდების პირველ პარაგრაფთან დაკავშირებით ერთ-მანეთს დაუპირისპირდა ლენინინისა და მარტოვის ფორმულირება. ლენინის ფორმულირება ასეთია: პარტიის წევრად ითვლება ის, ვინც იღებს მის პროგრამას და ეხმარება მას როგორც მატერიალურად, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში.

მარტოვის ფორმულირება გულისხმობდა: პარტიის წევრად ელიარებინა ყველა, ვინც მიღებდა მის პროგრამას, დაეხმარებოდა მატერიალურად, მაგრამ სავალდებულოდ არ სთვლიდა მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში მონაწილეობას.

ლენინის ფორმულირება ეყრდნობოდა იმ კეშმარიტებას, რომ პარტია ორგანიზებული რაზმია, ომლის წევრებიც თვითონ კი არ ჩაირიცხავენ თავის თავს პარტიაში, არამედ მიღებიან მისი ერთ-

წელიწადზე მეტი იყო, რაც მე და ლილი აღარ გხევებოდით უსირდა ნეთს. დღეიდან ჩემს ლანდს ვეღარ იხილავო, — მითხრა ერთ უფრუნავი ლაცაზე გაბრაზებულმა. თუ ვეღარ ვიხილავ არც მაგისტრის პირველავ თავს-მეტქი, ვუთხარი მე. აბა ხვეწნას ხომ არ დავუწებდი: გინდა თუ არა აუცილებლად შენი ლანდი მახილვინე-მეტქი! ეს იყო და ეს, მას შემდეგ იგი არსად შემხვედრია. რას ვერჩი — სიტყვის ასრულებლა... კაცმა რომ თქვას, აღარც მე ვიკლავდი მაინცდამაინც მასზე თავს. ვიცოდი, ჩვენ უკვე აღარ ვეკუთვნობით ერთმანეთს, მას ჩემი აღარ სჭეროდა, მე კიდევ იმისა და იყო ყოველ პაემანზე ერთი შეხლა-შემოხლა და ნერვების წეწა. ჩვენი ყოველი წაკინკლავების უპირველესი მიზეზი დედამისი იყო — ქალბატონი მარიამი. იმ ქალს რომ გავიხსენებ, ტანში შზარავს...

იგი ჩემი მასწავლებელი იყო. ფიზიკას და ალგებრას მასწავლიდა და ალგებრასავით აუტანელი ხასიათი ჰქონდა. რატომდაც ვერ მიტანდა, თავიდანვე ათვალშეუნებული ვყავდი. ალბათ იმიტომ, რომ მისი საგანი შეზინდებოდა და არც თავად იგი მეხატებოდა გულზე.

გამოსაშვებ საღამოზე ავდექი და ვუთხარი: საშუალო სკოლის დამთავრება ყველაზე უფრო იმიტომ მიხარია, რომ ამიერიდან თქვენ აღარ დაგინახავთ-მეტქი.

მან ბოროტი მზერა მომაპყრო, გაფითრდა და აღარაფერი უთქვამს. ეს იყო მხოლოდ — მაგრად, მაგრად მოიკვნიტა თხელი, უფერული ტუჩები. იმ გაფითრების სამაგიერო მან მხოლოდ მოგვიანებით გადამიხადა. მაშინ მე სულ რაღაც ოთხი თვის დაწყებული თუ მექნებოდა მუშაობა ქარხანაში... ერთ დღეს იგი მოსწავლეთა თანხლებით გამოცხადდა ქარხანაში... როცა ბავშვები ჩემს დაზგას შემოესივნენ, მან ჩემზე ანიშნა მათ და ხმამალლა, ყველას გასაგონად თქვა:

— აი, ბავშვებო, თუ არ ისწავლით, ასეთი ბედი გელით, ასე ამოის-ვრებით ზეთსა და მაზუთში!

თვით ავიღე და მივაცქერდი. ბოლმა ყელში მომაწვა, ლამის დამახრჩი ბოლმამ. ვიდექი, ერთიანად ვეანკალებდი და ვუცქეროდი. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და მან ჩემს მზერას ვეღარ გაუძლო, თვით დახარა.

— სირცხვილია! — დავიყვირე მოგულული ხმით, — სირცხვილია! აფსუს, რომ თქვენ პედაგოგი ხართ!

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე იგი ასეთი დაბნეული. სადღა იყო მისი სიამყე. იგი განადგურებული იყო. შემხედა, ტუჩები ააცმაცუნა, ალბათ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არაფერი უთქვამს, გაბრუნდა და წავიდა.

ვერიდებოდი ღოლოსა, შემომხედა სოფლის ბოლოსათ, სწორედ ისე იყო საქმე. ერთხელ, როცა დაბადების დღეზე ვეწვი ლილის და კარის

შეღებისთანავე ჩემს ყოფილ მასწავლებელს მოვკარი თვალი, და როგორ ლილიმ მითხრა: ეს ჩემი დედათ, გაკვირვებისაგან ლამის წავიძესი. ერთხურული ერთხელ, როცა პატანზე მორიგი წაკინკლავება მოგვიხდება უკრაინული ვერ მოითმინა და წამომახა: — შენ დედაჩემიც ვერ გიტანს. ასე თქვა: ხაძაველი, აუტანელი სუბიექტია.

— არც მე მეხატება დედაშენი გულზე! — ვუთხარი მე, — გულ-ლრძო, ბოროტი ტარტაროზია და მეტი არაფერი! ჩამოშორდიო, ასე გო-თხრა, არა?

— დიახ, ასე მითხრა!

— მერე?

— რა, მერე?

— შენ რაღას უყურებ?

— მართალია დედაჩემი, შენ აუტანელი ხასიათი გაქვს და დღეიდან ჩემს ლანდს ვეღარ იხილავ!

ახლა კი, ერთი წლის შემდეგ, იგი მოვიდა, მიცდის და ახლავს ეს გა-დაპრანეჭული სუბიექტი. კარგი საქმეა ჩემმა მზემ, კარგი!

— გამარჯობა! — ამბობს და ხელს მიწვდის ჩამოსართმევად. ერთხანს ვყოყმანობ. შეფარვით დავცექერი ზევიდან მის თითებს. ო, მას არაჩეულებრივად ლამაზი თითები აქვს. უხალისოდ ვართმევ ხელს და მის თეთრ, ქათქათა თითებზე ზეთს და შავ ლაქებს ვტოვებ. იგი ამრეზით დასცემის გაკუჭყიანებულ თითებს, მერე ხელჩანთიღან ცხვირსახოცს იღებს და დიდხანს, საგულდაგულოდ იწმენდს. ვდგავარ, ვუცექერი და სარკასტულად ვილიმები. იგი ხედება ჩემს ლიმილს, მაგრამ არ იმჩნევს. ჩვენ უკვე აღა-რაფერი გვაქვს სათქმელი. მაშ რატომ მოვიდა იგი? ფერშეცვლილ ცხვირ-სახოცს ჩანთაში ინახავს და იწყებს:

— მოვედი...

— ვიც.

— იცი, რისთვის მოვედი?

— მაპატიე, მაგრამ მაგი კი აღარ ვიცი უკვე! — სიგარეტს ვუკიდებ და ვცდილობ როგორმე შევაჩერო თითების კანკალი. არ მინდა მან შენიშნოს ეს. არ მინდა იცოდეს, რომ ვლელავ. და მაინც, კაცმა რომ თქვას, რატომ ვლელავ? არა, შენი ვერაფერი გამიგია, გულო!

— მე ვთხოვდები! პოდა.. — იწყებს იგი.

ახლა ერთი მაღიანი გაცინება მთელ რამედა ლირს. მინდა ხმამაღლა, გულიანად გვიცინო, რომ ამ სიცილით დავსცინო მასაც, ჩემს თავსაც, ყველა ქარაფშუტას, მაგრამ რომ აღარ შემიღლია გაცინება ახლა?!

— მაგაზე უკეთესს შენ ვერაფერს იზამ, — ვეუბნები მე, — ძალიან მიხარია.

იგი ნამდვილად არ მოელოდა ამას. მიხვდა: რაღაც შეეშალა, სადლ•ც

წაგო. სისტემისფერი ტუჩები გამშარებით მოიკვნიტა და მომატებული — რა მშერა იყო ეს, რა ბოროტი, რა მომნუსხველი, რა დიდებული მარტინის ის კი ვერ გავიგე, — ლილი მიცეროდა თუ ქალბატონი მარჯანიშვილი მაცეროდა და შიცეროდა, ყოვლისმომცველი იყო მისი დიდებული, ციცი სილამაზე...

„გაუძღვი! შენ ახლა გჭირდება გამაგრება, გულო! — გავიფიქრე — მაგან არაფერი არ უნდა შეგამნიოს და მაშინ გაიმარჯვებ, აუცილებლად გა-მარჯვებ მაშინ!“.

— ისაა შენი საქმრო? — ვეკითხები წყნარად.

— ჰო. — თავს შიქნევს იგი.

— შეც გიშოვია, რაღა.

— კარგი ბიჭია! შენთვის მინდოდა გამეცნო და მოვიყვანე.

— რაში მცირდება მე მისი გაცემბა?

— ჰო, მართლაც... რაში გჭირდება! — ამბობს დაბნეული და ტუჩები უთრობის... ვიცი, ტირილი უნდა ახლა, მაგრამ იგი არ იტირებს, არა-ფრით არ იტირებს, მე ვიცი მისი ხასიათი.

— სად მუშაობს? — ვეკითხები ისევ.

— არსად... მშობლები შეძლებულად ცხოვრობენ და რატომ იმუ-შევებს!

— გასაგებია! — ვამბობ ორაზროვნად და საჩვენებელი თითოით ვის რესაც შუბლს. ახლა მინდა ისეთი რაღაც ვკითხო, რომ სულ მოვუთავო ხელი, არ შემიძლია ეს ვიზიტი გაპატიო მას, რადგანაც ვიცი, რატომ მოვიდა. პოდა, ვფიქრობ ახლა რა ვკითხო.

— ფრიად პატივცემული დედაშენი როგორ არის? ხომ არის ჯანმრთელად? დიდის მოწიწებით, ხელზე ამბორით მომიკითხე, იცოდე! — ვამბობ და ვიცინი ხმამაღლა, მინდა სიცილით მაინც მივბაძო დედამისს.

— ო, რა საძაგელი ბიჭი ხარ! — ამბობს იგი და სახე ულურჯდება. — რა ბოროტი ხარ, რა ბოროტი!

— ეს შენთვის სულერთია! — ვეუბნები მოგონილი არხეინობით და ხელს ვუწვდი, — მაპატიე, მაგრამ უნდა შავიდე, ამდენი კი არ მცალა!

იგი ჩემს გაწვდილ ხელს დასცერის და არაფერს ამბობს.

— ჩამომართვი ხელი! — ვეუბნები მე, — ჩამომართვი და ნუ გეწყინება.

იგი დგას და ოვალებზე ცრემლი მოსდგომია. მე მივდივარ, რადგანაც არ მინდა შემეცოდოს იგი. მივდივარ თავდახრილი და უკან არ ვიხედება. მინდა კი მოვიხედო, მაგრამ თავს ვაიძულებ, გული მწყდება და უკან დაბრუნება მინდა... არა, შენ მართლაც რომ საოცარი ხასიათი გაქვს გულო!



• • •

ო, რა ჩქარა გარბიან ეს დღეები. მოიხედავ უკან და ხელშესაბამისად პარვია ხელიდან მთელი კვირა. საამქრო კი მუშაობს, რიტმულად გზგუნებს, მოდის და მოდის პროდუქცია. მიხარია, რომ ყოველი დღე, ყოველი საათი რაღაც ახლის მომტანია ჩემთვის. მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ. საქმე იმაშია, რომ აქ, ჩემს დაზგაზე ვერაფერს ახალს ვერ შექმნის კაცი. სულ ერთი და იგივე პროდუქციაა, სულ ერთი და იგივე საქმე. მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, ქარხანაში მოსვლა იმიტომ მიხაროდა, რომ რაღაც ახალს შევქმნიდი, ახალს გამოვიგონებდი — ისეთ რამეს, რომელიც ჰერავისა შეუქმნია, არ გამოუგონებია. ერთხელ ჩემი გულისტკივილი ცვლის ოსტატს გულმხილე, გაიცინა, შხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— აღმოჩნდა რაღა ახალი არქიმედი! ყოველგვარი ოცნება ფუჭია, მთავარია საქმე და საქმე! გირჩევნია, ფიქრს თავი დაანებო და ორი კაპი-კი გააკეთო, მაგ გამომგონებლებმა უკვე მოგვჭამა ჭირი, მეოცე საუკუნეა, გამოუგონებელი და გაუკეთებელი აღარაფერი დარჩა.

მან ვერ გამიგო და გული დამწყდა. არა, ეს სწორი არ არის! აბა როგორ შეიძლება ყველაფერი გამოგონებული იყოს? მაშინ ხომ ეს ცხოვრება ძალიან მოსაწყენი, ერთფეროვანი და უფერული იქნებოდა, მაშინ ხომ აზრი დაეკარგებოდა ყველაფერს? ღმერთმა დაიცვას, ყველაფერი გამოგონებული იყოს და ადამიანებს აღარაფერი დარჩეთ საფიქრალი და გამოსაგონებელი.

ვმუშაობ და ვფიქრობ... მახსოვს, ერთხელ მამაჩემის მეგობარმა პოცმანმა მითხრა... ის ბოცმანი ბებერი იყო, ფერფლისფერი წევრი მექრდზე სცემდა. დანაოცებული, ქარისაგან გამომშრალი, მზისაგან გაშვებული სახე ჰქონდა. იგი ყოველთვის ზღვისპირას იჯდა, ახრჩოლებდა გრძელტარიან ყალიონს და ფიქრობდა. მას შეეძლო საათობით ეცქირა ზღვისათვის და ხმა არ გაეღო. ზღვა მისთვის ყველაფერი იყო. სატრიფ და ცოლი, შვილი და მეგობარი, ზღვის გარდა მას არაფერი გააჩნდა ამ ქვეყანაზე და ბოცმანი ახლა მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ იგი აღარაფერი იყო ზღვისათვის და ზღვა, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო შორდებოდა მას და მეჩეჩზე შეგდებულ სანდალივით ტოვებდა... ბებერი ბოცმანი თავად წირმალგვენდა ზღვას, ნატალლარ, დაშვიდებულ ზღვას... ჰოდა, იჯდა ბოცმანი ზღვის პირას, სთვლემდა, თვლემისას მირაერვით ეჩვენებოდა დიდი პორტები და ოკეანეები, ცისფერი ტალღები, გემები და ლამაზთვალება ალბატროსები... ჰოდა, მითხრა ერთხელ მამაჩემის მეგობარმა ბებერმა ბოცმანმა ცხოვრებისეული სიბრძნე თუ იგავი: — მე იმითა ვარ ბედნიერი, რომ სამოცდათი წლის განმავლობაში ყველა მიყვარდა და ვერავის შეძულება ვერ მოვასწარიო.

ბებერი ბოცმანი ახლა კარგა ხანია აღარ არის და მე კარგად უნდა



ლავიშახსოვრო ეს დიდი, ცხოვრებასავით მართალი და უსაშეოდნობებული გადასახლება  
ნე, კარგად უნდა დავიმახსოვრო, რომ აღარასოდეს დამავიწყდეს!

• • •

ცხოვრება კი თავისი გზით მიღის. წინ დიდი გზაა — ნათელი, ფართო გზა და მინდა ისე ვიარო ამ გზაზე, რომ არ შევრცხვე, არ შევღრჩე და ქედი არ მოვიხარო არავისა და არაფრის წინაშე. მინდა თვალი გავუსწორო ცხოვრებასავით მეაცრ სიმართლეს და როცა ვინმეს გაუჭირდება და დავჭირდები, არ დავყრუვდე, არ დავმუნჯდე, არ დავბრმავდე!

ოცნებით კი ძალიან მინდა ვიოცნებო! მე მჯერა — ოდესმე მაინც გავაკეთებ, შევქმნი, გამოვიგონებ რაღაცას, ახალს, სასარგებლოს. რა იქნება ეს, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იქნება, აუცილებლად იქნება!

ტრიალებს ლილვი, ბრუნავს ბურღი, იბურღება ლითონი, დგას გადამუშავებული ზეთის მყრალი ობშივარი... ჩემი ხელები შავია, მუხის ქერქივით მაგარი, მკვრივი. მე ვამაყობ, მე მიყვარს ჩემი მუშა, კეთილი, ბავშვის გულივით ალალი ხელები! ვიცი, ბევერი რამ შეუძლია მას. მას შეუძლია გააკეთოს კეთილი საქმე, მიწოდოს მწყურვალს წყალი და მშიერს ალალი, დაუმადლებელი ლუკმა, წამოაყნოს წაქცეული, ამოუშროს მტირალს ცრემლი, დარგოს ნერგი, დაამყნოს კვირტი და დაარწიოს აკვანი!

ჩემი, ზეთში გამურული ხელები ლამაზია, ბალახივით ალალი, მზესავით თბილი, კეთილი და ბავშვივით უცოდველი!

## ცყვილი საჭურო

ლეთას შფოთვარე მდინარებას ვერ გავატანე  
გულში ოცნებით შენახული წყვილი საყურე.  
ო, ფიქრის გარდა არ ყოფილა კიდევ სხვა ყურე,  
ვიდრე იმ დღეთა სახსოვარი მარად ნეტარებს.

რაა სიცხადე თუ ყველანი ვგავართ კენტავრებს,  
რაა იმედი უსაგნობის ამ სამსახურით,  
თუ ისევ ამის წყალობით ვარ შენი შემყურე...  
პარალელები ერთმანეთს არ გადაკვეთავენ.

იშვიათია ბათუმისთვის ასეთი ნისლი.  
როდემდე უნდა მალოს გულმა სათქმელი თვისი  
თუ სიყვარულში უთქმელობაც ბანალურია.

ეს ვინ მოადგა დაგმანულ გულს წყვილი კანდელით,  
ნელა შეაღო, შეიტანა ბნელში ნათელი,  
როგორც მოცარტის ამღერება „ალილუა“.

## ბნელში გაძცევლი სანთელი

ჩუმი ეფემერა,  
ჩემი დღენათელი,  
შუბლზე მეფერება  
მწველი სანთელი,  
დღისა და ღამის  
წყვილი კამათელი...  
ღმერთმა ხელი ამაღო,  
სხვას რად ვემართლები,  
განა მოვინდომე  
რაღაც უსაშველო

ტრუობა შორიდანვე  
შებად მომაშველო,  
სული იშრიალებს  
განა მოფერებით,  
სინათლე მშია მე,  
სუნთქვა ეფემერის,  
ჩემი დღენათელი  
ფიქრის საქციელი,  
მწველი სანთელივით  
ბნელში გაქცეული.

# მარტინ ბაზი



ჩვეულ ლალობით გამორდა ტოტებს,  
ახლა სულ ღაფავს ოქროს ფოთოლი...  
ვინ იფიქრებდა სიცოცხლის მოტივს  
დასრულებდა მიწაზე თრთოლვით.

იქნებ ას იყო იგი სრულებით,  
ან კი აქედან რაღა გამოვა —  
შთაბეჭდილების მქრალი სურათი  
თუ ვერ შეავსებს ამ უკმარობას.

მონანიების ნათელ კვალივით  
ქარში ზუზუნებს ფუგები ბახის  
და თავისთავში ვერგარკვეული  
დგას შინაგანად დაცლილი ბალი.

ძილდვიძილიუით რაც ეუფლება,  
აბუნდოვანებს უფრო სიცხადეს;  
ოოგორ დაშლილა დამჟენარ ფოთლებად  
და რა ცოტალა რჩება მიხრწნამდე,

ეისი სურვილით, არავინ იცის,  
ვის ეღვიძება, ვის ეძინება;  
ვისით იწყება ფოთოლში მიწის  
ეს უჩინარი ალორძინება.

## გ ა ნ მ ბ რ თ ვ ა ბ ა

საშინელია განმარტოება,  
საკუთარ თავთან მოსალოდნელი,  
თითქოს უფსკრულთან ნაპირს ვტოვებდე...  
ჩილრმავებულა ქვაში როდენი.

აქ რა მეგულვის? მღვრიე ტალლები,  
თუ შთაგონების მწვავე გენია,  
ყველა დახშული კარის გალების  
ბედნიერება ვის უგემნია!

ო, უტალებო და უქარებო  
სიმძაფურე არა წამისმიერი  
თავგანწირვისთვის აღარ კმაროდა,  
ყველა სუნთქავდა სიცარიელით.

საშინელია განმარტოება,  
ვით უდაბნოში ქანაანელის,  
თითქოს უფსკრულთან ნაპირს ვტოვებდე —  
ეს რა სიღრმეში მივეტანები.

---

## ამინან შეგვაშიძე

# დ ა ბ ა ნ ე ნ ე ბ ა

მცირელი VI

წამყვანი — ამ დღეებში დიდი ბრძოლები მიღიოდა შოსკოვის ქუჩებში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს პრესნის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ ბარეკადებზე. მებრძოლ მუშებს გვერდით უდგრენ მათი ცოლები და ხშად ბავშვებიც. (სინათლე აინტება, გამოიჩნდებიან: ვასო და გორგი).

ვასო — უეცრად რამდენიმე წითელი დროშა აფრიალდა და რევოლუციური სიმღერა გაისმია. გაიმართა მიტინგები. ერთ-ერთ მიტინგზე ჩვენი კოტე დავინახე. ცველა მიტინგზე ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს — წავიდეთ ახლავე და ციხეებიდან გავათვისუფლოთ პოლიტიკური პატიმრები!

გორგი — ეს გადაწყვეტილება სტიქიური იყო?

ვასო — სტიქიური იყო, მაგრამ მაორგანიზებელი ხელიც ერთია.

— ტაგანკის ციხისაკენ! — ყვიროდა ერთი ნაწილი.

— ბუტირსკისაკენ! — მოითხოვდა მეორე.

მე, როგორც ბუტირსკის ყოფილ პატიმარს, იქით უფრო მიმიწვევდა გული. ხალხ ბუტირსკისენ დაიძრა, ამ საშინელ ციხეს მიადგა სიძლერით, ყუინით და მოითხოვა პოლიტპატიმართა გათავისუფლება. (შემოდის თედორე შალიაშვილი. გორგი და შალიაშვილი გულთბილად მიესალმებიან ერთმანეთს).

გორგი — (ვასოს) გაიცანით... ეს კაცი შალიაშვილია.

ვასო — (აღტაცებით) სიმღერის ღმერთი!.. მოხარული ვარ.

გორგი — (შალიაშვილს) ეს ვეუკაცი კი ვასო ერაძეა. (ისინი ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ).

გორგი — ახლა კი, შენც უსმინე ფედია. ვასო, განაგრძეთ.

ვასო — ციხის მცველები შეყოყმანდნენ, მაგრამ შევამტვრიეთ კარები და ციხიდნები გამოვიყანეთ კველა პოლიტპატიმარი. ხალხი ხევეოდა და კოცნიდა მათ. შემდეგ ტაგანკისაკენ გავემართეთ და იქიდანაც გამოვიყვანეთ პატიმრები.

დრამატურგმა ი. შერვაშიძემ თავისი ახალი პიესა მიუძლვნა გამოქვიდილი საბჭოთა რეჟისორის, ქართული თეატრის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებას. იგი ასახავს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას. ვტეჭდავთ ამ პიესას ერთ ეპიზოდს.

გორკი — ნუთუ არავინ არ გიწევდათ წინააღმდეგობას. სად იყო პოლოცია, ან შეერაზმელები და მათი ევან-ჩვენი.

გასო — გადაცმული პოლოციელები და შეერაზმელები ბლომად ერივრულურ ფრუტებს. შეიძლებული რაზმელები ვუზიზლობით, რომ რაიმე პროვოკაცია არ ჰქონდებოდა უკანასკნელი ნილბულ მტერს. უცრად ცყირილი გაისმა:

— მოჰკლეს! მოჰკლეს!

ხალხი შედგა და გარინდდა. არ ვიცოდით, რა მოხდა. მალე გამოირკვა, რომ დიდი რევოლუციონერი, თავდაცებული მებრძოლი, ამხანაგი ბაუმანი კუთხიდან მიძარვით მოკერა შეერაზმელმა.

გორკი — ნიკოლოზ ბაუმანი!

გასო — დიას, ნიკოლოზ ბაუმანი.

ხალხის მწუხარებას და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მოითხოვდა მკვლელის ჩაქოლვას, მაგრამ დამაშვევე გაუჩინარდა. (შემოდის ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო).

გორკი — ვლადიმერ ივანოვიჩ, ძლიერ გამახარეთ... მეგონა, ვერ შეძლებდით ჩემთან მოსკვლას.

ნემიროვიჩი — შენ თაფლი თქვე, თორებ ფუტკარი ბალდადიდან მოფრინდებაო. (გორკისა და შალიაპინს ხელს ჩამოართმევს და შემდეგ ვასოს ათვალიერებს, ეტურბა, მოსწონს).

ალბათ ქართველი ბრიანდებით.

ვასო — არ შემცდარხართ.

ნემიროვიჩი — აბა, არც შე ვარ გადამთიელი, ოზურგეთელი გახლავართ.

გორკი — (ვასოს) ნემიროვიჩ-დანჩენკო, მოსკვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და რეესორტი.

(ნემიროვიჩს) ეს კი, ვასო ერაძეა. (ვასო და ნემიროვიჩი ერთმანეთს ხელს ჩაშორებული). ნემიროვიჩი — მგონი ხელი შეგიშალეთ?

გორკი — პირიქით... ახლა კი, თქვენც მოისმინეთ, ვლადიმერ ივანოვიჩ... ეს ამ-ბავი შევრს აუცელს თვალს.

(ვასოს) შემდეგ?

ვასო — დაამდი. საკაცებე დასვენებული ბაუმანის ცხედარი ტექნიკურ სასწავლებელში მივასვენეთ. იმ ღამეს ცხედარს ყარაულად ვუდეჭით ქართველი რაზმელები. ნაშუალმევს მოულოდნერელად ჩევრთან შემოვიდა ერთი მუშა და გაგვაფრთხილა, რომ სასწავლებლისაკენ შეერაზმელთა დიდი დემონსტრაცია გამოემართაო. ისინი გასრესით გვემუქრებოდნენ...

— სიკვდილი კრამოლიკებს! სიკვდილი უიდებს! — უვიროდა ბრბო. ჯერ ქვები დაგვიშინეს, შემდეგ კი სროლა აგვიტეხეს. — შევიდეთ, გავშეყიტოთ! — ლრიალებდა შეიარაღებული ბრბო. გალავნის კარებს მოადგნენ სროლითა და ყიჯინით. ჩვენ სროლი-ოვე ვეპასუხეთ. შეერაზმელთა რიგებიდან რამდენიმე კაცი წაიქცა, დანარჩენები გაიქცნენ. (შემოდის კოტე მარგანიშვილი. საერთო მისალმება).

ბარგანიშვილი — მაგრამ ისინი ისევ დაბრუნდნენ და ქართველთა შეიარაღებულ რაზეს ბრძოლა გაუმართეს. რაზმელები მათ მთლიანად გაანადგურებდნენ, მაგრამ ამ დროს...

გორეთ — ჰო, რა მოხდა?

მარჯანიშვილი — დე დამთავროს მანვე, ვინც ყვებოდა.

გორეთ — ვასო, რა მოხდა შემდეგ?

ვასო — შემდეგ?.. ცხენების ფლობეთა თქარუნი მოგვესმა... წუთით და... კაზაკთა მთელი ურდო გამოჩნდა. მოწინააღმდეგე ათგერ მეტად გვპარბობდა. პირისპირ შეპრძოლებას აზრი არ ჰქონდა. ბაუმანის ცხედარი მეორე დღემდე საიმედო ადგილს იადგინდა და სათითაოდ გავცილდით იქაურობას, რომ მალე, სულ მალე ძმარი ვაღინოა იმ არამშადებს. (ყველანი ჩაიფერდებიან, ღრმა დუმილს შალიაპინი დაარღვევს).

შალიაპინი — ვამოდის — სისხლი უნდა დაღვაროთ... ეს ხომ უგუნურთა სითამა-მე და თვეგანწირება.

გორეთ — ჩვენ კი „თავგანწირულთა უგუნურებას ლალად ვუმღერით ქებათა-ქებას“.

მარჯანიშვილი — გაბედული ხალხის თავგანწირება — ი რა არის სიცოცხლის აზრი და სიბრძნე! ო, გაბედულო შევარდენ! მტერთან ბრძოლაში სისხლისაგან შენ დაიკალა... „მერე რა ვუყოთ, თუ ბრძოლაში სული დალიე!.. შენებრ მამაცთა, სულით ძლიერთა, ლალ სიმღერაში მუდამ იქნები მაგალითი და სინათლისაკვენ კვლავ ამაყად შენ მოგვიწოდებ! „თავგანწირულთა უგუნურებას ლალად ვუმღერით ქებათა-ქებას!“

შალიაპინი — ვიღაც დიდმა ელინელმა ასე თქვა: „ხალხი კაპრიზ ქალს პგავს: ალე-რსიანი ფხანა უყვარს“... თქვენ კი იარაღ აჩრით ხელში, რაო, რაც შეიძლება ბეკრი სისხლი დაიღვაროს. იარაღი კი არა, ხალხს პური და სიმღერა უნდა.

გორეთ — მართალია, ხალხს პური და სიმღერა უნდა, მაგრამ ამავე ხალხის მოწეულ პურს სხვები ჭამენ, თვითონ კი უტუროდ რჩება. ხალხს სიმღერა უნდა, მაგრამ როგორ იმღეროს, როცა არ ემღერება? იმისათვის, რომ ხალხი მაძლარი იყოს და ამღერდეს, საჭიროა სახალხო ხელისუფლება.

შალიაპინი — ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს სახელმწიფოს ხელისუფლების სათვეში, ანუ მისი მპყრობელი... ყველა ისინი უზურპატორები არიან. ერთნი ათასგვარი ხრისითა და გაიძვერობით ექცევიან ხელისუფლების სათვეში, მეორენი კი ხალხის სახელით მიძერებიან ხელისუფლებისაკვენ... და როცა მიზანს მიაწევენ და ხელისუფლების სადაცებს ხელში ჩაიგდებენ, ხალხი აღარ ახსოეთ. არც ერთ ხელისუფალს არ უყვარს ხალხი... ისინი ხალხის სახელით ვაჭრობენ. ისინი ადამიანთა სისხლითა და უბედურებით იკაფავენ გზას ხელისუფლებისაკვენ, ესე იგი, საკუთარი დიღებისაკვენ... ვისაც ხალხი უყვარს, მას ბატონად არ მოევლინება.

გორეთ — და ჩვენც სახალხო ხელისუფლებისათვის ვიბრავით.

შალიაპინი — ეგ ზღაპარია. მთავარია აღამიანთა სულიერი სამყარო, მისი საზრდო—ხელოვნება... და ამიტომ ხელოვანი ყველა ხელისუფალზე მაღლა დგას. და ამის გამო, მე მინდა ასე შევძახო: გუმარჯოს ხელოვანსა და ხელოვნებას!

გორეთ — ცხოვრებას ჩვენ ერთად ვსწავლობდით, მაგრამ იგი სხვადასხვანაირად გვესმის თურმე.

შალიაპინი — ყველას, რომ ყველაფერი ერთნაირად ესმოდეს, მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება.

ବେମିରନ୍ଦ୍ରାଜିକି — ଶ୍ଵେତପଲ୍ଲେଶ୍ଵରୀ ଚିନାସିଂହ ଗନ୍ଧିରୀଠିର, ତୁ ତା, ଖୋଗନ୍ତି ବେଙ୍ଗଦୟା.  
ଏ. ମାଗାଲିତାଳ — ବ୍ୟକ୍ତିଗତ... ସାର୍ଵଜିତିନ୍ଦ୍ର, ସାର୍ଵାଦିଗମ ଗ୍ରହିଳ ମିଶ୍ରଦେବୀ ଚିନାସିଂହ ଏଥି  
ତୁ ଖୋଗନ୍ତି ଶୁଣ୍ଡା ପୁଣୀ, ମାଗରାମ ଖୁପା ଏହି ଗନ୍ଧିରପୁରୀଲାଦେବ, ଦେବରାଜ ଶୁଭରକ ଶେଷଗ୍ରୀ  
କୁଳା, ବିଲ୍ଲିର ଚିନାସିଂହ ଉପରେରୁଦୟମ  
ଖରିବରିବୁଦ୍ଧି ଶିଖିବିବୁଦ୍ଧି

**შალიავინი** — ასე მხოლოდ ცუდ რეჟისორებს გამოუდით.

ნიმისროვები — ფქვან გინდათ თქვათ, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრი....

**გორეთი** — ის, რაც მუსიკაში კანონია, ცხოვრებაში შეიძლება ანარქიად იქცეს, ანდა არასამართლიანი საზოგადოების დაყანონებად. ყველას და ყველაფერს ერთ კანონს ვერ მიუუწევენ. ჩვენთვის ახლა მთავარია კანონი საერთო-სახალხო ბედნიერებისა და თა-იძისულების უზრუნველყოფისა. (კარებში გამოჩენდება კირა).

— მაპარიეთ, ბატონებო!

კორე — ჩა დაგემართა, კირა? შენ ლელავხარ...

კირა — არაფერი, ალექსეი მაქსიმოვიჩი... მე ჩქარი ნაბიჭით მოვდიოდი, თითქმის  
კირა — არაფერი, ალექსეი მაქსიმოვიჩი... მე ჩქარი ნაბიჭით მოვდიოდი, თუ შეიძლება ორიოდე წევთით  
მოვრბოდი... გადაიდალე! კონსტანტინ ალექსანდროვიჩ, თუ შეიძლება ორიოდე წევთით  
რომ შეგაწუხოთ.

მარგანიშვილი — სიამოვნებით! (მარგანიშვილი კირასთან ერთად გადის)

— (ବାଲୀ) ରୂପାଳ୍ପିତ ଅନ୍ଧରାମ ଗୁଣଦୀ

— മുൻപു വരുമ്പോൾ അവരുടെ മാനസിക അഭിരൂചികൾ

კასო — ჩვენი იტყვებით, უკლი ფურცლი, ად

გორეთ — ძაისც, რა ლამაზა ის ვამდიალის! ვასო — რაჭმილან გვაგლე... ის რომ ახლა ქ' ყოფილიყო, სილას ვავაწნიდი. ქმ, ალექსესი შესმიჩი, მე დღემდე ვფიქრობ, რომ მიგიყვანათ იმ ზომამდე, რომ ველიქეს ქორა ვაშვინო?

გორეთ — რად გამახსნეთ იმ სახაგელი აღამინის სახელი! ასეთი შვილის ქველები მის დედას სახეში უნდა მიაყრო. რომ აღარც მან, აღარც სხვა დედამ ისეთი ცხოველი, როგორიც იყო ველიქო, აღარ დაბადოს... თუმცა წარმოშობით მალორისია, მაგრამ რეს შეკრაშმელებზე უარესი ქვეწარმავალი გამოვათ... ეს არაუსი, ნამდვილი რეს დერეკიძორდა. როგორც თქვენთვისაც ცნობილია, მე საქართველოში, თბილისში ავიდ-გი ფეხი როგორც ლიტერატორმა, როგორც მწერალმა. ერთხელ ჩემს კეთილ მეგოპარს ეგნატე ნინოშვილს გარსშემოხვეულა რკინიგზელი მუშები ხოტბას ასამდნენ რომელი-ლაც მისი მოთხოვბის დაბეჭდვასთან დაკავშირებით... მეც იქ ვიყავი და გულაბდილად უნდა გითხრათ, კეთილი შურით ვუცემოდი ბედნიერ ქართველ მწერალს, რომელიაც თავისი შრომით ქმაყოფილს თვალებზე ცრემლები მოდგომოდა და მუშების მიერ გამნენ-ებულს პირზე ლიმილი გადავეროდა. ეგნატემ შემამწინია, ალბათ შეიცნო ჩემი გულის-ნალები და გამამნენებლად მითხრა: „ჩა იყო, მაქსიმიჩ, თქვენც დაწერეთ, დაწერეთ აი ფერ. როგორც ვვიამბობთ ხოლმე და უჟეველად გახდებით ცნობილი მწერალი, კველას შეუყვარდებით“... და მეც დაწერე... თბილისში დავწერე ჩემი პირველი პირში ლი-ტერატურაში „მაკარ ჩუღარა“.

ნემიროვიჩი — ეს ყველაფერი ჩვენთვის კარგად ცნობილია, კითხვას რატო გადაუხვიერეთ...

გორქი — შიოთმინეთ, თანმიმდევრობით მოგიყვებით... ნუთუ თქვენი მუს ცუკი და გადაუხვიერებით, როგორ გავიწანი ველიჩქას სილა, როგორც ჩვენმა ვასომ იყითხა, რამ ისიდან უვანი იმ ზომამდე, რომ მე სახალხოდ გავლახე ველიჩქა... დიახ, გავლახე. ნაცონბებმა და ბეგობრებმა მირჩის, ჩემი მოთხრობა „მაკარ ჩუდარა“ გაზეთ „კავკაში“ მიმეტანა. მეც მივიტანე. რედაქტორმა ველიჩქამ, თუმცა მედიდურად მაგრამ მაიც თავაზიანად მიმიღო, მოთხრობა წაიკითხა, მითხრა, დავბეჭდავო და ჰონორარიც დამპირდა. ჰონორარი ძალიან მცირე იყო, მაგრამ ისეთ გაჭირებულ მდგომარეობაში ვიყავი, რომ დავთანხმდი. არ დაგვიწყდეთ, ეს ჩემი პირველი ჰონორარი იყო. მოთხრობა დაიბეჭდა. მკითხველებს მოეწონათ. მივედი ჰონორარის მისაღებად. „ხვალ“, — მითხრა ველიჩქამ. მივედი მეორე დღეს, „ხვალ“ — გადამიდვა კიდევ. მივედი მესამედ, მეოთხედ, ბოლოს კი სულ უარი მითხრა. განვლო დრომ და ისიც გავიგე, თუ როგორ მოექცა ის ქართველებს. ქართველი მშერლების თარგმნით პოეტის კარიერას იკეთებდა. ქართველ ინტელიგენტა წრეში შეძერა და ამავე დროს თურქე უანდარმთა სამართველოს ცნობებს აწვდიდა მათ შესახებ. გავიდა დრო. ერთხელ მას ხარკვდის სადგურზე შევხვდი. შევლაპარაყდით. ლაპარაკი ისე უკმეხად დამიწყო, რომ ვეღარ მოვითინე და გავარტყიყო. არც ვნანობ.

ვასო — (ტაშს შემოკრავს) თქვენს მარჯვენას ვენაცხალე, ალექსეი მაქსიმიჩ!

შალიაბინი — გორქიმ, თვითონ მაქსიმ კაცს სახალხოდ გაარტყით?

გორქი — კაცს! ყველა კაცი ადამიანი როდია. კაცი, რომელიც ავსილია ცხოველური ინსტრუმენტით — მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ადამიანთა შორის. ადამიანი ჩემი სულის ნაწილია. თუ მას სცემენ — მე მტკიცა, თუ მას შეურაცხყოფენ — ეს აღმაშეოთოებს, მსურს შური ვიძიო. მე ვერ წარმომიდგენია ზვი დამშენებელსა და დამონებულს შორის.

შალიაბინი — ვატყობ, ჩხების ხასიათზე ხარ. ბედმა გაგილიმა — ცნობილი ადამიანი გახდი, რაღა გაჩხუბებს?

გორქი — დიდი ხანია კარგად გიცნობ და ამიტომ არ მიკვირს შენი თვედასხმა. მე ხომ შენი ნეკის თაყვანის სტუმელი ვარ, მაგრამ... გახსოვს, ფედია, ნინინი-ნოვგოროდი? გამოცდის შემდეგ მე მიმიღეს აოერის მომლერალთა გუნდის წევრად, შენ კი — არა. (შემოდის მარჯანიშვილი, იგი შეუმჩნევლად დაჭდება თავის ადგილზე).

შალიაბინი — მალიზიანები? მაგრამ მე მაიც შენზე უკეთესი მომლერალი ვარ.

გორქი — ტუშილა ცხარობა... ჩემი ყელი ფიზიოლოგიურად ისე არ არის მოწყობილი, რომ იქიდან ხასიამოვნო ბევრები მოისმოდეს.

ნემიროვიჩი — რა დიდი ცინიზმი იქნებოდა, რომ გორქი მომლერალი გამხდარიყო, შალიაბინი კი მშერალი.

გორქი — მაგრამ ასე ხშირად ხდება... ეს კი ქურდობაა.

მარჯანიშვილი — ადამიანმა არსოდეს არ უნდა მოიპაროს. თუ გერგება და, არ გაძლევენ — წაართვი, მაგრამ ნუ მოიპარავ.

გორქი — სავსებით სწორია... ყველაზე დიდი ცოდვა და ბოროტება ქურდობაა... განსაკუთრებით დიდია დანაშაული, როცა კაცი სხვის ადგილს იპარავ ცხოვრებაში.

**შალიაპინი** — არიან კარგი და ცუდი ადამიანები... კარგს პატივი ეცი, ცუდს ზერდებ  
შევებრუნე. ამავე დროს არიან სუსტი და ძლიერი ადამიანები... ძლიერს ჰერიტაჟი,  
სუსტი შეიძრალე.

ადამიანი! ეს ბრწყინვალეა... ამაყად კლერს ადა-მი-ანი! თავუანი ეცით ადა-მიანს... ნუ შეიბრალებთ, ნუ დაამტკირებთ სიბრალულით... არა, მას პატივი უნდა სცემოთ... რისი უნდა ეშინოდეს ადამიანს? ადამიანი უკეთესისათვის იჩალება და აძრევა-ნიორი კულა სიცეთ ნამდვილი აღამრინის ხვედრი უნდა იყოს.

შალიაპინი — ყველა?! ყველა ერთად და ერთნაირად ვერ მოთავსდება. ეს შეუძლებელია.

გორეთ — შეუძლებელი კი არა, ზოგიერთისათვის არასასურველია, მაგრამ ჩვენ დავთორებული მათ, ვისაც არა სურს ადამიანის კეთილდღეობა.

ნემიროვიჩი — ჰო, მთავარია — ადამიანი!

მარგანიშვილი — ადამიანები კი კაცობრიობას შეადგენენ. კაცობრიობა — ყველა ადამიანი, ყველა რასა და ყველა ხალხია ერთად აღებული. დედამიწა მთელი კაცობრიობის საკუთარი სახლია. აქ კი ყველა ისე უნდა გრძნობდეს თაქ, როგორც საკუთარი სახლში.

გორეთ — ლიან, ეს ნამდვილად ასეა, ზატონებო! (ხველა აუტყვლება და გადის).

მარჯანიშვილი — დიდია გორეკი, დიდია მისი გულის სითბო და დიდია მისი ოქტოცენტრის კეცხლი და რისხევა.

შალიავინი — მასეთი აღამიანები დიდხანს არ ცოცხლობენ.

ნომინაცია — სამართლოდ სამუშამოდ რჩება დიდებით მოსილი მათი სახელი.

**შალიაშვილი** — ვერაფერი გასამრგელო ისეთი დიდი მსხვერპლის საფასურად. უ-  
კელგვარი სიკეთე და სიამონება იდამიანმა სიცოცხლეშივე უნდა იგემოს... სიკვდილის  
შემდეგ კი რა ჯანდაბად მინდა სახელი და პატივისცემა. (შემოღის გორუი).

გორეთ — კარგად ჩომ არ გიცნობდე, სახლიდან გაგაგდებდი.

**შალიაძინი** — ნუ იზამ, ალიოშა, როცა დრო მოვა, მე თვითონ წავალ. შენ აღბათ ნაწყენი ხარ ჩემზე, რომ აქ მოსვლა დავაგვიანე. ჩემი ბრალი არაა. წარმოდგენის შემ-დეგ კიდევ ვიმლერე. გავათვე თუ არა მეფისტოველის პარტია, მთელმა თეატრმა ერთ-ხმად მომთხოვა „მარსელიოზა“ მემღერა. სიმართლე უნდა გითხრა, არ მომწონს გადმო-რუსულებული „მარსელიოზა“, როგორც კი სცილდება ფრანგულს, თავის ლაზარს ჰე-რგავს. გაგვადნირდი და ხალხს ჩემი მოთხოვნილება წავუცენე: „მე ვიმლერებ „დუბი-ნუშეის“, თქვენ კი მომძახეთ!“ დავძხე „დუბინუშეა“, ხალხმა კი მომძახა, მომძახა ისე-თი სიძლიერით, რომ დარბაზი ხმას ვეღარ იტევდა. უუხ, თურმე როგორ სწყურია ხალხს თავისუფლება!

• გორეთი — შენ ყველაფერს გვიან გებულობ, ფედია!

**შალიაპინი** — ჩემი საქმეა სიმღერა... მაგრამ მე ყოველთვის კფიქტობდა ცოდნას  
და ბეჭედის რუს ხალხზე. ეს კარგად იციან და ბოლშევიკებმა გაშეო უსკოდად და  
უსლი გამომართვეს, ის კი არ ვიცი, თუ რას წერენ იქ. მაგრამ მე მაინც უსკოდად და  
სოციალ-დემოკრატებს. ალიოშა, შენ უნდა ამიხსნა, თუ რას ესტრაფვის ეს პარტია,  
უნდა განმიმარტო, ვინ არიან ბოლშევიკები, ვინ არიან მენშევიკები.

**გორკი** — ოი, ფედია, პოლიტიკაში უიმედო, უფრო მეტიც — ბეცი აღმოჩნდი.  
შენ მებრძოლად არ გამოდგები... მაგრამ, თუ მოინდომებ, სიმღერითაც შევიძლია და-  
ეხმარო ხალხს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

**შალიაპინი** — ბრძოლა თქვენთვის მომინდვია, სიმღერას კი არასოდეს არ დავიშუ-  
რებ. იი, ახლაც სიმოვნებით ვიმღერებ (ვასოს და მარჯანიშვილს) თქვენ ხომ ქართვე-  
ლები ხართ... მოდით შემოვძახოთ დიდებული „მრავალუამიერი“.

---



© 2018. 35603 2020

## ԱՐԵՎՈՅՑ ՅԱԲՈ ՅՆԴ

მეფის რუსეთი სხვა ქვეყნებზე  
გვიან დაღგა კაპიტალისტური გა-  
ნვითარების გზას. მაგრამ მან ეს  
გზა რამდენიმე ათეულ წელიწად-  
ში განვლო, უფრო მოკლე დრო-  
ში, ვიდრე დასავლეთ ევროპის  
ქვეყნებმა, და XIX საუკუნის და-  
მდეგისათვის უკვე სავსებით ჩა-  
მოყალიბებული კაპიტალისტური  
ქვეყანა იყო.

XIX და XX საუკუნეების მიგ-  
ნაზე დაიწყო ახალი ეპოქა კაპი-  
ტალიზმის განვითარებაში, იმპე-  
რიალიზმის ეპოქა. ძველი, მონო-  
პოლისტურამდელი კაპიტალიზმი  
შეიცვალა მონოპოლისტური კა-  
პიტალიზმით, იმპერიალიზმით,  
რომლის განვითარებას ახასია-  
თებს კაპიტალისტური სისტემის  
ლპობა, სოციალურ და პოლიტი-  
კურ წინააღმდეგობათა გამშვავე-  
ბა.

კაპიტალიზმის განვითარების  
უთანაბრობამ და ევროპის შეცვ-  
ლილმა სოციალურ-ეკონომიკურმა

კითარებამ, რუსეთის ისტორიულ  
ასპარეზზე თანამედროვე პროლე-  
ტარიისტის გამოსვლამ, პროლეტა-  
რიისტისა და გლეხობის რევოლუ-  
ციური მოძრაობის ზრდამ, მომწი-  
ფებულმა ობიექტურმა და სუბი-  
ექტურმა ფაქტორებმა განაპირო-  
ბეს ის, რომ XIX საუკუნის დამ-  
ლევსა და XX საუკუნის დამდევს  
შოთლიო რევოლუციური მოძ-  
რაობის ცენტრმა რუსეთში გად-  
მოინაცილო.

ახალმა ეპოქამ — იმპერიალიზ-  
მისა და პროლეტარული რევო-  
ლუციების ეპოქამ ახალი ისტო-  
რიული ამოცანები დაუსახა რუ-  
სეთის პროლეტარიატს. იგი სათა-  
ვეში უნდა ჩასდგომოდა მოახლო-  
ებულ რევოლუციას და უზრუნ-  
ველეყო მისი ბოლომდე მიკანა.

ଓ ଏମନ୍ତରୀକାରୀର ହୁଅଥିଲା କଣାଳ୍ୟ-  
କ୍ରାନ୍କିତିରେ ମେଳାଲାଦ ମାଶିନ ଗାଢାଯି-  
ପ୍ରେତିରୁ, ତୁ ମାତ୍ର ଉପରେବରାଦା ମେହେ-  
ରଦାଲା, ହୃଦୟଲୁହାରୁରୀ କାନ୍ତିରା,  
କାହାରେ କୁଠିବିଲା କାନ୍ତିରା, କନ୍ଧିଲୁହାରୁ

უნარი ექნებოდა, წაეყვანა პრო-  
ლეტარიატი ხელისუფლების დაპ-  
ყრობისათვის საბრძოლველად.

„ჩვენს წინაშე მთელი თავისი  
ძლიერებით აღმართულია მტრის  
ციხე-სიმაგრე, — წერდა ვ. ი.  
ლენინი, — საიდანაც ყუმბარებ-  
სა და ტყვებს სეტყვასავით ვვაყ-  
რიან, რაც ხელიდან ვვაცლის სა-  
უკეთესო მებრძოლთ. ეს ციხე-სი-  
მაგრე უნდა ავიღოთ, და ავიღებთ  
კიდევაც, თუ გამოლვიდებული  
პროლეტარიატის მთელ ძალებს  
შევაერთებათ რუს რევოლუციო-  
ნერთა მთელ ძალებთან ერთ ვარ-  
ტიად, რომლისკენაც გაეშურება  
ყოველივე, რაც კი ცოცხალი და  
პატიოსანია რუსეთში. და მხო-  
ლოდ მაშინ აღსრულდება რუსი  
მუშა რევოლუციონერის პეტერე  
ალექსევის დიადი წინასწარმეტ-  
ყველება: „აღიმართება მილიონო-  
ბით მუშა ხალხის ძარღვმაგარი  
ხელი, და გარსეკაცთა ხიშტებით  
დაცული დესპოტიზმის უღელი  
გაცამტვერდება“ (ვ. ი. ლენინი,  
თხ., ტ. 4, გვ. 456).

ასეთი პარტიის შექმნის საჭი-  
როებას განსაზღვრავდა მუშათა  
კლასის რევოლუციური მოძრაო-  
ბის მთელი მსვლელობა.

ქმნიდა რა ახალი ტიპის პარტი-  
ას, ვ. ი. ლენინმა არამარტო ააღ-  
ორდინა, არამედ შემდგომაც განა-  
ვითარა მარქსისა და ენგელსის  
მონახაზები პარტიის შესახებ  
პროლეტარიატის ბრძოლის ახალ  
პირობებთან შეფარდებით, იმპე-  
რიალიზმის პერიოდში. მან შექმნა

მოძღვრება პროლეტარიატი  
ოტიაზე.   
ნაროდინიკების, „ლეგალური რა-  
ჩებისტების“, „ეკონომისტების“,  
წვრილბურჟუაზიული პარტიების  
წინააღმდეგ, რომლებიც მუშათა  
კლასის რიგებში მოქმედებუნენ,  
ოპორტუნისტების წინააღმდევ  
შეურიგებელ ბრძოლაში ვ. ი. ლე-  
ნინი დაუცხრომელ მუშაობას ეწ-  
ეოდა მარქსისტული პარტიის შე-  
საქმნელად.

1898 წელს მინსკში შემდგარშა  
პარტიის I ყრილობამ ვერ განა-  
ხორციელა მთავარი ამოცანა —  
რუსეთში მოქმედი კველა სოცი-  
ალ-დემოკრატიული ორგანიზა-  
ციის გაერთიანება და ერთი ცენ-  
ტრალიზებული პარტიის შექმნა.  
ასეთი პარტიის შექმნა კი აუცი-  
ლებელი იყო. 1902 წლის ბასის  
დამლევსა და ივნისის დამდეგს  
ბათუმის მუშებმა წერილით მიმა-  
რთეს პარტიის პეტერბურგის კო-  
მიტეტს, სადაც ხაზგასმულია 3  
საკითხის მოგვარების აუცილებ-  
ლობა. ერთ-ერთი მათგანი: „მუ-  
შათა მოძრაობის თანმიმდევრო-  
ბით და მიზანდასახულობით წარ-  
მართვისათვის ბათუმელებს აუ-  
ცილებლად მიაჩნიათ შეიქმნას  
სრულიად რუსეთის ცენტრალუ-  
რი ორგანიზაცია, ერთიანი ცენ-  
ტრალური ხელმძღვანელი კომი-  
ტეტის მეთაურობით“. პასუხში,  
რომელიც გამოქვეყნებულია გა-  
ზეთ „ისკრის“ 1902 წ. 1 აგვის-  
ტოს № 23-ში, პეტერბურგის კო-  
მიტეტი იტყობინებოდა, რომ „პე-  
ტერბურგის პარტიული კომი-

ტეტი ისევე დაინტერესებულია და მის გადაუდებელ საკვანძო საკითხად თვლის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაერთიანებას, როგორც ბათუმელი მუშები..."

საჭირო გახდა ვ. ი. ლენინის და მის მიერ შექმნილ გაზეთ „ისკრის“ და რუს რევოლუციონერთა რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობა, რომ დაეძლიათ უთანხმოება და მოემზადებინათ მუშათა კლასის მებრძოლი პარტიის შექმნა.

ბოლშევიკური პარტიის შექმნას წინ უსწრებდა ობილისის, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოსა და ბაქოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ჩამოყალიბება და 1903 წლის მარტში რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. ეს გაზეთ „ისკრის“ საქმიანობის და ლენინური იდეების გამარჯვება იყო.

ლენინური „ისკრის“ იდეების პროპაგანდასა და ოპორტუნიზმის დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველმა ქართულმა პოლიტიკურმა არალეგალურმა გაზეთმა „ბრძოლამ“. მან შეამჭიდროვა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები იმ პრინციპების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, რომლებიც ვ. ი. ლენინმა და ლენინურმა „ისკრამ“ შეიძუშვეს.

1903 წლის 17 (30) ივნისს გაიხსნა რსდმპ II ყრილობა, რომელიც გაგრძელდა 10 (23) აგვის-

ტომდე. სულ ჩატარდა 37 ხნიდა მა. ყრილობა გაიხსნა ბრიტანეთში. აქ ჩატარდა 13 სხდომა უკანასკნელი მუშაობა გადატანილ იქნა ლონდონში. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 26 ორგანიზაცია. მისი ძარითადი ამოცანა იყო ნამდვილი პარტიის შექმნა „ისკრის“ მიერ შემუშავებულ პრინციპებს და ლოგანიზაციულ საფუძველზე. ამ ამოცანის განხორციელება ყრილობაზე მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლაში. ყრილობაზე იყო 43 დელეგატი, რომლებსაც ჰქონდათ 51 ხმა (8 დელეგატი ჰქონდა ორორი ხმა) და 14 დელეგატი სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატები ასე იყო განაწილებული: ისკრელები — 33 ხმა, ანტიისკრელები — 8 ხმა (3 ხმა „ეკონომისტების“ და 5 ხმა — ბუნდელების). მეტყველ ანუცენტრს ჰქონდა 10 ხმა. ისკრელთა შორის ყველა საკითხში არ იყო ერთიანობა. მტკიცე ისკრელებს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჰქონდათ 24 ხმა, მარტოვის მომხრეებს — 9 ხმა.

კავკასიის ორგანიზაციიდან II ყრილობაზე წარგზავნილი იყო 3 დელეგატი: ბაქოდან — ქუნიანცი (რუსოვი), თბილისიდან — დ. თოფურიძე (კარსკი) და ბათუმიდან — ა. ზურაბოვი (ბექოვი) გადამწყვეტი ხმით და სათათბირო ხმით — ნ. უორდანია.

როგორც მ. ცხავაია იგონებდა — „ზურაბოვი და ქუნიანცი ყრილობაზე ჩვენს დირექტივას პარ-

ერთი ორგანიზაციის მიერ და  
ემორჩილებიან პარტიულ უისკო-  
პლინას.

პარტოვს პარტია ორგანიზაცი-  
ულად ჩამოუყალბებელ რაზმად  
მიაჩნდა და მისი წევრებისათვის  
არ იყო სავალდებულო პარტიუ-  
ლი დისციპლინა.

ამრიგად, მარტოვის ფორმული-  
რება ფართოდ უხსნიდა პარტიის  
კარს მერყევ, არაპროლეტარულ  
ელემენტებს. მარტოვი თავისი  
ფორმულირების დასამტკიცებ-  
ლად ამბობდა: რამდენადც ფარ-  
თოდ იქნება გავრცელებული პა-  
რტიის წევრობა, მით უკეთესია.  
ჩვენ უნდა გვიხაროდეს, თუ ყო-  
ველი გაფიცული და დემონსტრა-  
ციი პასუხს აგებს თავის მოქმე-  
დებაზე და შესძლებს გამოაცხა-  
დოს თავისი თავი პარტიის წევ-  
რად. მარტოვის ფორმულირების  
მხარს უჭერდნენ: ტროცკი, ლიბე-  
რი, აქსელროდი, აკიმოვი, ე. ი.  
მერყევი ისკრელები და აშკარა  
ოპორტუნისტული ნაწილი. ლე-  
ნინის ფორმულირებას მხარს უჭ-  
ერდნენ მტკიცე ისკრელები და  
პლეხანოვი.

ამრიგად, ნაცვლად მონოლითუ-  
რი, მებრძოლი და ორგანიზებუ-  
ლად ჩამოყალიბებული პარტიისა,  
რომლისთვისაც ყრილობაზე იბრ-  
ძოდნენ ლენინი და ლენინელები,  
მარტოველებს სურდათ პყოლო-  
დათ უხერხემლო, ჩამოუყალიბე-  
ბელი პარტია, რომელიც ვერ იქ-  
ნებოდა მებრძოლი ავანგარდი და

რომელსაც არ შეიძლებდა /ქო-  
ნილა მტკიცე დისციპლინა.

მტკიცე ისკრელების კულტურული  
უევი ისკრელების ჩამოშორებაშ  
და მათთან აშკარა ოპორტუნის-  
ტების შეერთებამ საშუალება მი-  
სცა მარტოვს ყრილობისათვის  
თავს მოხევია თავისი ფორმული-  
რება; ყრილობამ 28 ხმით 22-ის  
წინააღმდეგ (ერთმა თავი შეივავა)  
მიიღო წესდების პირველი პარა-  
გრაფი მარტოვის ფორმულირე-  
ბით. მაგრამ ამას მტკიცე ისკრე-  
ლების დემობილიზაცია არ გამო-  
უწვევია. მათ მტკიცედ დაიცვეს  
წესდების კულტურული სხვა პრიციპები-  
ლი ლენინური დებულებები. ჩის  
შედეგადც მთლიანად წესდება  
მიღებულ იქნა 42 ხმის უმრავლე-  
სობით, 6 წინააღმდეგი, ერთმა  
თავი შეივავა. ამიტომ შემდგომში  
თვითონ მარტოვი აღიარებდა,  
რომ წესდების პირველი პარაგრა-  
ფის გამო ლენინის ფორმულირე-  
ბის დამარცხება თავისი მნიშვნე-  
ლობით ნულამდე დავიდა წესდე-  
ბის დანარჩენი მუხლების მიღები-  
თო.

საღმ3 III ყრილობამ (1905 წ.)  
წესდებაში შეიტრნა ცვლილება.  
მიიღო წესდების პირველი პარაგ-  
რაფის ლენინური ფორმულირე-  
ბა, რომელიც წამოყენებული იყო  
II ყრილობაზე.

წესდების პირველი პარაგრაფის  
გამო ისკრელთა გათიშვის შემდეგ  
ყრილობაზე კიდევ უფრო გამწვა-  
ვდა ბრძოლა, რომელმაც განსა-

კუთხებით მარტინ ხესიათი მიიღო  
და პარტიის ხელმძღვანელი და-  
წეუბულებების — პარტიის ცენტრალური ორგანოს („ისკრის“)  
რედაქციის და ცენტრალური კო-  
მიტეტის არჩევნების დროს. ამ  
საკითხის განხილვამდე მომხდარი  
მა ერთმა ფაქტმა შესცვალა ძალ-  
თა თანაფარდობა ყრილობაზე.  
რაღაც ყრილობამ უარყო ბუნ-  
დელთა მოთხოვნა განსაკუთრე-  
ბულ მდგომარეობაზე პარტიაში,  
ე.წ. ბუნდის ორგანიზაციული  
ნაციონალიზმი, ბუნდელებმა დას-  
ტოვეს ყრილობა. ყრილობიდან  
წავიდა 2 „ეკონომისტიც“, როცა  
ყრილობამ უარი განაცხადა მათი  
საზღვარგარეთული კავშირი ეცნო  
პარტიის წარმომადგენლად საზღ-  
ვარებრეთ.

ყრილობიდან 7 ოპორტუნისტის  
წასელამ ძალთა თანაფარდობა  
ლენინელთა სასარგებლოდ შესც-  
ვალა.

ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა  
ცენტრალურ კომიტეტში მტკიცე  
და თანმიმდევრული რევოლუცი-  
ონერების გაყვანა. მარტოველები  
პირიქით, ცდილობდნენ მიეღწიათ  
შერყევი, ოპორტუნისტული ელე-  
მენტების სიჭარბისათვის ცენტ-  
რალურ ორგანოებში. ისინი მოი-  
თხოვდნენ „ისკრის“ რედაქციაში  
არჩეული ყოფილი ისკრის „ექვივე  
ტელი რედაქტორი, რო-  
მელთა უმრავლესობა მარტივს  
ემხრობოდა.

ყრილობის უმრავლესობა ამ

საკითხში მიემხრო ლენინს: ცენტ-  
რალურ კომიტეტში იირჩიეს ლე-  
ნინის მომხრეები, ხოლო ფერერიშვილი  
წინადაღებით „ისკრის“ რედაქტორი  
აში — ლენინი, პლეხანოვი და მა-  
რტოვი. რადგან რედაქციაში იი-  
რჩიებს ლენინის მიერ წამოყენე-  
ბული სამეული, მარტოვმა უარი  
განაცხადა ცენტრალური ორგა-  
ნოს რედაქციის შემადგენლობაში  
შესვლაზე.

ამრიგად, ცენტრალური ორგა-  
ნოების — ცენტრალური კომიტე-  
ტისა და „ისკრის“ რედაქციის შე-  
მაღვენლობის არჩევნებისას ყრი-  
ლობამ განამტკიცა მარტოვის მო-  
ძხეთა დამაპირება და ლენინის  
მომხრეთა გამარჯვება.

ამ მომენტიდან, ე. ი. ცენტრა-  
ლური ორგანოების არჩევნები-  
დან, ლენინის მომხრეებს, რომ-  
ლებმაც ამ საკითხთან დაკავში-  
რებით ხმების უმრავლესობა მი-  
იღეს, უწოდეს ბოლშევიკები, ხო-  
ლო ლენინის მოწინააღმდეგებებს,  
რომლებმაც ხმების უმცირესობა  
მიიღეს, უწოდეს მენშევიკები.

მარტოვმა რედაქციის შემადგე-  
ნლობაში არჩევაზე უარით, უარ-  
ყო დამორჩილებოდა უმრავლე-  
სობის სურვილს, მას პლეხანოვ-  
თან და ლენინთან ერთად ემუშა-  
ვნა რედაქციაში. ამიტომ ისტო-  
რიულად პირველ გამთიშველთა  
სახელი ასდგვინი რიგებში ერგო მა-  
რტოვსა და მისი ჯგუფის მონაწი-  
ლეებს. ასევე მოხდა ცენტრალუ-  
რი კომიტეტის არჩევნების დრო-

საც. მარტოვის მომხრეებს სურდათ ცკ-ში აერჩიათ ტროცკი, როზანოვი და ამით მოქმოვებიათ უმრავლესობა. ყრილობამ ც. კ-ის შემადგენლობაში აირჩია: კრუიფანოვისა, ლუნგნივი და ნოსკოვი.

ყრილობის დამთავრების შემდევ მარტოვის გამოსვლამ რედადაქტორიდან დააფრთხო პლეხენოვა, ის მარტოვისაკენ გადაიხარა და მოითხოვა მარტოვის, აქსელ-როდის, ზასულიჩისა და პოტრესოვის დაბრუნება რედაქტირაში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წინადაღება ყრილობის დადგვინდებების დარღვევა იყო, პლეხანოვი დაერქებით მოითხოვდა თავისი წინადაღების სისრულეში მოყვანას. მაშინ ლენინმა განაცხადა, რომ ის გამოდის „ისკრის“ რედაქტორის შემადგენლობიდან.

ამნაირად, „ისკრის“ № 52-დან ეს გახეთი გახდა მენშევიკური, ოპორტუნისტული.

1904 წლის ზაფხულში მენშევიკებმა მიაღწიეს უმრავლესობას ცენტრალურ კომიტეტშიც. რაც პლეხანოვის მერყეობის, შემდეგ კი მენშევიკებისადმი მისი დახმარების, და ორი გახრწნილი პოლ-შევიკის კრასინისა და ნოსკოვის ღილატის შედეგი იყო.

ლენინისა და ლენინელების წინაშე დაისახა გადაუდებელი ამოცანა — ბრძოლა საკუთარი ბოლშევიკური გაზეთის შექმნისა და პარტიის III ყრილობის მოწვევისათვეის.

ბოლშევიკებმა გაშალეს ბრძო-

ლა III ყრილობის მოწვევისათვის, რასაც მხარს უჭირდნენ ბოლშევიკური კომიტეტის უწყებელობა

III ყრილობის საჩქაროდ ძალევის შესახებ სათანადო რეზოლუციები მიიღეს კავკასიის კავშირის, თბილისის, ბათუმის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებმა.

II ყრილობა ისეთ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენას მიეკუთვნება, რომელსაც ეპოქალური მნიშვნელობა აქვს. ყრილობამ განამტკიცა მარქსიზმის გამარჯვება ოპორტუნიზმზე, მიიღო პროგრამა, წესდება და შექმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან შექმნა რუსეთში ნამდვილი მარქსისტული პარტია იმ იდეულ და ორგანიზაციულ საწყისებზე, რომლებიც ლენინუმა „ისკრამ“ წამოაყენა და შეიმუშავა.

II ყრილობამ გამოამჟღვენა იმ სერიოზულ ორგანიზაციულ უთანხმოებათა არსებობა, რომლებმაც გაჰყვეს პარტია ორ ნაწილად: ბოლშევიკებად, რომლებიც იცავდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციულ პრინციპებს, და მენშევიკებად, რომლებიც დაშვენენ ორგანიზაციული უხერხემლობის, ოპორტუნიზმის ჭაობში.

ლენინის მიერ შექმნილმა და გამოწროთობილმა კომუნისტურმა პარტიიმ ბრწყინვალედ შეასრულა

მშრომელი ხალხის ბელადის, ავანგარდისა და ხელშძლვანელი ძალის როლი. მისი 70 წლის ისტორია აღსავსეა გმირული ბრძოლებითა და სახელოვანი გამარჯვებებით.

„სკპ ცენტრალურ კომიტეტს, — ნათქვამია სკპ ცკ-ის დადგენილებაში“, რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის „შესახებ“, — საჭიროდ მიაჩნია ფართოდ აღნიშნის რსდმპ II ყრილობის 70 წლისთა-

ვი, როგორც ლენინური ფრანგის/ისტორიის, ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი რიის, მთელი საერთაშორისული კულტურული მუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიის ღირსშესანიშნავითარიღია“.

XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წინ მიუძლეას ბაზებითა ხალხს კომუნიზმის ვამარჯვებისაკენ.

პროფ. პონსიგანგინი მექანიკი

## ციკათე სიცრუსა

სიცრუე მორალურად უარყოფით კატეგორიას მიეკუთვნება. დიდი რუსთაველი გმობს მას, როგორც საძრახ მოვლენას. მისი თქმით: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცა, მერე სულსა.“

სიცრუსიათვის ადამიანები ის-კებიან კანონის ძალით. სიცრუეს საზოგადოებრივი ცხოვრების ხანგრძლივ მანძილზე ბევრი ბოროტება მოუხდენია: სახელმწიფოების საფუძვლები დაურღვევია, ოჯახების მყუდროება შეურყევია, პიროვნებების სიცოცხლე შეუწირავს მსხვერპლად. სიცრუსი საშუალებით შეძლო იაგომ ოტელოს სულიერი და ფიზიკური განადგურება. მას ბევრჯერ უთესავს ადამიანებს შორის შური და მტრობა.

სიცრუე ხშირადაა გამოყენებული მხატვრულ ნაწარმოებებში სიუჟეტური კონფლიქტის შესაქმნელად. მის ნიადაგზე ხდება ზოგჯერ ნაწარმოების სხვადასხვა ხასიათის გმირთა შეჯახება, რაც არა იშვიათ შემთხვევაში, ტრაგიკული ფინალით მთავრდება. მაგრამ

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სიცრუე ნაწარმოებში წარმოდგენილია, როგორც ადამიანის კეთილშობილური თვისებების გამოხატვის საშუალება. მართალია, ზოგჯერ ნაწარმოების მოქმედი გმირები ტყუიან. მაგრამ, ეს ტყუილი ადამიანის ვნებისათვის კი არ არის გამიზნული, არამედ სიკეთისათვის. ასეთ შემთხვევაში მწერალს დიდი დაბრკოლების გადალახვა უხდება, რადგან მას ევალება მორალურად უარყოფითი მოვლენა სიცრუე — სიკეთისა სიმბოლოდ აქციოს, სიცრუეს მიმართულება შეუცვალოს და კაცთა სასაჩვენებლო საქმე აკეთებინოს.

სიცრუსი სიკეთედ გარდაქმნის შემთხვევაში მწერალს მეტი ფსიქოლოგიური სრულყოფილება ჭირდება. გმირთა ხასიათები მეტად რთულად უნდა გამოიკვეთოს, რათა ეს დიდი მორალური პროცესი სიცრუსი სიკეთედ გარდაქმნისა მკითხველისათვის დამაჯირებელი და სარწმუნო იყოს. ზოგი მწერალი დიდი ოსტატობით

გამოხატულს ადამიანის შინაგანი სამყაროს ამ რთულ პროცესს, გვა-გრძნობინებს მოქმედი პერსონა- უს სიკეთის ბუნებრიობას. ასეთ ნიშანმოებად შეიძლება მივიჩნი- ოთ კონსტანტინე ლორთქიფანი- ძის მოთხოვბა „ცაბუნია“.

„ცაბუნია“ სამამულო ომის თემაზე აგებული. მაში სრული დამაჯირებლობით არის წარმოდგენილი პატარა ოჯახის ომისდრო-ინდელი ტრაგედია. მწერალს სი- ცურუ გამოყენებული აქვს ამაღ- ლებული სიკეთისათვის და ამ რთულ ფიქოლოგიურ პროცესს სრულყოფილ მხატვრულ ფორ- მაში გამოავლენს.

საინტერესოა ისიც, რომ კ. ლო- რთქიფანიძის „ცაბუნია“ მარტივ სიუჟეტზე აგებული. აქ აც გმი- რთა შეჯახებებია. არც მწვავე დრამატიული სცენები, არც სიუ- ჟეტის სირთულით იქცევს ყურა- დლებას ეს მოთხოვბა. ყველაფე- რი ჩვეულებრივი სახით მიმდინა- რებას, ყველაფერი ისე ხდება, როგორც შეიძლება ცხოვრებაში მოხდეს და მაინც მკითხველის დიდ დაინტერესებას იწვევს.

პატარა გოგონას, თორმეტი წლის ცაბუნიას მამა ომში წაიყ- ვანეს. „მოელი ხუთი თვე გავიდა, ფოსტალიონს ერთხელაც არ და- უძახია აბულაძის ჭიშკართან“.

ესეც ხომ ჩვეულებრივი მოვ- ლენაა, რამდენი ოჯახი იტანჯებო- და ომში წასულის ამბავის უცო- დინარობით, რამდენი იდამიანა ელოდა გულისფანჯილით ფოს- ტალიონის გამოჩენას და სამკუთ-

ხა ბართის დანახვის. ასე ელოდ- ნენ აბულაძის ოჯახის წევრებიც

„ცაბუნია და დაჭრილები გვა- ყავთო. ცაბუნია ცისმარე დღეს საძტრედის სადგურზე იყო, მაგ- რამ კაცი ვერ იპოვნა მამის მნა- ველი“. თითქოს უჩვეულო და სა- ოცარი აქაც არაფერია... გოგონას არ ასვენებს მამაზე ფიქრი. იგი უშერდა, თორემ შეიძლებოდა მა- მის საძებნელად უფრო შორს წა- სულიყო. მას შეუძლია თავის მა- ზნის მისაღწევად მხოლოდ სამტ- რედის სადგურამდე იაროს, მა- ტარებლით ჩამოყვანილი დაჭრი- ლები ნახოს და ამ გზით შეიტყოს მამის ამბავი. ესეც გმირობაა ამ პატარა კორფულიანი გოგოსათვის.

„ცაბუნიამ ერთ წუთში ჩამოუტ- ბინა ბაქანზე გაფენილ დაჭრილ- ებს. ყველანი ხალისანად გამოე- ლაპარაკენ, იმედიანი სიტყვა უთ- ხეს, ერთმა სალდათმა თავიმაქ- რის ნატეხიც ჩაუდო ხელში, მაგ- რამ პატარა გოგო ამჯერადაც მე- ტი ვერაფრით გაახარეს, ვალიკო აბულაძეს ისინი არ იცნობდნენ“!<sup>1</sup>

ასე დადიოდა ცაბუნია სამტრე- დის სადგურზე ყოველდღი და მამის ამბავს ეკითხებოდა დაჭ- რილ ჯარისკაცებს.

„და სანამ სამანევრო ორთქლ- მავალი სანიტარულ ვაგონს ჩიხში ჩააყენებს, ცაბუნია თითქმის ყვე- ლა კუპეს ჩამოივლის და დაჭრილ ჯარისკაცებს გამოელაპარაკება:

— მეხუთე თვეა მამისაგან წე-

1 კ. ლორთქიფანიძე, ტ. I. 1969,  
გვ. 159.

რილი არ მიგვიღია. აბულაძე ჩვენი გვარი, ხომ არ გინახვთ სა-დმე.

— სახელი რა ქვია მამაშენს?

— ვალიკო!

— ვალიკო აბულაძე? არა, შვი-ლო, არ მინახავს.

— კარგი, ბატონი: — პატარა გოგოც ასევე ჩუმად გადადის ერ-თი კუპედან მეორეში და ისევ ის-მის მისი მორიდებული ხმა:

— ქერჩიდან მოდიხარ, ბი-ძია?..<sup>2</sup>

ცაბუნის ყოველი სიტყვა, მისი ყოველი შეკითხვა ჯარისკაცებისა-დმი არ შეიძლება მღელვარების გარეშე წაიყითხოს კაცმა. ექვე ცა-ბუნის სახით, ყველა იმ მამადა-კარგული ბავშვის გულისტკივა-ლი ჩანს, რომლებიც შეიძლება დაჭრილ ჯარისკაცებს სადგურში ვერ ხვდებიან, მაგრამ დღე და ღამ მამაზე ფიქრობენ, ზოგჯერ ძილიც უტყდებათ და ცრემლია-ნი თვალებით ხვდებიან განთი-ადს.

ცაბუნია კიდევ შეხვდება დაჭ-რილებს, მაგრამ ვალიკო აბულა-ძის მნახველი არავინ აღმოჩნდება. „პატარა გოგო აღელვებისაგან სულს ვეღარ ითქვამდა“. ბოლოს ერთი ჯარისკაცი, რომელსაც ძლიერ შეეცოდა ეს ჩონჩხალ ქეცული გოგონა, კითხვით მიმარ-თავს მას: „რა არის შენი ვალიკო აბულაძე?“

— მამა!

— მერე რა გატირებს პატარა

2 იქვე, გვ. 155

ქალო. მამაშენი კარგად არის. წა-მოსვლის დღეს ვნახე ეჭვაზოგნ-თან დამაბარა, ჩემი პლატფორმაზე გექნებათ, მე არაფერი მიკირსო... ცაბუნის ჭორფლიან ლოყებზე ცხელი სისხლი შემოასდა. ყუ-რებმა წივილი დაიწყო... სიხარუ-ლის ელდამ აღიღილდან ისე მოს-ხლიტა, სანდალზე შესაქრავი გა-უწყდა, მეორე სანდალიც უმალ-ვე წიბირო და ხოფლისაკენ მოკუ-რცხლა“.<sup>3</sup>

ვინ წარმოიდგენს, ამ ჩინოვით აწოწილმა ბავშვმა რამდენი სიხა-რული წილო სახლში, როგორ გა-ახარა დედა და ოჯახის სხვა წევ-რები. იმედის როგორი ნაცერწკა-ლი შეიტანა უიმედოთა გულებში. მართლაც, რა რეალური ტიპი შე-ქმნა ცაბუნის სახით მწერალმა, რამდენა შინაგანი სულიერი სი-მდიდრე გააჩნია ამ ერთ ციდა გოგონას, რომლის კოლორიტული სურათი ასე გამოხატა ავტორმა:

„ახლაც თვალწინ მიდგას წინ-დის ჩინოვით თავიდან ბოლომ-დე ერთნაირად გათლილი გოგო, მისი გრძელი, წვრილი მკლავები და მუდამ გადატყაული წვეტიანი იდაყვებია“<sup>4</sup> მართლაც, რა საცო-დავად გამოიყურება ცაბუნის გა-მხდარი და ჭორფლიანი სახე. ცა-ბუნია გახარებული წავიდა სახლ-ში და მოთხოვდაც ამით უნდა დამთავრებულიყო. თითქოს ეს იქნებოდა მისი ლოგიკური დასა-სრული. ნაწარმოების მთავარმა

3 კ. ლოროჭიფანიძე, ტ. I, 1969, გვ. 160

4 იქვე, გვ. 154

ვეირმა მიზანი განახორციელა, დაკარგული მამის ამბავი გაიგო დაძიების პროცესიც დასრულდა. მაგრამ მშერალმა, ოოვორც დიღმა ხელოვანმა, აქ სამართლიანად არ დასვა წერტილი. ახლა მოთხოვდას მეორე გმირის, დაჭრილი ჯარისკაცის, არჩილ მესხის, არანაკლებად რთული სულიერი სამყარო გადაშალა ჩვენს წინაშე.

არჩილმა დიდი ცოდვა ჩაიდინა, იცრუა... მას არასოდეს არ უნახავს ვალიკო აბულაძე და არც მისი სახელი გაუგონდა.

ამ პატარა სიუჟეტიდან მოთხოვდაში, ცაბუნიას გვერდით სრულიად მოულოდნელად, მეორე ადამიანის ტრაგედია იწყება. არჩილ მესხს არანაკლები საღარდელი გაუჩნდა, არანაკლებად აფორისკდა ახლა მისი სული, რადგან სანახებელი გაუხდა ტყუილის თქმა. სასტიკად იცრუა ცაბუნიას წინაშე, მოატყუა იგი... თუმცა, მორალურად გასამართლებელი საბუთიც აქვს.

— „რა მექნა, გამოტეხილად მეჰქვა, მამაშენს არ ვიცნობ-მეთქი... მაგრამ მის თვალებს რომ შეეხედე, ტანში ამბურდენა. ის თვალები ისე ბრწყინავდნენ და ჩემგან იძვენ სიხარულს ელოდნენ, რომ სიმართლის საქმელად ენა აღარ მომიბრუნდა“.<sup>5</sup>

არჩილის სულიერ ტრაგედიას ისიც აძლიერებს, რომ ცაბუნია ხშირად აკითხავს მას ჰოსპიტალ-

ში და უფრო საფუძვლიან /  
ცდილობს მამის ამბავის ჭავები. /  
„ქვეენ ალბათ არ იცოდეთ ჩემი ჩატანა  
ჩემთან ხშირად დადის პატარა  
გოგო ცაბუნია. იმ საშუალს ჰეთ-  
ნია... რომ მე მამამისის მეგობარი  
და ფრონტელი ამხანაგი ვარ. სამ-  
წუხაროდ ეს ასე არ არის. ცაბუ-  
ნიას მამა მე თვალითაც არ მინა-  
ხავს არც ფრონტზე და არც სხვა-  
გან. მისი სახელი და გვარი პირ-  
ველად აქ გავიგონე, სამტრედიის  
სადგურზე, როდესაც ცაბუნია და-  
ჭრილებს ეკითხებოდა. გული ამი-  
დულა ამ სურათმა, და მეც ბევრი  
არ მიფიქრია, დავუძახე და ვუთ-  
ხარი, ჟე ვიცნობ ვალიკო აბულა-  
ძეს, ამას წინათ ვნახე და კარგად  
არის მეთქი“.<sup>6</sup>

როგორც ვხედავთ, ამ გულკე-  
თილ გარისეაც ქეირად დაუკდა  
ნაჩქარევად წარმომქმული ორი-  
ოდე სიტყვა. იხლა იგი დამნაშა-  
ვედ გრძნობს თავს, რად მოატყუა  
ცაბუნია? მაგრამ არჩილი თავს  
იმით იმართლებს, რომ ვინც ამ  
დალაულ გოგოს ცტემლიან თვა-  
ლებს დაინახავდა. ყველა აუკი-  
ლებად ასე მოიქცეოდათ. და მე-  
რე არამდენმა დაინახა ცაბუნიას  
ცრემლიანი თვალები და არჩილ-  
მა, მხოლოდ არჩილმა მოატყუა  
და ამით დააიმედა ის, ეს ხომ გო-  
გონას სიბრალულმა თქმევინა  
მას, ეს ხომ სიკეთისათვის ჩაიდი-  
ნა? მაგრამ სიტუაცია გაართულა  
საქმის შემდეგმა მსვლელობაშ.  
ახლა ეს ჭინკა გოგო მოსვენებას

<sup>5</sup> კ. ლორთქიფანიძე, ტ. II, 1969,  
ვე. 165

6 ივე, გვ. 164

ამ აძლევს არჩილს ჰოსპიტალში ათასგვარი შეკითხვებით. აბა როგორ დაავმაყოფილოს ვალიკო ბეულაძის არმცნობმა ჭარისკაცმა ამ გოგონას ცნობისმოყვარეობა?

ახლა არჩილს უნდა ამ ჰოსპიტალიდან წასვლა, ამით თუ იხსნის იგი თავს შექმნილ გარემოებიდან, უნდა გაეცალოს აქაურობას და უფროსს თხოვს სხვაგან გადაყვანას: „შეიძლება შეცდი, არასწორად მოვიქეცი, ამხანავო კაპიტანო, მაგრამ იმ წუთში მე ისე მინდოდა მისი გახარება, დანუგეშება... აზრადაც არ მომსვლია, თუ ის ორი სიტყვა ამ ცეცხლში ჩამაგდებდა“.<sup>7</sup>

არჩილი ორმაგად იტანჯება... ჯერ ერთი, რომ ტყუილი თქვა, და, მეორეც, ახლა ცაბუნია საფუძვლიან ცნობებს მოითხოვს მამის შესახებ, და არჩილს სად შეუძლია ასე დეტალურად გასცეს ვასუხი მის შეკითხვებს.

„ეს პატარა გოგოც ისე შემეჩვით და მომენდო — წერს არჩილი იმავე კაპიტანს, — თითქო მისი ღვიძლი ნათესავი ვიყო. ხან მარტო შემოვა პალატაში, ხან პატარა ძმას მოიყვანს... გუშინწინ სკოლის ამხანაგები დამაყენა თავზე: გაიგონეთ, რა მამა მყოლიაო“.<sup>8</sup> და ისმენს გახარებული ცაბუნია ჭარისკაცის იმპროვიზებულ ამბებს ვალიკო აბულაძის გმირობის შესახებ.

მწერალს კიდევ შეეძლო სიუ-

შეტური სიტუაციის გაროულებაზე მოქმედ გმირთა დამატებული უკავშირი ცაბუნიას ისიც შეეძლოს მოკავშირი ნაჩილთან დედა და უახლოესი ნათესავები მოეყვნა საქმის უფრო დეტალურად გასარკვევად, მაგრამ ავტორმა განზრას არ გაძროული ისედაც გაროულებული მოქმედება. ცაბუნია შმის და სკოლის ამხანაგების მოყვანას დაკურდა, მაგრამ არჩილს მაინც უჭირს მათ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ცაბუნიას მოლოდინით მას ახლა საზრუნვავი გაუჩნდა. იგი სპეციალურად უნდა მოემზადოს, ბრძოლის რამდენიმე ეპიზოდი უნდა მოიგონოს, ვალიკო აბულაძის გმირობასთან რომ იყოს დაკავშირებული.

არჩილ მესხის უბედურება იმაშია, რომ მის ერთხელ წარმოოქმულ ტყუილს ახლა ტყუილების მთელი სერია ჭირდება, პირველ კეთილშობილ ტყუილთან რომ არის დაკავშირებული.

„დავიღალე ამხანავო კაპიტანო, არ შემიძლია ამდენი ტყუილის მოგონება. თანაც მეშინაა არაფერი აურ-დაურიო, არაფერი შემეშალოს, თორემ ეს ჩემი გუდა მთლად დაიფშუკება და ყველაფერი გამოაშკარავდება. მერე ცაბუნია?“<sup>9</sup>

არჩილი კიდევ იმაზე ფიქრობს, რომ მისი ტყუილი არ გამოაშკარავდეს და ცაბუნიას სიხარულის დღეები არ გაქრეს მოულოდნელად. არჩილმა კარგად იცის, რომ

7 კ. ლორთქიფანიძე, ტ. I, 1969,

გვ. 164

8 იქვე, გვ. 166

9 იქვე.

ამ ტყუილით დიდი კეთილშობილური სექტე ჩაიდინა. რაც მთავარია, ვალიკო აბულაძის ოჯახი გარისკაცის დაბრუნების მოლოდინზე იქნება.

გულისტყვილით ამბობს ავტორი: „ცაბუნია კი ელოდეს მაშას... ომში ყველაფერი მოსავალია. ზოგჯერ კაცს გამოიტირებ, ჯვარს დაუსვამ, მერე ერთ შშვენიერ დღეს გაიხედავ და... ის კაცი აერ არ მოდის ცოცხალი და ტანმრთელი?“<sup>10</sup>

მართლაც, ვალიკო აბულაძის მსგავსები რამდენი დაბრუნებულა მოულოდნელად, რამდენ გამოტირებულს, თითქოს დაღუპულს, გაუხარებია ოჯახი. ვინ იცის, იქნებ არჩილ მესხის სახელდახელოდ შეთხული ტყუილი, სინამდვილედ იქცეს. და თუ არა, მაინც ასე ჯობია. ვალიკო აბულაძის დაბრუნების იმედით იცოცხლოს ოჯახმა, იცოცხლოს ცაბუნიამ. ვინ იცის ტყუილით გახარებულმა გოგონამ იქნებ მეტი სარ-

გებლობა მოუტანის თავისთვის /  
და საზოგადოებას: დაე, ელოდენ/  
ელოდენ, განა ცოტა ელოდენზელი  
და...

მთავარი ის კი არ არის, რომ აბულაძის ოჯახი დაელოდება მოუსვლელ ჭარისკაცს, მთავარა ისაა, რომ მშერალმა ეს ფაქტი ამაღლებულ-განზოგადებულ ფორმაში წარმოადგინა და ტყუილის საშუალებით დიდი სიკეთის გრძნობა გაგვაცდევინა, და ყოველივე ეს ისე გამოხატა, რომ მეიოთხველს მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარება, უბრალო მოქმედი გმირების მაღალი მორალური და მხატვრულად სრულყოფილი სახეები გვაჩვენა. ცაბუნიას ჭორებულიანი სახე და მისი ცრემლიანი თვალები არასოდეს არ გაქრებ\* ჩვენი მენსიერებიდან. ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის ასეთ დიდ გავლენას ახდენს აღამიანზე, როგორი მოცულობის, როგორი ფორმის ან ფანტის არ უნდა იყოს იგი.

## ოთარ ვაჩებელი

### „მედეას“ ეპიკიდესეული ვერსიის ზოგიერთი კომენტარი

431 წელს (ძ. წ.) ბერძენმა ტრაგიკოსმა ევრიპიდემ ათენის სცენაზე პირველად აჩვენა მაყურებელს თავისი ტრაგედია „მედეა“.

ამ დღეს პირველად იხილეს აღამიანებმა საკუთარი შვილის შეკლები დედის სახე.

24 საუკუნის მანძილზე მაყურებელი გაოგნებული სტოვებს თვალის.

განა შეიძლება დედამ საკუთარი ხელით მოჰქონდოს პირმშო!

მხეცთა სამყაროშიც არნახული მოვლენაა.

ევრიპიდეს შემდეგ ბევრმა მწერალმა დამუშავა ეს თემა. ყველა ევრიპიდეს გზას გაცყვა (თუ მხედველობაში არ მიიღობთ უა ანუ-ის, რომლის ტრაგედიაში მედეა შეილებთან ერთად თავს იწვაუს)

და თავი არავის შეუწუხებია, ერთხელ მაინც გადაეთვალიერებინა ბერძნული მითები, ეხანა ევრიპიდემდელი წყაროები, ჩაპერივებოდა არგონავტების თქმულებას მედეაზე, რის გამოც,

მსოფლიო თეატრების სცენებზე, შვილების სისხლში ხელებამოსვრილი მედეა ყველას გულს უმღვრეს.

საკვირველია, როგორ მოხდა ეს!

\* \* \*

არგონავტებზე თქმულებას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ბერძნულ მითებში. იგი მდიდარ მცსალის გვაძლევს წინაბერძნული ტომებისა და იბერულ-კავკასიურკოლებურ ტომებთან ურთიერთობაზე. მაგრამ ჩვენ ამ მითებიდან მხოლოდ კოლხელი ქალის მედეას ბედი გვაინტერესებს. მედეაზე ბევრი რამ დაიწერა დღემდე, ამათგან თავისი მხატვრული ღირსებით ყველაზე მაღლა დგას ევრიპიდეს ამავე სახელწოდების ტრაგედია.

ეს ნაწარმოები არა მარტო იმით არის აღსანიშნავი, რომ იგი ტრაგედიის კლასიკური ნიმუშია, არა მედ იმითაც, რომ საფუძვლად დაეჭო მედეას ფსევდობიოგრაფია-ფიას და დღემდე ლიტერა-

ტურულ სამყაროში მას ჟეშარი-  
ტებად მიიჩნევენ.

ჩვენ, რასაკირველია, მიზანი  
არ გვაქვს მკითხველს გავაცნოთ  
პოეტთა და ტრაგიკოსთა მიერ  
დღემდე შექმნილი „მედეას“ უკე-  
ლა პერსონაჟი. მხოლოდ ევრიპი-  
დეს მედეაზე ვაპირებთ ორიოდე  
სიტყვის თქმას და შევეცდებით  
ქართველი მეცნიერების ა. ურუ-  
შაძის, ს. ყაუხეჩიშვილის, ლ. სანი-  
კიძის და სხვათა გამოკვლევების  
საფუძველზე შვილების სისხლი  
ჩამოვრეცხოთ კოლხელი ქალის  
ხელებს.

\* \* \*

არაერთხელ თქმულა, ევრიპიდე  
ქალთმოძულე იყოო. ამიტომ ვა-  
საკვირი არ არის, რომ მან ამ სქე-  
სისადმი მთელი სიძულვილი ბარ-  
ბაროს მედეას სახეში გამოხატა.

თავიდანვე ევრიპიდე მედეას  
ბრალს დებს, რომ იგი ზომიერე-  
ბას მოკლებული ქალია.

ზომიერება, ცოტო ნიჭო,  
სასურველი ხარ ყველაზე მეტად.

შხოლდ მეტობას, შრეს გადასულა  
შედამ თან ახლავს დაცემის შიში".<sup>1</sup>

მართალია, მედეამ ვერ დაიცვა  
ზომიერება, მაგრამ განა არსე-  
ბობს სიყვარულში ზომიერება?  
მარტო ევრიპიდე არ აფასებს ქა-  
ლის ამ დიდ კეთილშობილურ მა-  
მაცობას — სიყვარულისაოვის  
თავგანწირვას, რასაც არა ერთმა  
დიდმა შემოქმედმა უმღერა მსო-  
ფლიოში.

1 ევრიპიდე, მედეა, თარგმანი პანტე-  
ლეომონ ბერძის, გვ. 12.

სიყვარულმა დაუბნელა გლენებ/  
მეფის ასულს და გონს მანიშვილი  
მოვიდა, სანამ იასონმა ქუჩაში შეუძლია  
გააგდო. მხოლოდ მაშინ გუჯგუდა  
რომ ეს ვაჟბატონი, რომელიც  
„ფიცით შემოემტიცა“<sup>2</sup> შას, ორ-  
პირი იყო. გაიგო, უკან მოიხედა  
და უყიდებანო უფსკრული დაინა-  
ხა. ამ უფსკრულის მეორე მხარეს  
მისი სამშობლო — კოლხეთი მდე-  
ბარეობდა. მედეას უკვე მოჭრი-  
ლი ჰქონდა ყველა გზა. „რა დამრ-  
ჩა კიდევ, რისთვის ვცხოვრობ?“  
იყითხა და ორცა დარწმუნდა, რომ  
მის სიცოცხლეს მიზანი ილა ჰქო-  
ნდა, ზეცას სთხოვა:

„ჰო, სიყვილო, დამხსენ სიცოცხლე,  
რომ გავეცალო ამ სატანგველას“.<sup>3</sup>

მედეას ტანგვას კორიფე და ბე-  
რძენი ქალების გუნდიც თანაუგ-  
რძნობს. ისინი მედეას მეგობრად  
თვლიან თავს და ეუბნებიან, რომ  
„მეგობრებს მუდამ მზად გვაქვს,  
კეთილი რჩევა გულის მალამოდ“.<sup>4</sup>  
გუნდს სურს სახლიდან გამოიყვა-  
ნოს, იმედი მისცეს, დაამშვიდოს  
იასონის მეუღლე.

გუნდი მედეას ტანგვის მიზე-  
ზად ქმრისაგან სარეცლის შებილ-  
წვას თვლის და თანაც გაოცებუ-  
ლია

„ათა ჩამოაგდო ბეღმა ამჟვეუნად  
იქ, ელადაში, კოლხელი ქალი,  
იმ გადამთიელ უაღავანო  
ზღვათა სივრციდან.<sup>5</sup>  
(ხაზგასმა ჩვენია იქაც და ქვემოთაც-  
ო. ც.).

2 იქ 3 ვ, გვ. 14.

3 იქ 3 ვ, გვ. 13.

4 იქ 3 ვ, გვ. 15.

5 იქ 3 ვ, გვ. 16-17.

ჩვენი აზრით, პარადოსში გამო-  
თქმული გუნდის გაოცება — რად  
ჩამოაგდო ბედმა ამ ქვეყნად კოლ-  
ხელი ქალი, შემთხვევითი არ არის.  
ნაწარმოებში ხშირად აქვს ხაზი  
გასმული იმ ფაქტს, რომ მედეა  
არაა ბერძნი, იგი კოლხია. თუმცა,  
ერთი შეხედვით, ტრაგედიაში ეს  
აზრი არ არის მთავარი. კორიფესა  
და გუნდის მიერ მედეას უბედუ-  
რებაზე ხშირად გამოიქმული თა-  
ნაგრძნობა და საერთოდ გაბატო-  
ნებული აზრი იმაზე, რომ მედეას  
პატივს სცემენ კორინთელები, ვა-  
თარცა ბრძნენს, ერთგარსდ  
ჩრდილს ფენს ევრიპიდეს მთავარ  
მიზანს — მედეას ყველა ცუდი  
თვისება მისი ბარბაროსობით ახს-  
ნას. მაგრამ, ტრაგედიას თუ კარ-  
გად ჩავუკვირდებით, ძნელი არ  
არის დავინახოთ ავტორის ეს სუ-  
რავილი.

იწყება პირველი ეპიზოდი. აგრა-  
ნში მედეა არა მარტო თავისი შუ-  
რისძიების გეგმებს აცნობს გუნდს,  
არამედ თავისი უბედურების მი-  
ზეზსაც ასახელებს. რა არის ეს?  
იგი თავისმა თვალშა აცდუნა და  
ამიტომაც კაცის სულის გამოუც-  
ნობლად გამოიტანა დასკვნა. მაგ-  
რამ მთავარი მაინც ის არის, რომ  
მან, უცხოელმა თავი ვერ დაიჭი-  
რა<sup>6</sup> და ისიც ქალმა, ვინც ყველა-  
ზე უფრო საცოდავი არსებაა, რა-  
დგან თავისი ბატონი უნდა იყი-

დოს, მისი ყურმოჲრილი მონა<sup>7</sup> ვა-  
ხდეს, თითქოს იმიტომ, რომ ეს გ  
ბრძოლაში მიღის, მაგრა ეს უცხოელების  
„ერთხელ დედობა არ სკარბობს  
სამგზის ამში შესვლას“<sup>8</sup> 7 მედეას  
უბედურებას კიდევ ის აძლიე-  
რებს, რომ იმათ (ე. ი. ბერძნებს)  
სახლ-კარი, სამშობლო აქვთ, ხო-  
ლო მედეა მარტო „ქმრისგან  
გვემული, გაღმოხვეწილი უცხო  
ქვეყნიდან“... და არავინ ჰყავს შე-  
მწედ, დამხმარედ.<sup>9</sup>

მედეას გადაუწყვეტია, თუ შეძ-  
ლო, დასაჯოს ქმარი და მა-  
მა<sup>10</sup> და სოხოვს კორიფეს, ამისათ-  
ვის ბრალს ნუ დასდებს. ასე, რომ  
მედეას მხოლოდ ერთი მიზანი  
ჰქონდა — სამაგიერო გადაეხადა,  
სათანადო მიეზღო იმათვის,  
ვინც იგი ცოცხლად გასწირეს. კო-  
რიფეც თანახმაა შერი იძიოს შე-  
დეამ და კიდევაც ეუბნება მას  
„მეც გიდასტურებ, ეკუთვნის მოკ-  
ვლა“.<sup>11</sup>

მედეას უბედურებას კიდევ ის  
ემატება, რომ მას კორინთოდანაც  
აგდებენ, რადგან მისი ეშინიათ,  
იმიტომ, რომ იგი ბრძენია,<sup>11</sup> ეს კი  
შურთ კორინთელებს და თანაც  
აშინებს, როგორც ამას კრეონტია  
ამბობს და მედეაც ამასც დარ-  
ღობს:

7 ოქვე, 83. 18.

8 ოქვე, 83. 19.

9 ოქვე, 83. 19.

10 ოქვე, 83. 19.

11 ევრიპიდე შედეა 20.

„ჩემმა სიბრძნეშ და სახელმა ჩემმა  
რამდენი ვნება არ მომაყენა“<sup>12</sup>

ევრიპიდეს მედეა კიდევ ერთ  
ცუდ თვისებას ავლენს — გაიძევე-  
რობს და თავის მოთაფლული  
ენით კრეონტს დაითანხმებს ერ-  
თი დღის დარჩენის უფლება მის-  
ცეს, ხოლო როცა ამ უფლებას  
მიიღებს, შურისძიების სხვადა-  
სხვა საშუალებიდან საწამლავს  
თირჩევს.

დრამატურგი ცდილობს, ამ არა-  
ბერძნ ქალში მრავალი ცუდი  
თვისება გამონახოს და ამით და-  
მაჯერებელი გახადოს მისი მო-  
ქმედება — შვილების საკუთარი  
ხელით მოკვლა. მიზოგინი ევრი-  
პიდე თავისი პირით ათქმევინებს  
მედეას:

„...სუსტინ ვართ ქალნი.  
ზოგერ კარგ საქმეს ხელსაც ვერ  
მივყოფთ,

მაგრამ ბოროტში ვინ შეგვედაროს“.<sup>13</sup>

მწერალს უფლება აქვს, გმირის  
დახატვისას, ისტორიული ან მი-  
თოლოვიური პერსონაჟები, რო-  
გორც სურს ისე გამოიყენოს, ზა-  
გრამ აქაც არსებობს რაღაც საზო-  
მი, საზღვარი. შეუძლებელია გო-  
რგონები ულამაზეს ქალწულებად  
გამოვიყვანოთ და ელენი სიმახინ-  
ჭის განსახიერებად. ასევე არ შე-  
იძლება მითიურ ან ისტორიულ  
პერსონაჟს ისეთი რამ ჩავადგი-  
ნოთ, რაც მას „სიზმრათაც არ  
მოელანდება“. ასეთ ფაქტთან

გვაქვს საქმე ევრიპიდეს „შე-  
აში“. 

მედეას შესახებ ბერძნულობა  
ისტორიოგრაფიულ ლიტერატუ-  
რაში საკმარის მასალა მოვცემობა.  
ეს მასალები უარყოფენ მედეას  
ბიოგრაფიის ევრიპიდესული ვე-  
რასის ზოგიერთ ფაქტს, რაც შეი-  
ლებისა და ძმის მკვლელობას შე-  
ეხება.

ევრიპიდეს ტრაგედიის მიხედ-  
ვით, მედეამ მოსპო საკუთარი  
შთამომავლობა — ვაუები მერმე-  
როსი და ფერეტი, მაშინ, როცა,  
ჯერ კიდევ პომეროსის პოემაში  
„ოდისეია“ ლაპარაკია მერმერო-  
სის შეილზე. კერძოდ, როცა პე-  
ნელოპეს საქმაროებისაგან შეწუ-  
ხებულმა ტელემაქემ არ იცის რა  
ქნას, ამ დროს მის წინაშე გამოც-  
ხადდება ქალღმერთი ათინა (ქალ-  
ღმერთს თდისევსის ამხანაგის მე-  
ნტესის სახე პქონდა მიღებული)  
და ტელემაქეს ეუბნება, რომ ოდ-  
ისევსი ცოცხალია, მე იგი „ვიხი-  
ლე (ოდისევსი) ჩვენს სახლში,  
სვამდა და მხიარულობდა, იგა მო-  
დიოდა ეფირედან — მერმეროსის  
ძე ილოსისაგან. იქ ოდისევსი  
სწრაფი ხომალდით წარემართა,  
ექებდა რა მამაცთ შემმუსვრელ  
უხამს სპილენძის ისრებზე წასა-  
მელად; მაგრამ არ მისცა (ილოს-  
მა) შეეშინდა უკვდავ ღმერთე-  
ბის“.<sup>14</sup>

პროფ. ა. ურუშაძე თავის წიგნ-

14 პროფ. ა. ურუშაძე, ძველი კოლხე-  
თი არგონვტების თქმულებაში, გვ. 173-  
174.

12 იქ 3 გ, გვ. 20-21.

13 იქ 3 გ, გვ. 27.

ში „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ წერს, რომ „აქ მოხსენებული იღოს მედეას შვილიშვილად უნდა ვიგულისხმოთ“.<sup>15</sup>

მეტაროსის შესახებ ბერძენ შითოგრაფოსეპთანაც საქმაოდ მოგვეოვნება საბუთი, რომ იგი მედეას შვილი იყო. ამას ამტკიცებს აპოლოდორე (II საუკ. ძვ. წ.) თავის წიგნში „ბიბლიოთეკა“, პავსანია (II საუკ. ძვ. წ.) „ელადის აღწერილობაში“ და სხვა. ჩვენ აპოლოდორე და პავსანია იმიტომ დავასახელეთ, რომ როგორც ჩანს, ევრიპიდეს ტრაგედიის „მედეას“ დაწერის შემდეგაც, ანტიკურ სამყაროს ყველა სწავლული არ იზიარებდა ამ აზრს, რომ მედეამ მოჰკრა თავისი შვილები, სახელდობრ მეტაროსი. ხოლო „ოდისეაში“ მოყვანილი ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ პომეროსშია არაფერი იცოდა მედეას შვილების დახოცვის შესახებ. სხვანაირად, პომეროსის დროს არ ასებობდა თქმულება მედეას მიერ შვილების დახოცვაზე.

პომეროსის დროინდელ ეპიკოს მწერალს კრეოფილე სამოსელს დაუწერია „ექალიის აღება“. ნაწარმოები მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ იიღო ჰერაკლემ ევგენის ქალაქი ექალია. ამ ნაწარმოებში ლაპარაკია მედეაზე და ნათქვამია, რომ მედეამ კორინთოს მეფე კრეონტი მოწამლა, ხოლო თა-

ვისი ვაჟები მამას დაუტავა / და-  
რთქალ ჰერას საკურთხეველის,/  
თვითონ კი ათენში გაიქცეულია და  
დავშვები კრეონტის ნათესა-  
ვის ზაუზოცავთო.

ეს ნაწარმოები ჩვენამდე არ აის მოღწეული, ამის შესახებ შოგვითხრობს I საუკ. (ძვ. წ.) აღექსანდრიელი გრამატიკოსი დიდიმოსი. იგი იმასაც ამბობს, — „ხმა გაავრცელეს, რომ მედეამ არა მარტო კრეონტი, არამედ სა-  
კუთარი შვილებიც მოკლა“.<sup>16</sup>

მეტად საინტერესო ცნობას გვა-  
წვდის ძვ. წ. III საუკუნის გამო-  
ხენილი აღექსანდრიელი მეცნიე-  
რი და ფილოლოგი არისტოფანე  
გრამატიკოსი. იგი თავის ჰიპოთე-  
ზიში ამბობს „მედეამ იასონისა-  
დმი ზიზლის გამო, ვინაიდან მან  
შეიირთო კრეონტის ასული, მოკ-  
ლა (პატარძალი), კრეონტი და სა-  
კუთარი შვილებიც. მერე მოშორ-  
და იასონს და იწყო ეგვისთან  
ცხოვრება.

ეს მითი სხვა (მწერალთან) არ  
მოიპოვება“.<sup>17</sup>

არისტოფანე გრამატიკოსი უდ-  
აოდ კარგად იცნობდა ანტიკურ  
მწერლობას, ამიტომ უნდა ვერწ-  
მუნოთ მას, როცა ამბობს, რომ  
ეს თქმულება სხვა მწერლებთან  
არ მოიპოვებათ.

მაშ, რამ აიძულა ევრიპიდე, რატომ მხოლოდ მან გაავრცელა  
ეს არაჭეშმარიტი ამბავი, ნუთუ

16 იქვე, გვ. 185-186.

17 იქვე, გვ. 238.

მარტო ქალთა სიძულვილის გამო გააკეთა იგი. ამის შესახებ უტყუარ პასუხს გვაძლევს ძვ. წ. მე-5 საუკ. ბერძნი ლოგოგრაფოსი ჰელანიკე მიტილენელი თავის წიგნში „დევეალიონია“.

„ფილოსოფოსებში მეტად გავრცელებულია ერთი ამბავი, რომელსაც პარმენისკეც გადმოგვცემს: ევრიპიდემ თითქოს კორინთულებისაგან ხუთი ტალანტი აიღო და ბავშვების დაკვლა მედეას გადააბრალა“.<sup>18</sup>

ჰელანიკე ცხოვრობდა 480-395, ევრიპიდე 480-406 წლებში, ე. ი. ისინი ერთსაღამავე დროს ცხოვრობდნენ. ევრიპიდეს მედეა, როგორც ვთქვით, დაიდგა 431 წელს. ჩანს ამ დრამის დადგმის შემდეგ ფილოსოფოსები არ დაეთანხმენ ევრიპიდეს და ჰელინიკეც იმდროინდელი საზოგადოების კეშმარიტ აზოს გადმოგვცემს, ამიტომ არ შეიძლება არ ვერწმუნოთ მას.

მედეას შვილების შესახებ კიდევ ორი მეტად საინტერესო ცნობა მოგვეპოვება: ერთი ეკუთვნის მე-6-5-ე საუკ. მცხოვრებ, საგუნდო ლირიკის ცნობილ წარმომადგენელს პინდარეს, ხოლო მეორე ახ. წ. II საუკ. ცნობილ ისტორიკოს პავსანიას. ერთიც და მეორეც ნათლად ლაპარაკობს იმაზე, რომ მედეას შვილები არ მოუკლავს. კერძოდ, პინდარეს სქოლიონებში გარკვევით არის ნათქვამი: „როცა დაიხოცნენ შვი-

ლები) კორინთელებში მათ უკანისცემა დაუწყეს და ბარბაროსარევს ეძახდნენ“.<sup>19</sup> ციტაციული დაიხოცნენ ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმაზე, რომ ისინი დედას არ მოუკლავს. მაგრამ ჩვენ მეორე ფაქტიც გვაინტერესებს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ „კორინთელებმა მათ თაყვანისცემა დაუწყესონ“.

ჯერ ერთი, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პინდარე გახლავთ ბერძნ ლირიკოსთა შორის ერთადერთი, რომელმაც თავის პითიურ ეპინიკიებში ყველაზე უფრო დაწვრილებით მოგვითხრო იასონის თავგადასავალი, რაც გვაფიქრებინებს, რომ, ეს კაცი კარგად იცნობდა არგონავტების თქმულებას და მის მიერ მოყვანილი ყველა ფაქტი სარწმუნოულდა მივიჩნიოთ. მით უფრო, როცა რვა საუკუნის შემდეგ ცნობილი ისტორიკოსი პავსანია თავის წიგნში „ელადის აღწერა“, კვლავ ლაპარაკობს იმაზე, რომ კორინთელები მედეას ბავშვებს თაყვანს სცემდნენ და თანაც გვიხსნის თურატომ სცემდნენ თაყვანს კორინთელები მერმეროსისა და ფერტის ხსოვნას.

„მოედნიდან მეორე (გზით) სიკონისაკენ მიმავალთათვის დასანახვია შემდეგი: გზის მარჯვენივ არის ტაძარი და სპილენძის ქან-

<sup>18</sup> იქვე, გვ. 276-277.

გვ. 218

დაკება აპალონისა, ხოლო ოდნავ  
მოშორებით ეგრეთ წოდებული  
გლავეკეს წყარო. როგორც ამზო-  
ბენ, მასში ჩავარდა გლავეკი, ჩათ-  
ვალა რა ეს წყალი მედეას შპამი-  
საგან განმკურნავ საშუალებად. ამ  
წყაროს ზემოთ აგებულია ეგრეთ  
წოდებული ოდეონი. მის გვერდით  
კი ძეგლია მედეას ბავშვებისა. მა-  
თი სახელებია: მერმეროსი და  
ფერეტი. ამბობენ, რომ ისინი კო-  
რინთელებმა ჩააქვავეს იმ საჩუ-  
ქართა გამო, რომლებიც, გადმო-  
ცემის ანაბმად, მათ გლავეკს მო-  
უტანეს. აუკი სიკვდილი ძალდა-  
ტანებითი და უსამართლო იყო:  
იმათი (მედეას ბავშვების) მიზე-  
ზით კორინთელებს შვილები ჩვა-  
ლობაში ეხოცებოდათ, სანამ (ჩა-  
ქოლილ) ბავშვებს ღვთის მისნო-  
ბით ყოველწლიური მსხვერპლშე-  
წირვა არ დაუწყეს".<sup>20</sup> შემდეგ პა-  
ვსანია განაგრძობს, რომ როცა  
რომაელებმა საბერძნეთი დაიპყ-  
რეს, კორინთოც დაანგრიეს და ხა-  
ლხი ამოწყვიტეს. ახალმოსულებ-  
მა „მსხვერპლშეწირვები აღარ აღ-  
უდგინესო“.

პავსანიას ეს ფრიად ავტორიტე-  
ტული ნაშრომი ერთხელ კიდევ  
ამტკიცებს იმას, რომ ევრიპიდეს  
მიერ გავრცელებული ამბავი შვი-

ლთა მულეტი მეღეას შეწახებ, რა-  
ტორიკოსებსა და ფულერიული  
სებს დიდხანს არ მიაჩიტავთ მცირე-  
ვილ ფაქტად და მეღეა შვილების  
მცირელი ეგონათ შხოლოდ იმათ,  
ვინც ამ ქალს ევრიპიდეს ტრაგე-  
დიის საშუალებით გაეცვნენ.

ყველასათვის ცნობილია, რომ  
მხატვრულად გამართული ნაწარ-  
მოები, ისიც ისეთი მძაფრი, ტრა-  
გიული კოლიზიის მქონე. როგო-  
რიც ევრიპიდეს „მეღეა“ არის,  
უფრო ადვილად გავრცელდებო-  
და, ვიდრე ისტორიის ფერწლით  
დაფარული, ჰეშმარიტი ფაქტებ-  
ით სავსე მატიანები. ამის გამო,  
დღეს ადამიანთა დიდი უმრავლე-  
სობა მეღეას მხოლოდ ევრიპიდეს  
მეშვეობით იცნობს. როგორც და-  
ვინახეთ, ისტორია სულ სხვა თა-  
მეს ამტკიცებს და სწორედ ამი-  
ტომაა, რომ ლ. სანიკიძის ტრაგე-  
დია „მეღეა“, თუმცა ფრიად დაგ-  
ვინებულია, მაგრამ მეტად დრო-  
ული მოვლენაა სცენაზე. იგი პირ-  
ვალი დრამაა, სადაც კოლხელი  
ქალის გონიერი, შვილთმოყვარე,  
ჰუმანისტი ადამიანის სახეა დახა-  
ტული.

ამ წერილის იდეაც მაშინ დაგ-  
ვებადა, როცა ლ. სანიკიძის ეს  
დრამა ვიზილეთ სცენაზე.

გ ე ლ ი რ ა წ ე ჭ ა

დაწმ შახაშიძე

## შესვებრა დიდ მხატვართან

ჩვენ ქალაქის საგამოფენო დარბაზია შასიქადულო ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობდა ახლახან. ერთი თვის განშავლობაში აქ 56 ათასი დამზადებულებელი მოვიდა, შთაბეჭდილების წიგნი საესეა მადლიერებისა და აღტა-ცების გამომხატველი ჩანაწერებით.

ლადო გუდიაშვილი!

ეს სახელი მეოცე საუკუნის ხელოვნების სამყაროში გამორჩეული ბრწყინვალებით კიაფიბს. იგი ბოლომდე ერთგული რჩება შემოქმედების იმ პრინციპებითა, რომლებიც თავიდანვე შეიყვარა, შეისისხლხორცა. მასზე ვერავითარმა ძალამ, დროთა ვითარებამ, ცვალებადობით საჟეს ცხოვრებამ ამ მხრივ გავლენა ვერ მოახდინა.

ამ პრინციპების მთავარი არი მდვო-მარეობს ხალხის უებრო სამსახურში, ბოროტების წინააღმდეგ, სიკეთისა და შევენიერების დამკვიდრებისათვის, პრო-ვრესული იდეების გამარჯვებისათვის პრძოლაში. სწორედ ამ გზით მიაღწია მან საქვეყნო აღიარებას.

ლადო გუდიაშვილი თავის კომპოზი-ცურ ქმნილებებში ყოველთვის ისეთ

ფილოსოფიურად, სიმბოლურ-ალეგორ-იულად გამზრებულ სიუცეტებს აქსოვს, რომელთა წაეკითხა, გავება-ამოცნობა მოითხოვს გათვითცნობიერებასა და მაღალ კულტურულ დონეს. მისი შემოქმედება იღუმალი ძალის ახალი სამყაროსა, რომლის შეგრძნება, გავება მარად-ებას იქნება განათლებული ადამიანის შეუნებელი ინტერესის საგანი.

\* \* \*

ლადოს ხშირად სთხოვენ ჩამოთვალის სახწაველებლები, სადაც მას საუკუ-ლიანი სამხატვრო განათლება მიუღია. პასუხს არ აყონებს, ლიმილით, ოდნავ თავაწეული პოსით მიუთითებს თბილი-სას სამხატვრო სახწაველებლებს, სადაც გასთან ერთად სწავლობდნენ ქეთევან მაღალაშვილი და მიხეილ ჭავჭავალი, გა-რეთვე ძველი თბილისის განუმეორებელ ხელებზე, ყარაჩილელთა და კანტონების უოფაცხვრებაზე, ქართულ ფრესკებზე, კედლის მხატვრობის უძველეს ნიმუშებზე. მას წილად ხდა ბეგნიერება, მო-ნაწილეობა მიეღო ქართული ხუროთ-მოძღვრული ძეგლების შემსწავლელ ექსპედიციებში. იგი დიდი ხალისით იხა-ტავდა კედლებზე გამოსახულ მოთოლო-

გიურ თუ ისტორიულ პიროვნებათა, როლსიც უკავებიან ფრესკებს.

მხატვარი თვლის, რომ სამხატვრო სა-სწავლებლის შემდეგ ეს მისთვის მეორე სამხატვრო აკადემია იყო. ლადოს წილად ხდა, დაემთავრებინა მესამე სამ-ხატვრო აკადემია, — ეს იყო ჩვენი სა-უკუნის ოციანი წლების პარიზი. იგი სწავლობდა და უფრო მეტად ეტანებო-და ლუვრში ესპანიირებულ შესანმავ ისტორია მხატვრულ ქმნილებებს, ეც-ნობოდა ახალი საუკუნის მაღალიჭიე-რი მხატვრების შემოქმედებას.

ლადოსთან ერთად იმ ხანებში პარიზ-ში იცვნენ შემდეგში სახელმოხვევილი მხატვრები: დ. კაბაძე, ე. ანტონიანი, ქ. მალალაშვილი, შ. ქიქოძე.

პარიზის მხატვრულ ცხოვრებაში ლ. გულაძევილის სახელი ყველასათვის მო-ულიოდნელად გამოჩნდა. მან 1920 წელს პარიზის „საგაზაფხულო სალონში“ ოთ-ხი ნამუშევარი წარადგინა. მოხდა დაუ-ჭერებელი რამ — შერჩევის სიმეცრით ცნობილმა სალონმა ლ. გულაძევილის ოთხივე ნაწარმოები მიიღო და დაუცივ-ნებლივ გამოაფინა. მხატვართა წრეებში ჯცხო, ამასთან არავრობული გვარის გამოჩენამ გაევირვება გამოიწვია.

პირველი, ვინც ლადოს ხელოვნებით მოიხიბლა და მის საიდუმლოებას ჩაწე-და, გახლდათ ცნობილი ესპანელი მხატ-ვარი იგნაციონ ზულოაგა, რომელმც სა-ლონის დირექტიაში შეიტყო ლადოს მი-სამართი და დაუცონებლივ გაემგზავრა მის სანახეად. ესპანელი მხატვარი ეწ-ვია ლადოს პარიზა სახელოსნოს მონმა-რტოზე. დიდად მოხიბლული ზულოაგა მასპინძელს წინადადებას იძლევს, დიდ ფასად დაუთმოს ყველაფერი, რაც აქც' სახელოსნოში.

ხელმოკლე მხატვრის გულის მოსახვ-ბად, თვალის მოსაჭრელად სტუმარმა

შეისვე ამოიღო და მაგიდაშე დამატებული ბანდეროლებად წერილი ასიგნაციები. ლადომ ქვებული ეტანებული სიდარბასისით უარი უთხრების მიუღიაზე და რამდენიმე ნაწარმოები, საწუკრად შესთავაზია.

ზულოაგამ მხოლოდ ერთი ნაწარმოე-ბის („ჰერიფი ბალში“) შეძენა მოახერხა და მეგობრულად გამოემშვიდობა მისი-ნებელს. ცოტა ხნის შემდეგ ლადომ შეძ-ნია, რომ ესპანელ სტუმარს ქუდი შე-ცვლია. იგი მაღე დაეწია ზულოაგას და ლიმილით გაუწიოდა ქუდი. სტუმარმა მა-ლლობა გადაუხადა და ისიც დაძინა, რომ ლადოს ქუდს, როგორც ქვირფა-სუვენირს, დიდი სიამოვნებით შეინაჩივ-და, რადგან მისი პატრონი მომავალში უთუად მოიხვეჭს მსოფლიოში აღიარე-ბული ხელოვანის სანატრელ სახელსო.

მოდერნიზმი თავისი მრავალსახოვანი მიმღინარეობით ოციანი წლების პარიზ-ში ყველაზე თვალსაჩინოდ და რესი-ტურად იყო წარმოდგენილი. აქ თავმო-რილ მრავალრიცხვან მხატვართა შო-რის მხოლოდ ერთეულების ხესნება იუ შეიძლება, რომელიც არ აჰყენენ ცოტ-ნებს და ახალი მოდის „იზმების“ ქუ-ლში არ შეიქცენ. ლადოც ამ მცირე-რიცხვანთა შორის იყო. მის დიდ რი-სებად სწორედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან პარიზში, როგორც მხატვარმა, უფრო ღრმად შეიცნო, იძოვა თავი-სი თავი, ჩამოყალიბდა საკუთარი ხელ-შერის ისეთ ოსტატად, რომელიც შესა-ნიშნავად აერთებდა ეროვნულ პირიკი-პებს და იმ ახალს, რაც მან შექმნა. მასი ხელოვნების პირველწყაროს რეალური სინამდვილე წარმოადგენს, სინამდვალე თავისიც უტრად გაგებული და ახსნილი ფილოსოფიურად მოზროვნე მხატვრის მიერ. ამ ნიადაგშე შექმნილი ხელოვნე-ბა ყველოვის ჩაგაფიქრებს იმაზე, რომ კარგად შეიცნო ის შვეულა, სადაც შემ ცროვობს.

პარიზი შუდამეუბს იზიდაედა შეპოქ-  
შელებით მიების გზაზე დამდგარ ახალ-  
გაზრდა მხატვარს. დღევანდველი პარი-  
ზიც გულმოგინედ აგრძელებს ძველ  
ტრადიციებს. გასულ წელს ე. წ. „დამო-  
ცუიდებულთა სალონის“ გრან-პალეს და-  
რბაზში მოეწყო თანამედროვე ახალგვა-  
ზრდა მხატვარების ნამუშევართა გამო-  
ცენა, რომლის დევიზი იყო — „ეკურისა  
და ჯილდოს გარეშე!“. აქ წარმოდგენი-  
ლი იყო სხვადასხვა მიმართულების შხა-  
ტვართა ოთხი ათასი ნამუშევარი. კრი-  
ტიკოსებმა საუკეთესო ექსპონატებიდ  
რამდენიმე ახალგაზრდა მხატვრის რეა-  
ლისტური მანერით შესრულებული ნა-  
წარმოებები მიიჩნიეს, მათ შორის კატა-  
ფაგოს, ანდრეოტის, არბიურეს პეიზა-  
ჟები და ყოფით ოქმებზე შესრულებუ-  
ლი სიუჟეტები.

\* \* \*

ლ. გუდიაშვილი თავის შემოქმედებაში  
ჭოველთვის დიდ პატივს დებდა დღევა-  
ნდელობის თემებს, სოციალურ, ისტო-  
რიულ-რევოლუციურ სიუჟეტებს. ჭერ  
კიდევ პარიზში ყოფნისას, 1925 წელს  
ივი გაიტაცა პარიზის კომუნარების გმი-  
რული ბრძოლის ისტორიამ და მასალე-  
ბის სერიოზული შესწავლის საფუძვე-  
ლზე შექმნა საკიანო მოზრდილი ფერ-  
წერული ტილო — „პარიზის კომუნა-  
რების დახვრეტი“, ხოლ უცხოეთადან  
სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1926 წ.) პირველი ნაწარმოები ახალგა-  
ზრდა საბჭოთა საქართველოს ინდუსტ-  
რიულ თემას მიღწეუნა. მომდევნო წლე-  
ბშია შექმნილი: „მოდიან კომკავშირე-  
ლები“, „ცისტერნების შეკეთება“, „მუ-  
შეორის სიკვდილი“, „ფერო-მარგანეცის  
ქარხანა ზესტაფიში“, „რიონქესი“,  
„ბრძოლის ნაბატი 1905 წ.“, „არსე-  
ნა ჭორვიაშვილი სიკვდილით დასკის  
წინ“, „წითელი არმიის შემოსულა თბი-  
ლისში“.

ომის შემდგომ პერიოდშია შექმნა  
ლი „საკოლმეურნეო ბრიგადის დაბუ-  
ნება“, „სამგრის შენგბლობაშეს მათზე დე-  
ლრა მშეიღობაზე“, „ლენინის დაუკავშირებელი  
„დელი და ახალი“, „საუბილეო წელი“  
და სხვა მრავალი.

შხატვების შემოქმედებაში საქაოდაა  
ასახული ჩვენი კუთხისათვის დამახასი-  
ათებელი თემები. აჭარის სიუჟეტებზეა  
შექმნილი: „ჩაის კრეფა“, „ბრიგადა ჩა-  
ის პლანტაციაში“, „ფერიდე წითელი  
ხელთმანთ“, „ჩაის მკრეფავები“, „ქა-  
ლიშვილი მანდარინებით“, „ბათუმელი  
გოგონები“, „ჩაის მკრეფავი მაზიხაურე-  
ლი მზია“, „ციტრუსების კრეფა“ და  
სხვ.

გამორჩეულად გვინდა გამოვყო  
ჭიუზური პორტრეტის სტილში გადაწყ-  
ვიტილი კომპოზიცია „კოლმეურნე ცო-  
ვონები“, რადგან იგი მხატვარმა ჩვენს  
კელტურის სამინისტროს დაუთმო და  
ამიერიდან აჭარის მუშეუმის ექსპონატს  
წარმოადგენს. სურათში საკოლმეურნეო  
პლანტაციის ფონზე წარმოსახულია სამი  
არაქეულებრივად ლაპაზი გოგონა, რო-  
მელთ მიმშიდველი აღნავობა, სახის გა-  
მომეტველუბა და გარეცნული მორთუ-  
ლობა საზეიმო განწყობილებას უჯრო  
გადმოგცემს. ვიდრე შრომით შემართე-  
ბას. მაგრამ მხატვრის ასეთი ჩანაფიქრი  
თავისებურ ახსნას საჭიროებს. ლ. გუ-  
დიაშვილის ღრმა შეგნებით სოციალის-  
ტურ საზოგადოებაში შრომა აკოთილშო-  
ბილებს ადამიანს, იგი ნერგავს სილმა-  
ზესა და სიკონტავეს, ყველაფერი, რაც  
ადამიანს ამშევნებს, შრომის ნაყოფია.

დის, ნამდვილ შრომას დაწაეგებული  
ადამიანები სულიერად და გარეცნულად  
ისეთი ლამაზებია, როგორიც აქ არიან  
გამოხატული.

ლალოს კარგად ესმის ის ჭეშმარიტება,  
რომ სიმართლე და სილმაზე ძმები არი-  
ან. მხატვარმა უნდა შეიცნოს ბუნებას

და შრომის შორის არსებული მუდმივი  
პარმონია, მეტე კი თავისმოდებით იწ-  
რომოს და თავისი გამოხატოს ეს  
სილამაზე.

მშევნეორების განსახიერებად მხატ-  
ვარს ლამაზი ქალი მიაჩინა, მაგრამ რა  
მარტო გარეგნული, ხორციელი, არამედ  
უწინარესად შინაგანი, ადამიანური, სუ-  
ლიერი სილამაზის მქონე არსება. ჩვენს  
წინ არის: „საქორწინო განდანვა“, „სიხა-  
რულის მოლოდინში“, „ეთერი სარკის  
წინ“, „ლოკაში“, „სამაღლობელი“, „მან-  
დილოსანი“, „ჩქერტობა“ და ბრავალი  
სხვა. შევტერით ამ ქმნილებებს და მო-  
ჯადოებული ვრჩებით, სიხარულისა და  
სიმოვნების გრძნობით ვიცხებით, გვინ-  
და ამიერიდან უფრო მეტად თავუანი  
ვცეთ და დავაფასოთ, მშევნეულ რაც კი  
მშევნიერი და ლამაზია, სათო და ფაქ-  
იზი, კეთილი და მიმზიდველი. მხატვრის  
ღრმა აწმენით ლამაზ ასულთან ერთად  
მშევნიერების სამყაროს ამშევნებს იჩე-  
მი, შველი, ვარდი, ცხენი. გამოფენაზე  
მხატვარის ოცდაათზე მეტი ისეთ ნახე-  
ლავს გავეცანით, სადაც კეთილ ადამია-  
ნთა გვირდით არაჩვეულებრივი, ჰაერო-  
ვანი სიფაქიზითაა წარმოდგენილი ცხენი  
ან იჩემი, შველი ან ვარდი.

გამოფენის ცერტერის განყოფილებაში  
დამთვალიერებლები ღილანს ჩერდებო-  
დნენ საშუალო ზომის ალეგორიული სი-  
უცეტის მქონე სურათთან — „არმაზის  
აკლდამიდან“.

...არქეოლოგიური გათხრების შედეგად  
აღმოაჩინეს ისეთი საგანძურო, რომელიც  
ჩვენი ერის, წარსულის მაღალ კულტუ-  
რულ დონეზე მიუთითებს. მხატვარმა  
ასეთ ფაბულას თავისებური მხატვრული  
ასნის ფორმა მოისუბნა. თავსატრავას-  
დილ სარკოფაგიდან ულმაზესი ასული  
ამობრწყინდა. სურათის გარცხენა ჩველა  
ნაწილში დახატული არქეოლოგები გან-  
ციფრებული შესტერიან ამ უჩვეულო

სცენას, ერთი მათგანი გამოიყენებოდა  
შეშითაც ცეკვირდება მას.   
მხატვარი საქართველოს უძლეს მწერები  
მის შატერიალურ და სულიერ დიდია-  
რეს ლამაზი ქალწულის სახით წარმოგ-  
ვიდების. მშევნერი ასული თოველ-  
გვეუბნება, რომ ჩემი მსგავსი საქართ-  
ველოს სხვადასხვა კუთხეებში შევიდა.  
ნახეთ ვარძია, უფლისი ციხე, გელათი, წი-  
კორწმინდა, ახლოს გაეცანით საქართვე-  
ლოს უცვირფასესი მატერიალური კულ-  
ტურის ძეგლებს, იქ დაცულ ულაბაზეს  
ფრესკებს და თქვენ არმაზის გათხების  
შედეგად მომცვებულ განძს უჩვეულოდ  
არ მიიჩნევთ. მხატვრის ასეთ ჩანაფიქტის  
პარგად მიგვანიშვნებს ორიგინალურად  
გადაწყვეტილი კომპოზიციის უკანა პლა-  
ნი, სადაც არქიტექტურული ძეგლების  
ფონზე წარმოსახულია შითოლოგიური  
და ცნობილი ისტორიული პიროვნებები.

ომის წლებში განსაკუთრებით გამოიწ-  
და ლ. გულიაშვილის ტალანტის თავისე-  
ბურება. გამოფენაზე გამოტანილ, ამის  
ორმაზე შექმნილ გრაფიკულ ფურცელებ-  
ზე თქვენ ვერ იძოვით ბატალიურ სუ-  
ნებს, რომლებიც ხოცვა-ელეტის საში-  
ნელ სურათებს გადმოგვცემდნენ. მხატ-  
ვარი შესანიშვნად ჩივდა ჰიტლერული  
ფაშიზმის ვანდალური მიზნებისა და  
ამოცანების გაგებას და თვისებური,  
ორიგინალური მიღებით ამხილა მისა  
ზარბაროსული, კაცომძოლებობის ბუნე-  
ბა. მხატვრის ღრმა აწმენით ფაშისტები  
უოველგვარი სიკეთის, მშევნიერების  
შტრები არიან და მხოლოდ ბოროტებას  
გვიასახიერებენ. ასეთი აზრებია ჩაქოვა-  
ლი სიმბოლური შინაარსის გამომხატველ  
ნაწარმოებებში: „სილამაზის მესაფლავე-  
ნა“, „სილამაზის საიდუმლოება“, „ვინ  
იცის რაში გამოაღება“, „გულქვა ლო-  
მისა“, „უგუნური ვაჟა-ცუნები“, „აგრუ-  
სორების მიერ კურთხეული გზა „მედ-  
ნიერებისაკენ“.

უგურებ მოქმედებას, რადგან ნამდევილი უკიდის მოვალეობაა ცველაფერი ჭიუჭი ინტერესებს თაცვალს.

ევე გვინდა შევეხოთ ფრანგულის უკანას სერენადას", პირველი სტუდიების დამთავრებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ცველა თავისებურად იგებდა აქ გამოხატულ ალეგორიულ სიუეტს. სინამდვილეში ეს სურათიც კეთილ და ბოროტ ძალთა ჭიდილს ეძღვნება. კეთილის საზოთ ლამაზი ქალია წარმოასხლი, რომელსაც სახედრის ფორმით ბოროტი ძალა უპირისპირდება. უგანობა ზოგჯერ ცდილობს კეთილად მოგვეჩვნოს. აქაც ასე — ვირს თოთქოს ადამიანიდანით ხელში გიტარა დაუკავებია და თავისი ტლანქი მუსიკით დღილობს კეთილი ძალის განსახიერებას — ქალის შობილვას. მაგრამ ლამაზი ასულის პირისხეზე აღბეჭდილი განწყობილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი — სიკეთე, რომელსაც ანტრუაის ფორმით წარმოასხლილ თვალწარმტაც პეიზაჟი ამცირებს. ამ საფუნგში არ გაებმება.

მუჭყავისფერ ტრებში გადაწყვეტილი კომპოზიციის ცენტრში შუქწრდალით განათებული მრავალტანჯული ქალის ფიგურა ჩანს. სახის დაძაბული გმირებულება საშინელების განწყობილებას გადამოგვცემს. ამ ქალის უმწეო მდგმარეობაში კოფრა ქვეყნად ასებული ბოროტი ძალების მიზეზია.

ამ ტილოს გვერდით ისეთივე მომცრო ზომის კომპოზიციას ვეცნობით, რომელსაც მხატვარმა „ბოროტი ოჭახი“ უწოდა. სამსჯავროს წინაშე სამი სულისაგან შემდგარი — მამა, დედა და შეილი — ოჭახი წარმოდგენილი. მათი პორტრეტების არჩევულებრივი ფსიქოლოგიური დახასიათება კარგად მიგვანიშნებს ამ ადამიანების ავკაცობაზე, უგვანობასა და სიმახინჯეზე. მაგრამ კაცომოძულებას, შორინტება დიდანს ცერ იძოგინებს. სასამართლოს წინაშეა ჩადენილ დანაშაულთა მამხილებელი დოკუმენტები და ამ სულით მანიგ ადამიანთა დასასრულიც დადგარა.

...საშინლად დატანჯული, სასოწარდევთოლებით აღბეჭდილი, სიმწრისაგან დანაკებული სახის, არც ისე ხანშიშესულ დედას ხელში ჩვილი ბაშვი დაუკავებია და ლვთაებრივ ძალას თხოვს დახმარებას. ქალი თანამა თვითონ დატანჯოს, ოღონდ ბაეშვი აცდეს ბოროტი ძალების

კარგად ევს შეცნობილი, რომ ახალი სოციალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში ძევლის, დრომოშეულის, იმის, რაც ხელს უშედის აბლის დამკიდრებას — მოსპობა და განადგურება აუცილებელ და გამახომიერ, ისტორიულად გამართლებულ მოვლენას წარმოადგენს. ასეთი სოციალური საკითხებია აღრიცვული მეტად ორგანიზაციურად გააზრებულ, ტონირებულ შალალდზე ტუშით შესრულებულ სიმბოლურ ნახატში „ულმობელი შემოდგომას“ (ეს ნაწარმოები ამეამად ბათუმის რევოლუციის მუზეუმის კუთვნილებაა).

...მოვარდნილი გრიგალი მთელი სიმაფრით ანგრევს სახლკარს. შენობის გარენული ფორმა იმაზე მიუთითებს, რომ იგი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ჭრის წარმომადგენელს ეკუთენის. ნახატის

შუა ნაწილში წარმოსახული არღანი იმის მაჩვენებელია, რომ ამ ოჯახისათვის შრომის ნაცულად მთავარი ქეთიფი და დროს ტარება იყო. იმარცვება ხეები, ჩამოცვენილ ფოთლებს კარმიდამ დაუფარებს.

ქველ ყოფაზე მიგვანიშნებს კომპოზიციის ცენტრში წარმოსახული ეზოს სევტიანი ფარანი. ვანტირულ ადგინის დაგრევისაგან მასი დაცა განუზრახავს და მთელი სხეულით მიკერია მას, მაგრამ ყველაფერი ამათა, ქველი უნდა განადგურდეს, სხვანაირად ახალი ვერ დამკაიდრდება.

ლ. გულიაშვილი თავის ქმნილებებში ფერების შეცნობის ულიდეს ისტატი გვევლინება, გარე სამყარო მისთვის არსებობს, როგორც მუდმივად ვალებადი ფერების თავისებური კონგლომერაცია. ფერებით განუზომლად მდიდარია მხატვრის პალიტრა. მისი ზოგიერთი ნაწარმოების გამა, ზოგჯერ ცალკეული ფრაგმენტი მცუქია, მაგრამ ეს სიშავე სრულია აც არის ამორფული, პირიქით თავისებურად კოლორიტულია, ფერწერულად მკეთრი და მაძლარი. მხატვრის პალიტრა ფერებით ზოგჯერ შეზღუდულია, მაგრამ პოეტური განწყობილების უბადლო გადმოცემის ნიმუშს წარმოადგენს. ამის ნათელი დემონსტრაცია ნაკლებად რთული კომპოზიცია „გაზაფხული“. აյ მხატვარი ფერებისადმი ერთვევარ სიძუნწეს იჩენს. გამოყენებულია ნახევრად ცვეთ ტონები, მაგრამ დაკირეცხებული მნახველი კარგად გრძნობს მხატვრის ჩანაფიქრს. ეს-ეს არის დამზღვარა გაზაფხული, ბუნება ჭერ კიდევ ვერ წარმოჩენილა მთელი თავისი მშვენიერებით, მრავალფეროვნებით. ეს არის წელიწადის დრო, როდესაც ბუნება მხოლოდ ახლა იწყებს გაფურჩქვნას და მხატვრის

პალიტრაზე სწორედ მისი შესრულებული რებია ამერიკულებული. უკრუცულები დიდად მნიშვნელოვანია და მას უკავშირებენ შეილის ლეჭლი გრაფიკის ხელვეტის განვითარებაში. ოქვენ ერთბაშად ისიბლებით თავისუფალი, ნათელი, შეუბუქი ხაზებითა და შექმნილებით. ეს ხახები მტკიცე და დამაჯირებელია, ხან მშევადი და ჰარმონიული, ხან კიდევ გაოცემა მისი სწრაფი, რიტმული, დინამიური მოძრაობა.

\* \* \*

მხატვრის შემოქმედებასა და ბიოგრაფიაში მეტად საინტერესო მომენტს წარმოადგენს მისი ურთიერთობა ნიკო ფიროსმანიშვილთან. ზოგიერთი მკალევარი იმ აზრისა, რომ ეს ორი მხატვარი — მეოცე საუკუნის ქართული ხელოვნების საოცრებას რომ წარმოადგენენ, ერთნაირი შემოქმედებითი მრწამისია და მხატვრული სტილის მატარებელნი არიან, რომ მათი მხატვრული აზროვნების სათავე ერთია, რომ მათი ხელშეწარა, მანერა და სტილი ერთგვარია.

რასაკერძოელია, ყველას აქვს უცლება ხელვანთა თუ ცალკეული ნაწარმოებთა შესახებ თავისი შეხედულება პერნდება, ამ შემთხვევაში გამონაელისა არც ლგუდიაშვილი წარმოადგენს, მაგრამ მრავალმხრივი აქადემიური განათლების, სახეითი ხელოვნების პრაქტიკასა და თეორიის ლრმად დაუფლებული და ამ ეჭით უაღრესად თავისებური, ორიგინალური ხელოვნების შემქნელის ლ. გულიაშვილის ამგვარი შედარება თვითნასწარებულ მხატვართან უმართებულოა. რასაკერძოელია, ეს არ ნიშნავს ფიროსმანიშვილის უკედავი სახელის შებალვას.

ლ. გულიაშვილი ახლო იცნობდა ნიკოს. იგი ამ უკანასკნელის აღმომჩენა და დამფასებელთა, ქველმოქმედთა ვა-

შრო გვუფში შედიოდა. ლადოს შეხვედრები ნ. ფიროსმანიშვილთან ფართიდ არის აღწერილი კ. ზდანევიჩის მონოგრაფიაში „ნიკო ფიროსმანიშვილი“. აქ მხოლოდ იმას აღნიშვნავთ, რომ ლ. გუდიაშვილი პირველი იყო, რომელმაც საფუძველი ჩატყარა ნიკოს ბიოგრაფიის მეცნიერულ გაშუქებას. თუ მანამდის ფიროსმანიშვილს გვიხატავდნენ, როგორც მხოლოდ მოქეიიფა პიროვნებას, ლოთსა და ქუჩის მაწანეულას, ლ. გუდიაშვილმა პირველშა მოითხოვა, რომ შემდეგში უარი ეთქვათ მხატვრის ბიოგრაფიის ასეთ გაშუქებაზე. ლადოს მოსაზრება ემყარებოდა მხატვრის შემოქმედების ანალიზს: შეუძლებელია ამგარემა პიროვნებამ, როგორც მას ახასიათებდნენ, უექმნას ისეთი გააზრებული, რომ სიულ-სიუჟეტიანი კომპოზიციები, ასც ხანგრძლივ, მეტად დაძაბულ შემოქმედებით შრომას მოითხოვს.

გუდიაშვილის გამოსვლის შემდეგ ბოლო მოედო ფიროსმანიშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების განხილვის არასრორ კონცეპციას.

ზემოთ მითითებულ კ. ზდანევიჩის მონოგრაფიას წამდლვარებული იქნეს ლ. გუდიაშვილის მოკლე შესავალი წერილი. მასში აღნიშნულია, რომ „უთუღ მეტი უნდა იშერებოდეს ამ ჭეშმარიტი სახალხო ტალანტის, დიდი თვითნასწავლი სატატის ბრწყინვალე შემოქმედებისა და მწუხასრე ცხოვრების შესახებ, რადგან დროთა განმავლობაში ფიროსმანიშვილი უფრო დიდ მოვლენად წარმოგვიდვება და საპატიო ადგილს დამკიდრებს ქართული ფერწერის ისტორიაში“.

ფიროსმანიშვილის ოემა გუდიაშვილის შემოქმედებაში მუდმივად ულერადი და მხატვრის შეუნელებელი ინტერესის ხავანია.

ფიროსმანიშვილის ნამდვილად დამაჯე-

რებელი პორტრეტული გამოსხეულება პარველად გუდიაშვილმა აღმუშებდა და დღეს ცველს გვვერა, რომ ჩემიშვილი რუსეთის რომოდ წასული მხატვარი სჭრალებულებების თი იყო.

\* \* \*

წლეულს ლამანშის სრუტესთან ახლობებაზე ქ. კანის მოსაზღვრე მუეკეში 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენი დროის უდიდესი მხატვარი, საქეუპოდ ცნობილი მშვიდობის მტრედის ავტორი პაბლო პიკასო.

პიკასოს სიკვდილი გუდიაშვილმა ბათუმში გაიგო...

აიკასოს ლადო პარიზში ოციანი წლების დასაწყისში გაეცნ. იგი კაფე ჩორცინდას არც ისე ისე ხშირი სტუმარი იყო. განმარტოებით ყოფნა უყვარდა, ენიჭესთან ახლო მეგობრობას ერიცეპოდა. ერთ საღამოს იმ ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფს მიუახლოვდა, სადაც ლადოც იყო... პიკასო ყავას შეეცეოდა და არემარეს ძუნწად ავლებდა ფართო თვალებს. კარგა ხანი გასულიყო, სადღაც მიერქარებოდა და დროის შემთხვება მოისურვა, გვერდით მჯდომ ლადოს უეკითხა და პასუხის მოლოდინში ინტერესით დაუწყო ელეგაზტერი მოყვანილობის ახალგაზრდას თვალიერება. უცხო კილოთი წარმოოქმულმა ფრინგულმა სიტკვებმა ინტერესი უფრო მეტად გაულეივა. ასე გაეცნენ ერთმანეთს პიკასო და ლადო.

ლადომ საქართველოთი დაინტერესებულ მხატვარს ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობა გააცნო. აქაური ხალხი, მისი ზე-ჩვეულება, თვითმყოფადი მაღალი სულიერი და მატერიალური აულტურა პიკასოს დაუკებელი ინტერესის საგანი გახდა. საქართველოსადმი ინტერესი პიკასოს ჯერ კიდევ მაშინ გაელვიდა, როდესაც პაოლო იშვილს ვალენო, ახლა კი ლადომ უფრო მოაგადვა იგი.

ლადოს ღრმა რშმენით დიდმა შემოქმედდა შესანიშნებად განმარტა მხატვრის მოვალეობა, როდესაც მან უპასუხა მრავალრიცხოვან თავისნიშვნელს, განსაკვთრებით იმ პირებს, რომლებმაც არ მოუწონეს კომუნისტურ პარტაში შესვლა (1944 წ.). მხატვას ეუბნებოდნენ, რომ პოლოტიყოთ გატაცება, პარტიის წევრის მოვალეობის შესრულება შეუთავებელია შემოქმედებით საქმიანობასთან. ასეთ ჰერალდიზულო პიკასომ მახვილეობით უპასუხა: „ვინ არის თქვენი გაგებით მხატვარი — სულელი, რომელსაც აქვთ მხოლოდ თვალები, თუ იგი ფერმწერია; ან მხოლოდ ყურები, თუ იგი მუსიკოსია; ან მხოლოდ ჩანგი გულის ცველა კუნიულში, თუ იგი პოეტია. მხატვარი ამასთანავე პოლიტიკური ფიგურაც არის, იგი მუდამ ეხმაურება შეოფლიოში მიმღინარე ცველა ძვრის — აშშიშაც და სასიხარულოსაც“.

ჰიკასოსა და გუდიაშვილის მხატვრულ  
სამყაროში დაკვირვებული თვალი პევნ  
საერთოს, მხატვრული ხერხების ძრების  
სფეროში ბევრ ნათესაურ ურთიერთო-  
ბას შენიშნავს. მაგრამ ამ ძიებას ყოვე-  
ლთვის დამოუკიდებელი გზები იღმოუ-  
ჩნია, სხვადასხვა მანერა, ნახატის საო-  
ცარი ფორმების თავისებურად შეცნობის  
უნარი გამოიმუშავებია, ერთმანეთისაგან  
მკვეთრად განსახვავებული ნაციონალუ-  
რი, თვითმყოფადი ხელოვნების პრინცი-  
პებზე დაფუძნებული მხატვრული სტი-  
ლი ჩამოაყალიბებია.

ରୁମ ଏଣ ପ୍ରାତିକିଳିପୁଣ୍ୟ ଫେରିଶ୍ଵରା, ହୃଦୟ  
ମନ୍ତ୍ରଲେଖପୂର୍ବୀ ପିନ୍ଧିବନ୍ଦିତ ଦେଇନ୍ଦ୍ରିୟରେତୁ  
ଗ୍ରାସ୍ତବ୍ରନ୍ଦନବନ୍ଦିତ ଶ. ରୁଷତାଙ୍ଗେଲିସା ରୁ  
ନ୍. ଦାରାତାଙ୍ଗେଲିସା ଡାରିଟ୍ରେଟ୍ରିଲ ଗମିନ୍ଦା-  
ଶ୍ଵରାଦାବା. ଏହି ନାମରେ ପ୍ରାଚୀଯରେ ପ୍ରାଚୀ ଶ୍ଵର  
ଦ୍ୱାରା ପ୍ରାଚୀଯରେ ପ୍ରାଚୀ ଶ୍ଵରାଦାବା  
କାନିଲେ ପରିବାର କାର୍ତ୍ତିମାନ ଫେରିଶ୍ଵରା

...1919 წლის დეკემბრის შუა ჩიტენე-  
ბში ლადო გულაგშილი და დავით ჯა-  
ბაძე ბათუმს ეჭვიერნ, რომ ქედან პა-  
რიზისაკენ აღღოთ კურსი. ეს არ იყო  
ლადოსათვის ბათუმის პირველი ხილვა.  
წინა წლებში მოწყობილ სამეცნიერო  
ექსპედიციაში მონაწილეობის დროს იგა  
ბათუმს კარგად გაეცნ.

განსაკუთრებული აღფრთოვანება მა-  
შინ განიცადა, როდესაც პარასთან ერ-  
თად ლაშეთის, შავშეთისა და ერუშეთის  
მიდამოებს ეწვია და ძველი ქართული  
შატრერიალური კულტურის შესანიშნავ  
ძეგლებს გაეცნო.

ახალგაზრდა მხატვერები პათუშში რამდენობე დღეს დარჩენ და სამგზავრო გემის „ფრანც კოსზეფის“ ბორტიდან გამოეთხოვენ შევი ზღვის შშობლიურ ნაზირებს. გზა პარიზამდის ხანგრძლივი და მომქანცუელი აღმოჩნდა, მაგრამ მომავლის მაინტენაცია გმირული სული ყველაფერს ადვილად ძლიერდა. ლადო ასეთ ამბავსაც ჰკვება: გზის ნაწილი მატარებლით უნდა დაკვეთარა. პატარა სადგურში პლატფორმაზე ჩავდი და წყლის ონკანს დავუწყე ქებნა. მასპობაში მატარებელიც დაიძრა და მე იძულებული გავხდი წებისმიერ ვაგონის საფეხურზე აემხრარიყავი. ნაღველი და დარღი ჰაშინ მომეკიდა, როდესაც გამოიჩინა, რომ კარები ჩაეტილია და მეორე გაჩერებამდის ამ ბნელ და ცივ ლამეში სახელურზე ჩამოკიდებულს უნდა გამექლო. საკუ

მათ ხნის წველების შემდეგ, შევი კუამ-  
ლით გმირული, ქრისტიანულის ღამ-  
სეაგვებული ჩევნი ვაგონის კუპეში გა-  
მოცხადით, დაძაბულ ნერვიულ მდგო-  
მარეობაში მყოფმა დაეითმა ველარ მიც-  
ნო.

მოსკოვიდან და ობილისის შემდევ საბჭოთა კავშირში ბათუმი მცხამე კალაქია, სადაც მოეწყო ლადო გუდამევილის პეტრი სინალური გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო ფერწერის, გრაფიკის, თეატრალური დეკორაციის, წიგნის მთაცრობის 130 ნიმუში.

ପାତ୍ରବ୍ୟଦ୍ରି ଏକମାତ୍ରରୁଗିଲି ୩. କନ୍ଦଳୀଲା-  
ଙ୍କି ଶାଖକିନିଶ୍ଚୟାଳିଲି ଯେବାତ୍ରିଶି ଗନ୍ଧବ୍ରତୀ-  
ଶଲ୍ପରୁଣ୍ଡ ମେଣା ଫ୍ୟୁଗେଟ୍ରୋଲ୍ଡ୍ ମନୀଲି ଶ୍ରେଣୀ-  
ଶରୀରି ଶ୍ରେଣୀଲି ଶ୍ରେଣୀଲି ଯେବାତ୍ରିଶିଲ୍ଲା-  
କିନିଶ୍ଚୟାଳିଲି ଶରୀରିଶରୀରି ପାତ୍ରବ୍ୟଦ୍ରି  
ଶରୀରିଶରୀରି ଶରୀରିଶରୀରି ପାତ୍ରବ୍ୟଦ୍ରି  
ଶରୀରିଶରୀରି ଶରୀରିଶରୀରି ପାତ୍ରବ୍ୟଦ୍ରି

ଲାଭ, କୁଳଗର୍ଭ ତ୍ୟାତ୍ମିକାଲ୍ୟରୀ ମେତ୍ର-  
ଗାନ୍ଧୀ, କୁଳଭା ଶ୍ରୀଜିନୀନାଥ ପ୍ର. ପାଣ୍ଡାନାନ୍ଦିଶ୍ଵର-  
ଲାମ୍ ପାଦପାତ୍ରଙ୍କ. ଅମ୍ବିପ୍ରା ତ୍ୟାତ୍ମିକାଲ୍ୟରୀ ମେତ୍ର-  
ଦ୍ୟାନନ୍ଦୀଙ୍କ ପାଣ୍ଡାନାନ୍ଦିଶ୍ଵର ପାଣ୍ଡାନାନ୍ଦିଶ୍ଵର  
ଭାନୁଲା ପାଦପାତ୍ରଙ୍କ. ମନ୍ଦ ମନୋଦ୍ଵିଲ୍ୟନନ୍ଦ ମନୋଦ୍ଵିଲ୍ୟ-  
ନନ୍ଦିଶ୍ଵର ଏତୀଲାଙ୍କ. ମନ୍ଦ ମନୋଦ୍ଵିଲ୍ୟନନ୍ଦ ମନୋଦ୍ଵିଲ୍ୟ-  
ନନ୍ଦିଶ୍ଵର ଏତୀଲାଙ୍କ.

შესაძლოა მხატვარს სხვა თეატრში  
შეიცვალო უარიც ეთქვა, მაგრამ რაღაც  
საქმე მარჯანიშვილის თეატრს ეხებოდა,  
იგი დიდი ხალისოთ დაუთანხმა ეთავა  
„მარა წყნეთელის“ მხატვრული გაფორ-  
მება. ეს ალბათ იმითაც აისხებოდა,  
რომ პირის სიუკეტი მხატვრისათვის  
ძლიერ ნაცნობი ისტორიული აღჭრუ-  
ბის ფრჩხე იშლებოდა.

ଫୁଲମାର୍ଗରୁଗତାଙ୍କ ଓ ରୂପ୍ୟିସନ୍ଧାତାଙ୍କ (ଦ୍ୱାରା-  
ଗମା ଗାନ୍ଧୀବେଳୀରୁଗ୍ରେଲା ଓ ପ୍ରଥାବଳୀରୁଗ୍ରେଲା)  
ମୈନିଫର୍ମ ଉଚ୍ଚଗତିରୁଗତାଙ୍କ ଶ୍ୱସନୀଯିତା ବେ-  
ପ୍ରକ୍ରିୟା ପରିପାଳନ, ଲାଭକ ବ୍ୟାପକ ପାଇଁ ପରିପାଳନ  
କାର୍ଯ୍ୟରେ କାହାର ମର୍ମବାଲ୍ଲଙ୍ଘନରୁବ୍ୟାବାନ  
ଦ୍ୱାରାପାଇଗଲା ଏହିତାଙ୍କ ଉଚ୍ଚମର୍ମାବ୍ୟାପକ ପାଇଁ  
ଏହି ପରିପାଳନମିଳି ପରିପାଳନକୁ ପାଇଁବାରୁକାର୍ଯ୍ୟରେ ପାଇଁବାରୁକାର୍ଯ୍ୟରେ

କେତେ ପ୍ରମାଣ ଗୁଡ଼ୀରୁଣ୍ଡି, କାନ୍ଦାରାଶୀ କୁହା  
ଟିଳିଙ୍ଗିଲେ ବେଶାନ୍ତରୁଣ୍ଡ ଏହି ଲେ ଗୁଡ଼ୀରୁଣ୍ଡିରୁ  
ଦାଖିବୁଦା, ଶାକେସନ୍ତ ଫୁରାଦା, କ୍ଷେତ୍ରକାରୀରୁଣ୍ଡିରୁ  
ଲୁଣ୍ଡ ଅନ୍ଧରୁଣ୍ଡିଲୁଣ୍ଡ କ୍ଷେତ୍ରକାରୀରୁଣ୍ଡିରୁଣ୍ଡିରୁଣ୍ଡ  
ଏହି କାନ୍ଦି, ଏହିତି କୁହାରୁଣ୍ଡ ଏହି... ଏହିଦା ନେ-  
ଥିଲେ କରୁଣ୍ଡି, ଏହି ମେଳିଲୁଣ୍ଡ ବୈଶିଶ୍ରତୀକାଳିଲେ  
ମହାରାଜାଙ୍କ ଲେ ଗୁଡ଼ୀରୁଣ୍ଡିଲେ କ୍ଷେତ୍ରକାରୀ  
ଏ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଉଚ୍ଚପ୍ରମାଣ ରୂପିଳେ, କଥି କି-  
ମି ମିଳିଲାମି ତାତୀରୁଣ୍ଡିଲେ ପ୍ରେମି ଏହି ଦାଜୁରୁଣ୍ଡି  
କାନ୍ଦାରାଶୀରୁଣ୍ଡିଲେ.

ରେ ଶୁଦ୍ଧିତାକୁଣ୍ଡଳୀରେ ଏହାର ମେଘନାଥରେ ପଥୀ,  
ଯାହାକୁଣ୍ଡଳୀରେ ପ୍ରକାଶରେ ଦିଲା ତା ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରେ ଦେଖି  
ଦିଲା ଫାନ୍ଦରୁକ୍ତରେ ସେବୁଲ ମରାଗାଲରୁକ୍ତରୁଙ୍କ  
କିମ୍ବା ଶତରୂପ ମିଳିଲା ମେଘନାଥରେ ନିନ୍ଦା ଦେଖି  
ଦିଲାଶ୍ଵରୀରେ ସାକ୍ଷେଳି ବନ୍ଦମୁଲାରକବିତ ବାନ୍ଧି  
ଦେଖିଲାମ୍ବେ. ଏହି ଉନ୍ନତିମିଳି ବ୍ୟୋମରେଣ୍ଟରାଜ-  
ମାନନ୍ଦରେ, ମିଳିଦେଖିଲା ଏହି ସକ୍ଷାରତତ୍ତ୍ଵ-  
ଲାଲ ସାର ବ୍ୟୋମରେଣ୍ଟରେ ଦାମ୍ଭାଶୁର୍ଯ୍ୟଦେଖିଲା  
ମନ୍ଦବାହୀରେ ସାମାଜିକ ଚିନ୍ମୟରେ. ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କା  
ରେଖିତ ଶୁଣିବା ଲୋକିଶକ୍ତି ମିଳି ପିଲାକ୍ଷେତ୍ରରେ  
ଲାଦିନ ଶୁଦ୍ଧିତାକୁଣ୍ଡଳୀରେ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରେ ଦେଖିବା  
କାନ୍ଦିତାକୁଣ୍ଡଳୀରେ ଦିଲା ଏହାର ମେଘନାଥରେ  
କାନ୍ଦିତାକୁଣ୍ଡଳୀରେ ଦିଲା ଏହାର ମେଘନାଥରେ

ნინო ჯერ კიდევ ოცანი წლების და-  
საწყისში სწავლობდა ბათუმში, ქოვ-  
რობდა გამზრდელი ბიძის — ლაშტო-  
სილი პედაგოგის მელიტონ ქვემობის  
ოჯახში.

ୟୁବାନ୍ଦେଶ୍ୱର ଫିଲେବଣୀ ଲ. ଗୁରୁଦାସଶ୍ରୀଲୀପି  
ସ୍ଵର୍ତ୍ତତୀର୍ଥତନୋଦାର ଶାତୁମତାନ ଗାନ୍ଧିସାହୁତର୍କ୍ଷେ-  
ଦ୍ୱାଳୀ ବ୍ୟାସିତ ମିଗଳ. ନିଶ୍ଚାନ୍ଦନପଲ୍ଲୀଗା  
ନିଶ୍ଚପ, ଲକ୍ଷ ମଥାତ୍ରାବରି ତାଙ୍କିଲି ଲାକ୍ଷଦ୍ୱା-  
ଦୀର 75 ଫିଲୀତାଙ୍କ ଶାତୁମତିଶି ଶ୍ରେଷ୍ଠତା. ଶା-  
ତୁମ୍ଭେଲ୍ଲାଦେ ଲାଲୀର ଶୁଭଗାତ ବାହେଲାନ୍ଦାନ  
ମଥାତ୍ରାବରି ଦା ଏହି ଶିଖିବାରୁଲୀ ଶ୍ରେଷ୍ଠିନିଶ୍ଚା-  
ନ୍ଦାର ଗାମନିକାର୍ତ୍ତା ଉପରେଲମ୍ବନୀବ ଗମନତର୍କ୍ଷେ-  
ଦ୍ୱାଳୀ ଦା ମର୍ମାଶ୍ରମ ଏତିଶି — ଶାକ୍ତାଲାଙ୍କା

ଦୀର୍ଘମୁଖୀରେ ତାଙ୍କୁଠିଲା ଗାନ୍ଧିଜୀରେ ପୁଣ୍ୟମୂଳିକା  
ଦୀର୍ଘମୁଖୀରେ ତାଙ୍କୁଠିଲା ଗାନ୍ଧିଜୀରେ ପୁଣ୍ୟମୂଳିକା

ଦ୍ୱାରା ଏହାମିଳନକା ପିଣ୍ଡଗୁରୀତ୍ୟାମି ତାପିଲା-  
ପଦ୍ମନାଭ, ରଙ୍ଗଗୁରୁପ ଏହାମିଳନ୍ତରି ଶ୍ଵେତୋଷ  
ପ୍ରତ୍ୟେକାଂଶ୍ଚ ମ୍ୟାତ୍ୟନାଦ ଗାନ୍ଧାରୀର୍ଯ୍ୟଶ୍ରଳୀ, ଅବିଲ-  
ପ୍ରଦ୍ୟବୁଲୀ ତ୍ୱରିକ୍ଷାଦା, ପ୍ରାଣେତ୍ୟାକୁ ନାଥଜ୍ଞବ-  
ମିତ ଅଳିନିଶ୍ଚେଦା, ମାଗରାଦ ମିଥିଳ ମେଘାଵ୍ୟା-  
ତାପିଲାଦଲନବ୍ଦ ଲା ମନ୍ଦିରକାଲ୍ୟେଦା, ରାତ୍ରି ଲା-  
ଲାଲ ଶ୍ଵାସରାତ୍ରିକାଳୀନ ଏହାମିଳନକା, ନିର୍ମିତାତର  
କ୍ଷେତ୍ରରେଣୁକା.

၁။ გუდიაშევილის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული გაშვება ხელოვნების მოღვაწეთა ღირსებისა და პატივის საგანძია. ამ შერიც თვალსაჩინო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ლენინგრადის ხელოვნებათვკოლეგის ლ. ზლატევიჩის უთუოდ გამჭელული ნაბიჯი — მან თავისი სამეცნიერო დისერტაციის თემად გუდიაშევილის მეტად რთული შემოქმედება აირჩია და მოვაცა მისი შეყობრი მეცნიერული ანალიზი. უამრავი მასალის ღრმად შესწავლის საფუძველზე მეცნიერმა ბეგრი ახალი დასკვნა გააცემა და დაასახუთა, რომ ლ. ჭულაშვილის ხელოვნება არის ღრმადნაციონალური მოვლენა, ამავე დროს სა-

კაცობრიო იდეების ქადაგებით იგი ეფუ-  
თვნის კველა ხალხს, მთელ მსოფლიოს.

ლ. ზღატყევიჩის ასეთი დასკვნა ლ.  
გუდიაშვილის შესახებ ადრე სხვადასხვა  
ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში მო-  
ცემული დებულებების განვითარება და  
დადაცარურებაა.

ნიშანდობლივია, რომ მთელი რიგი  
მონიგრაფიების სახელწოდება მხოლოდ  
ორ ლაპონურ სიტყვას „შეიცავს „ლადო  
გუდიაშვილი“. 1972 წელს ტრკიოში  
იპონურ ენაზე დასტამბულ, ცნობილი  
მწერლი როხეი კომიამას წიგნის სახელ-  
წოდება კი არის „ჩემი ლადო გუდიაშვი-  
ლი“. იგი იმაზე მიგვანიშვნებს, რომ ლა-  
დო გუდიაშვილი, თავისი მარად უკვდა-  
ვი ხელოვნებით ეკუთვნის არა მარტო  
მის მშობლიურ ერს, არამედ უკვდა-  
ვი ხალხს.

ხელოვნების ქმნილებათა განხილვისას  
არ მიმართავენ მათებატიკურ განაკრი-  
შებას, მაგრამ მაინც უნდა ვოქვათ, რომ  
მხატვარმა თავისი შემოქმედებითი მო-  
ლვაწეობის 60 წლის მანძილზე 4000-მდე  
ნაწარმოები შექმნა. მაშასადამე, ივი კო-  
ველწლიურად თავის ხელოვნებას 60-ზე  
მეტი ნიმუშით ამდიდრებდა.

ვიმეორებთ, მართალია, ეს მშრალი  
ციფრებია, მაგრამ ადვილი წარმოსადგე-  
ნია ის შრომისნაყოფიერება, ენერგია და

შემართება, რაც ჩვენს სასიქადოს მი-  
ტვარს გამოუჩინია. ასეთი მოვლენა იშ-  
ვითია ხელოვნების ისტორიაში მარცხლები

მთელი ცხოვრება მან ჟურნალებში  
ანაცვალა, იგი მთელი არსებით ცხოვ-  
რობს ხელოვნებაში, ხოლო ხელოვნება-  
მთელი. თავისი ცხოვლმყოფელისთვი-  
ცხოვრობს მასში.

ჩვენი საუკუნის განვლილ პერიოდში-  
სახელით ხელოვნების ქართველმა ასტა-  
ტებმა ნამდვილად შექმნეს ისეთი დიდი  
საზოგადოებრივი ცდერადობის ქმნილე-  
ბები, რომლებიც ეროვნულ სულისკვე-  
თებას გამოხატავენ და მავა დროს პრო-  
გრესული იდეების ქადაგებით საჯრე-  
ლოთა ხასიათს ატარებენ.

გ. გაბაშვილმა, ა. მრევლიშვილმა,  
ნ. ფიროსმანიშვილმა, დ. კაკაბაძემ, ა.  
ქუთათელებემ, ქ. მაღალაშვილმა, ლ. ცე-  
დიაშვილმა, უ. ჭაფარიძემ, ე. ახვლედი-  
ანმა, აგრეთვე საშუალო და ახალგაზრდა  
თაობის ნიჭიერ მხატვართა მთელმა პლე-  
ადამ ისეთი ხელოვნება შექმნეს, რომე-  
ლიც მთელ კავშირში აღიარებული და  
დაფასებულია. ხელოვნების ისტორიიში-  
ს უფროდ შევა, როგორც ფერწერის  
ქართული სკოლა.

ლადო გუდიაშვილი ქართული ფერწე-  
რული სკოლის გენიალური წარმომადგე-  
ნელია.



ବ୍ୟାକିଲା

ଉ ନ ପ ମ ନ ଇ



## ପାହାତରଣସ କାଶକାପୀ

### ଚଲାକାର ଉ

ଗୁପ୍ତିନ କେବିସ ମେଘନଦାଳୀ ମିଦ୍ଯାକିନ୍ତ୍ରେ. ମିଳି  
ନତକି ଚିଲିସ ବିଷ୍ଣୁଶ ମିଦ୍ୟାକିନ୍ତ୍ରେ ତେଲାକର୍ଣ୍ଣବିଳି  
ଫିଲଙ୍ଗି କାମଦଲ୍ଲେ”.

ବିଷ୍ଣୁ ମାରିବାରିରେ ପ୍ରଥମ ଶିନ, ରନୋଲାନ୍ତାନ  
କିମ୍ବା କିମ୍ବା ଦା ଯୁକ୍ତାଯା.

— ଗାମାରଖନବା, ବିଷ୍ଣୁରେ! ପ୍ରଥମ ରା ମନ୍ଦିରକାରେ?  
— “କାମଦଲ୍ଲେ”. ତୁମଙ୍କିତନ୍ତ୍ର?

ବିଷ୍ଣୁମା ଅନିକ୍ଷେତ୍ରରେ:

— ଗାମାରଖନବାର ମନ୍ଦିରରେ କର୍ମକାଳୀନ, କ୍ଷେତ୍ରକାଳୀନ,  
କ୍ଷେତ୍ରକାଳୀନ, କ୍ଷେତ୍ରକାଳୀନ, ଏବଂ ବ୍ୟାକିଲାରେ ଶାକ୍ଷାତ୍  
କାଳୀନ ତାରତିକ୍ରମବିଳି ଫିଲଙ୍ଗି, ଏବଂ ରାମିତ୍ର ଶାକ୍ଷାତ୍  
କାଳୀନ, ଶ୍ରୀରାମ, ଶ୍ରୀମତୀ ଶାକ୍ଷୁଦ୍ଵାଦଶୀ  
ଏବଂ କ୍ଷେତ୍ରକାଳୀନ ବାଲିକାରେ ରାଜ୍ୟକାଳୀନ.

— ରାମୀଲ ରାଜ୍ୟକାଳୀନ?

— ବ୍ୟାକିଲାର ପାହାତରଣ କାମଦଲ୍ଲେ”, “ମାଲାଶି”,  
“ପାରିତାନି”, “ମିନିକିମ୍ବେନି”, “କାଲା-  
ନ୍ତିନ”, “କାଲାନ୍ତିନ”... ପରତାା?

— ମାତା, “କାମଦଲ୍ଲେ” ଏଠ ଗିନିଦା?

— ଏ ରାଲାା? ବନ୍ଦରାତିକୁଳି ରାନିଶ-  
ଶ୍ରୀଲେଖବି ରାଜିନିମିଶ୍ରବିରାଜି ବିଷ୍ଣୁରେ, ଗାନ୍ଧୀ-  
ଶାନ୍ତିଲାଲି ରାଜିନିମିଶ୍ରବି.

— ଏଠା, ବିଷ୍ଣୁ... କାମଦଲ୍ଲେ ତେଲାକାରିବା.

— ବ୍ୟାକିଲାର ନମନିତାର ତୁ ତୁ ତୁମବିନ-  
କାରାକାରାନିବା?

— କାମଦଲ୍ଲେ କାମଦଲ୍ଲେ ମିଠାର ଏହିବା,  
କାମଦଲ୍ଲେ କାମଦଲ୍ଲେ ତାମିଦା ଦା କ୍ଷେତ୍ରକାଳୀନ ଏହି-  
କାମଦଲ୍ଲେ.

— ରାମିତ୍ର ଏହିକାମଦଲ୍ଲେ କ୍ଷେତ୍ରକାଳୀନ?

— ଏଠା, ଏଠା ବିଷ୍ଣୁ. ଏହି ଏହିକାମଦଲ୍ଲେ.

— ଏ କାମଦଲ୍ଲେ କି ଏଠା, ଏ ବିଷ୍ଣୁରେ ବ୍ୟାକିଲାର  
କାମଦଲ୍ଲେରେଣି “ଶ୍ରୀରାଜ୍ୟକାମଦଲ୍ଲେ”, “ଆମା-କାମଦରା  
ତ୍ର” — ଆମିଶ୍ରା-ର୍ଯୁକ୍ରମିତିକୁଳି ଗାନ୍ଧୀନିମିଶ୍ର-  
ବିଷ୍ଣୁରେଲା.

— ବ୍ୟାକିଲାର ମାତାକାମଦଲ୍ଲେରେଣି “ମାନ୍ଦ୍ୟବ୍ୟାକିଲାର” ମା-  
ନ୍ଦ୍ୟବ୍ୟାକିଲାର, ଏବଂ “ବିଷ୍ଣୁକାମଦଲ୍ଲେ”...

— ମାତା, “ଲୋକିନିମିଶ୍ରବି”, “କାମାକ୍ଷେତ୍ରକାମଦଲ୍ଲେ”,  
“ବନ୍ଦରାତିକୁଳି”, ଏବଂ “ମାରତିନିମିଶ୍ରବି” ଗାନ୍ଧୀରା?

— ଏ ଏଠା, କିନିମ-ଶ୍ରୀରାତିକୁଳି?

— ଏଠା, ଏଠା, ମାତା.

— ମାତାକାମଦଲ୍ଲେ! ଶ୍ରୀରାଜ୍ୟକାମଦଲ୍ଲେରେ ଶାକ୍ଷେତ୍ରକାମଦଲ୍ଲେ...

— ଏଠା, ଏଠା, ମାତା...

— ମାତାକାମଦଲ୍ଲେ ଦା ରନୋଲାନ୍ତ୍ର ଦାଦେଶ୍ଵର-  
ଲା କ୍ଷେତ୍ରକାମଦଲ୍ଲେ ଏହିକାମଦଲ୍ଲେ.

— ମାନ୍ଦ୍ୟବ୍ୟାକିଲାର, ମାତାକାମଦଲ୍ଲେ ପ୍ରାତିକାମଦଲ୍ଲେ-  
ନିମିଶ୍ରବି, ଲାଭନାରାତିକୁଳିରେ ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବି. ରାମ-  
ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବି, ଏବଂ ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବି ସିଦ୍ଧିମିଶ୍ର, ଗାନ୍ଧୀ-  
ନିମିଶ୍ର ବାହିକ୍ରମିନ୍ଦୀ?

— ଲୋକିନିମିଶ୍ର ନିମିଶ୍ର ଏଠା?

— ଶାମିଶ୍ରବିନାରାତିକାମଦଲ୍ଲେ ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବି.  
ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବି, ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବି.

— ଏ ରାଜିନିମିଶ୍ର ନିମିଶ୍ର?

— ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବିନାରାତିକାମଦଲ୍ଲେ. ଗାନ୍ଧୀନିମିଶ୍ରବି ଗାନ୍ଧୀ,  
“ନିମିଶ୍ର ଗାନ୍ଧୀନିମିଶ୍ରବି” ଗାନ୍ଧୀନିମିଶ୍ର ବିଷ୍ଣୁ-  
ନିମିଶ୍ର ବିଷ୍ଣୁରେଲେଖବି.

- რაო? რა გვინდაო? 3  
— თვითონაც არ იციან, რა უნდათ.  
საერთოდ მათი კონცეპტია მორალურად  
მცდარია და დიდხანს ვერ იარსებებს.  
გრძელ ეს წიგნი გათხოვო?  
— რა წიგნია?  
— ფრენკ ნორისის „სოციალური ეპთ-  
ვეა“,  
— წელან რას უკრავდი ჩემო კარგო?  
№ 3 უვერტიურას ვიმეორებდი პეთ-  
კოვენის „ლეონორადან“... აბა, ეს რა  
მუსიკა?  
— და დაუკრა ფრაგმენტი.  
— აბა, როგორ გითხრა, აღარ მახ-  
სოვა. პროექტივია?  
— ეს, ძია მართლა კომბლე ხარ. შოს-  
ტაკოვიჩია.  
— ეს სურათები დედი მოიტანა?  
— აბა, მამიდამ. აბა, თუ გამოაცნობ,  
ეს ტიპიანია თუ რაფაელი?  
— ჩემი „დინამი“ როდის თამაშობს?
- არც ერთია და არც შეორეული და  
იყია. შენ ალბათ ჭორჭონე ვეგონა.  
— მაშ კარგი, ჩემთ ბიჭუნაში როგორც  
უფრო სინტერესო ამბავი ჭირდება, არამე-  
გრძელები, ადამიანებმა როგორ გადიფ-  
რინეს პოლუსით.
- უუუუუ, ეგ წვერებიანი ნორგე-  
ვიული ზღაპრები ბებიას მოუყვარ ბე-  
სულ სხვა წიგნები მინდოდა.
- რომელი წიგნები?
- იქვებხე და იგრევებხე, „ბიკვალ-  
რატული განტოლებების“ კრებული,  
„ცვანტური თეორიის საფუძლები“,  
ბრადისის „ოთხნიშნა მათემატიკური  
ცხრილი“ და „ინგლისური ენის ლექსი-  
კოგრაფია“.
- რად გინდა, ჩემო კარგო?  
— საბაქშვი ბალში შესავლებად ვა-  
მზადები.  
— ???

11

რედაქტირის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.8.73, საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი.  
შეკვეთის № 3711, ემ 00101, ქალალის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფრენზე ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 20).



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 76118